გოგა
ხატიაშვილი

საქართველოს საერთო სასამართლოების მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებზე

2016-2018

CENTERS.GE
დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი
NETWORK OF CENTERS FOR CIVIC ENGAGEMENT (NCCE)

USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების
და მოქალაქეების ჩართულობის პროექტი
ADVANCING CSO CAPACITIES AND ENGAGING SO
FOR SUSTAINABILITY (ACCESS)

გოგა ხატიაშვილი

საქართველოს საერთო სასამართლოების მნიშვნელოვანი განმარტებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებზე

2016-2018

თბილისი
2019

მომზადებული და გამოცემულია
„დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელის“ (NCCE) მიერ.

სახელმძღვანელოს მომზადება შესაძლებებლი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროექტის მხარდაჭერით. სახელმძღვანელოში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ან/და EWMI-ის შეხედულებებს. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ავტორი.

რეცენზენტები:
ნათია ბარბაქაძე, ლონდა თოლორაია

ტექნიკური რედაქტორი:
რუსუდან ბუბულაშვილი

დიზაინი:
ბესიკ დანელია

© 2019, „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი“ (NCCE)

ISBN 978-9941-8-1218-7

WWW.CENTERS.GE

შინაარსი

წინასიტყვაობა	7
რეცენზიები	9
შესავალი	13
თავი I. ოჯახში ძალადობა და ოჯახური დანაშაული	**16**
1. ზოგადი მიდგომები ოჯახში ძალადობის საქმეებზე	16
2. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პროპორციულობა და ადეკვატურობა	24
3. გენდერული დისკრიმინაციის მოტივისა და წინარე ძალადობრივი ისტორიის გამოკვლევა	30
4. მტკიცებულებების საკმარისობა და დაზარალებულის მიერ გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენების შეცვლა/ჩვენების მიცემაზე უარის თქმა	45
5. მსხვერპლის პოზიცია და სასამართლოში დაზარალებულის პრეტენზიის არქონის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა	76
6. სასჯელისა და სხვა მოვალეობების დაკისრება	83
7. პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები	98

თავი II. ბავშვთა მიმართ ძალადობა ოჯახში **108**

თავი III. ქალთა მიმართ ძალადობა **119**

1. თავისუფლების უკანონო აღკვეთა და ქორწინების იძულება 121
2. გაუპატიურება და ქორწინების იძულება 123
3. სქესობრივი დანაშაულები 124
4. ადევნება 126

წინასიტყვაობა

ადამიანთა დაცვა ძალადობისგან სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ვალდებულებაა. სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპიდან გამომდინარე, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომლის მეშვეობითაც თითოეული პირი მაქსიმალურად იქნება დაცული ნებისმიერი სახის დანაშაულისგან. განსაკუთრებით მწვავეა ოჯახში ჩადენილი და გენდერული ნიშნით მოტივირებული ძალადობის ფაქტები. ასეთ შემთხვევებში სახელმწიფოს ჩართულობა და მსხვერპლთა მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია. ამ მიმართულებით ბოლო წლებში სახელმწიფოს სამივე შტომ არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება გაატარა, რომელთა მიზანიც ასეთ დანაშაულთან ეფექტიანი ბრძოლაა.

საკანონმდებლო ცვლილებებიდან აღსანიშნავია სტამბულის კონვენციის რატიფიცირება 2017 წლის 5 აპრილს, რის საფუძველზეც განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს 2018 წლის 30 მაისისა და 30 ნოემბრის ცვლილებები, რომელთა საფუძველზეც, ერთი მხრივ, გაძლიერდა ქალთა მიმართ და ოჯახში ჩადენილი დანაშაულების პრევენცია, ხოლო, მეორე მხრივ, გამკაცრდა პასუხისმგებლობა ასეთი ძალადობისთვის.

აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ განხორციელებული საქმიანობის ეფექტიანობის ზრდაზე მეტყველებს შემაკავებელი ორდერე-

ბის გაცემის მზარდი სტატისტიკა ყოველწლიურად, რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მსხვერპლთა დაცვის სფეროში.

შეუძლებელია ადამიანთა რეალური დაცვა ოჯახში ჩადენილი თუ გენდერული ნიშნით მოტივირებული (ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ტიპის) დანაშაულისგან, თუ არ იარსებებს შესაბამისი სასამართლო პრაქტიკა, რომელიც, როგორც ნორმის შემფარდებელი, კანონის სწორი ინტერპრეტაციით უზრუნველყოფს საკანონმდებლო დონეზე გარანტირებული დაცვის სტანდარტის სრულ რეალიზაციას. სწორედ აღნიშნული სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვას ისახავს მიზნად წინამდებარე სახელმძღვანელო, რომელიც დახმარებას გაუწევს საკითხით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს.

რეცენზიები

ნათია ბარბაქაძე
თბილისის სააპელაციო სასამართლოს
სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე

ბოლო წლებში, განსაკუთრებით „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის რატიფიცირების შემდეგ, დღის წესრიგში დადგა სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა, კანონმდებლობაში განხორციელდა და ხორციელდება ცვლილებები, რაც შესაბამის ასახვას პოვებს აღნიშნული კატეგორიის საქმეთა განხილვისას. დღითი დღე კარგავს მხარდაჭერას მოსაზრებაც, რომ ოჯახში ძალადობა „ოჯახის საქმეა“ და იქვე უნდა მოგვარდეს, შესაბამისად, გაფართოვდა და დაიხვეწა სასამართლო პრაქტიკაც, რომლის განზოგადება მნიშვნელოვანია ამ სფეროში მოღვაწე იურისტებისთვის და არა მარტო მათთვის.

ავტორს საერთო სასამართლოების პრაქტიკის შესწავლის ფარგლებში მომზადებული აქვს საინტერესო ნაშრომი და სწორად უთითებს, რომ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

აღსანიშნავია, რომ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღ-მდეგ ბრძოლა პრობლემების კომპლექსური ხასიათით ვლინდება სა-მართლებრივ მხარესთან მიმართებითაც. განსაკუთრებით მნიშვნე-ლოვანია ამგვარი ძალადობის დაფარული ხასიათი, ოჯახის წევრების მიჯაჭვულობა და ნათესაური ურთიერთობები, ბავშვების ინტერესები და მსხვერპლის მოძალადესთან დაკავშირებული ბევრი სხვა ფაქტორი, რომლებიც გავლენას ახდენს საბოლოო შედეგზე.

წინამდებარე ნაშრომი მცდელობაა, თემატური, შინაარსობრივი და ფორმალური თვალსაზრისით წარმოჩენილ იქნას საქართველოს საერთო სასამართლოების სამართალწარმოების პრაქტიკა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებზე. იგი აერთიანებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა: აღკვეთის ღონისძიების პროპორციულობა და ადეკვატურობა, მტკიცებულება-თა საკმარისობის საკითხები, გენდერული დისკრიმინაციის ნიშნების გამოკვეთა, სასჯელის განსაზღვრა და ამ უკანასკნელ შემთხვევებში დაზარალებულის პოზიციის გათვალისწინება, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების კონკურენცია სასჯელის სახის შერჩე-ვისას, ბავშვთა და ქალთა მიმართ ძალადობა, ქორწინების იძულება, სქესობრივი დანაშაულები და ადევნება, რომელიც სიახლეა ქართულ მართლმსაჯულებაში.

ნაშრომში გაანალიზებულია სხვადასხვა სასამართლოს მიდგომები ერთსა და იმავე საკითხებზე, რაც გეოგრაფიული თვალსაზრისით უქმნის წარმოდგენას მკითხველს განსახილველ საკითხებზე.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წარმოდგენილი ნაშრომის გაცნობა საინტერესო იქნება ყველა დაინტერესებული პირისთვის, რომლებსაც შესაძლებლობა ექნებათ ერთ დოკუმენტში გაეცნონ მოსამართლეების შეხედულებებს, მსჯელობებსა და დამოკიდებულებებს განსახილველი თემატიკის ირგვლივ განხილულ საქმეებზე, ასევე ზემდგომი სასამარ-თლოების მიდგომებს, რაც მნიშვნელოვან ინფორმაციულ და სამართ-ლებრივ ბაზას შეუქმნის მათ.

ლონდა თოლორაია

შინაგან საქმეთა სამინისტრო
ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორი

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა ბოლო წლებში პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა. თუ საქართველოს უახლოეს წარსულში ეს თემა ტაბუდადებული იყო, დღეს აღნიშნულ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სახელმწიფო სტრუქტურების, არასამთავრობო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან. არაერთი ნაბიჯი გადაიდგა კანონმდებლობის სრულყოფის, პროფესიონალთა კვალიფიკაციის ამაღლების, საზოგადოების ცნობიერების გაზრდისა თუ მსხვერპლთა რეაბილიტაციაზე ორიენტირებული სერვისების დახვეწის მიზნით. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა შესახებ 2018 წლის ანგარიშში პოზიტიურად არის შეფასებული სახელმწიფო ორგანოების მიერ ოჯახში ძალადობისა და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის წინააღმდეგ განხორციელებული ღონისძიებები.

მიუხედავად მიღწეული პროგრესისა, ამ მიმართულებით კვლავ ბევრი გამოწვევაა: ქალების უმეტეს ნაწილს უჭირს ამ საკითხზე ხმამაღლა საუბარი; საზოგადოების უმრავლესობა ვერ ხედავს თავის აქტიურ როლს ძალადობის

წინააღმდეგ ბრძოლაში; ამ საკითხებზე მომუშავე პროფესიონალები ზოგჯერ ვერ უზრუნველყოფენ ძალადობის მსხვერპლთა საჭიროებებსა და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე მორგებული სამართალწარმოების პროცესს.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ამ დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლისა და მსხვერპლთა მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილების ერთ-ერთი მექანიზმი ამ სფეროში დასაქმებული პროფესიონალების კვალიფიკაციაა. ასევე მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის არსებობა და სისხლის სამართლის ერთიანი პოლიტიკის გატარება.

წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოადგენს მნიშვნელოვან დოკუმენტს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე პრაქტიკოსებისათვის: გამომძიებლებისთვის, პროკურორებისთვის, მოსამართლეებისთვის. გამომძიებელს იგი უქმნის ნათელ წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რა გარემოებებზე უნდა გაამახვილოს ყურადღება გამოძიების წარმოების პროცესში. ასევე, პროკურორს აწვდის ინფორმაციას, თუ როგორია სასამართლო პრაქტიკა ამგვარი სახის დანაშაულებთან მიმართებით, რაც მას გაუადვილებს შემაჯამებელი გადაწყვეტილებების მიღებასა და სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერას. მოსამართლეებს აძლევს საშუალებას გაეცნონ ანალოგიური შინაარსის დანაშაულზე გამოტანილ გადაწყვეტილებებსა და სხვა მოსამართლეთა მიდგომებს კანონის განმარტებისა თუ მოძალადის მიმართ გამოყენებული სასჯელების შესახებ.

სახელმძღვანელოში მოცემულია არა მხოლოდ სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენები, არამედ ავტორის მიერ გაანალიზებულია კონკრეტული მიმართულებებით არსებული პრაქტიკა და პრობლემები. სამწუხაროდ, ამ სფეროში მომუშავე პროფესიონალები არ არიან განებივრებულნი ასეთი ანალიტიკური სახელმძღვანელოებით.

დოკუმენტი დახმარებას გაუწევს არა მხოლოდ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე პრაქტიკოსებს, ასევე ამ საკითხით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს (სტუდენტს, მეცნიერ მუშაკს, მკვლევარს თუ სხვას).

შესავალი

ოჯახში ძალადობა კვლავ რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად, რაც აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებას მოითხოვს. სასამართლო სისტემა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, რადგან, უმეტესად, საბოლოო გადაწყვეტილების მიღება სწორედ სასამართლოს პრეროგატივაა.

ძალადობის დინამიკის კომპლექსურობის გათვალისწინებით, ზოგჯერ კანონები ვერ უზრუნველყოფენ ყველა სიტუაციისა თუ პრობლემის შეფასებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მოსამართლეთა მიერ სათანადო ნიუანსების გათვალისწინება, რასაც შეუძლია კიდევ უფრო გააუმჯობესოს მსხვერპლის ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე.

ნაშრომის მიზანია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილებების თავმოყრა, რათა დაინტერესებულ პირებს კიდევ უფრო გაუმარტივოს მათთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით სასამართლო განმარტებების ნახვა. აგრეთვე, აღნიშნული ხელს შეუწყობს სასამართლო და სამართალდამცავ ორგანოებში ერთგვაროვანი და თანმიმდევრული პრაქტიკის ჩამოყალიბებას, რაც, თავის მხრივ, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას უზრუნველყოფს.

ნაშრომი მოიცავს ამონარიდებს საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ 2016-2018 წლებში ოჯახში ძალადობის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებებიდან. ამ მიზნით შესწავლილ იქნა 50-ზე მეტი განაჩენი/განჩინება. ძირითადად გადაწყვეტილებები მოძიებულ იქნა სასამართლოებიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით; ასევე, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა საძიებო პროგრამის მეშვეობით. ამიტომ, შესწავლილი გადაწყვეტილებების მოცულობიდან გამომდინარე, აღნიშნულ სახელმძღვანელოს არ აქვს პრეტენზია, რომ სრულად ამოწურავს ოჯახში თუ ქალთა მიმართ ძალადობის სფეროში არსებულ ყველა გამოწვევასა და აღნიშნულ საქმეებზე მიღებულ ყველა მნიშვნელოვან განმარტებას.[1]

სახელმძღვანელოში თავმოყრილი გადაწყვეტილებები ეხება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, მათ შორის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბავშვების, საქმეებზე გაკეთებულ ზოგად განმარტებებს სასჯელის გამოყენებასა და დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით; აგრეთვე, გენდერული დისკრიმინაციის მოტივის განსაზღვრის დადებით ტენდენციებსა და მტკიცებულებების სიმწირის პრობლემატიკას. რიგ შემთხვევებში, წარმოდგენილი გადაწყვეტილებები სანიმუშოა არა პირის მიმართ გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენის გამოტანის თვალსაზრისით, არამედ მასში მოყვანილი განმარტებებიდან გამომდინარე. შესაბამისად, ცალკეულ შემთხვევებში, ყურადღება გამახვილებულია სასამართლო გადაწყვეტილების კონკრეტულად იმ ნაწილზე, რომელიც ნათლად ასახავს ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის საქმეების მიმართ მოსამართლეთა სწორ დამოკიდებულებას. თითოეული გადაწყვეტილების ბოლოს, სადაც საქმე იძლეოდა ამის შესაძლებლობას და არ ეხებოდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ან სხვა საკითხის განხილვას (სადაც სასამართლოს მიერ არ ხდება სასჯელის

[1] იმ გადაწყვეტილებებში, რომლებშიც საუბარია მეუღლის მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე, ყველა შემთხვევაში მსხვერპლი არის ქალი.

განსაზღვრა), მითითებულია მოსამართლის მიერ გამოყენებული სასჯელები. თუმცა, მოცემული სახელმძღვანელოს შესწავლის საგანი არ ყოფილა სასჯელის პროპორციულობისა და ადეკვატურობის ასევე, კვალიფიკაციის გამართულობისა თუ რელევანტურობის შეფასება, ვინაიდან აღნიშნული საკითხების შესწავლა დამატებით კვლევას საჭიროებს.

ამდენად, სახელმძღვანელოში წარმოდგენილი კარგი პრაქტიკის მაგალითები, რომლებიც, მათი სიმწირიდან გამომდინარე, შეიძლება არ ასახავდეს სასამართლოებში არსებულ საერთო სურათს, შეიცავს მნიშვნელოვან/საყურადღებო განმარტებებს ოჯახში ძალადობის საქმეებზე, რაც მსხვერპლზე ორიენტირებულ მიდგომასა და მოსამართლის დისკრეციის ჯეროვან გამოყენებაზე მიუთითებს.

თავი I.
ოჯახში ძალადობა და ოჯახური დანაშაული

1. ზოგადი მიდგომები ოჯახში ძალადობის საქმეებზე

ოჯახში ძალადობა ყველა ადამიანისათვის მგრძნობიარე მოვლენაა, რადგან ის ერთმანეთთან ემოციურად დაკავშირებულ პირებს შორის ხდება. ამიტომ მასზე საუბარი უჭირთ, რაც მსხვერპლისათვის დახმარების აღმოჩენას ართულებს, მოძალადეს კი დაუსჯელობის სინდრომი კიდევ უფრო ათამამებს. ეს პრობლემა საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ოჯახის წევრებს, არამედ საზოგადოებას, ვინაიდან ადამიანი სწორედ ოჯახიდან იღებს იმ ღირებულებებსა და ფასეულობებს, რომლებიც მას მთელი ცხოვრების განმავლობაში მიჰყვება. ხოლო, ძალადობრივ გარემოში გაზრდილი ადამიანი საბოლოოდ არაჯანსაღი საზოგადოების ჩამოყალიბებას განაპირობებს.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე სახელმწიფოს მიერ განხორციელებული არაერთი ღონისძიებისა და პოზიტიური ცვლილების მიუხედავად, კვლავ გამოწვევას წარმოადგენს პრევენციის ეფექტიანი მექანიზმების დანერგვა. მართლმსაჯულების ორგანოების კანონშესაბამისი და მსხვერპლის საჭიროებებზე მორგებული განმარტებების/მიდგომების განხორციელება კი ქმნის მნიშვნელოვან კლიმატს ამ დანაშაულების პრევენციის ხელშეწყობის თვალსაზრისით.

საქართველოს მთავარი პროკურატურის 2017 წლის ანგარიშის მიხედვით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული ოჯახური დანაშაულების შესწავლამ აჩვენა, რომ, უმეტეს შემთხვევაში, სამართალდამცავ ორგანოებს ძალადობის ფაქტებს მსხვერპლი ატყობინებს. თუმცა, ზოგ შემთხვევაში, შეტყობინების ავტორი არის მსხვერპლის ოჯახის წევრი, მისი ახლობელი, მეზობელი ან საავადმყოფო, რაც საზოგადოების განვითარებისა და მოქალაქეებში მართლშეგნების გაუმჯობესების დადებით ტენდენციაზე მიუთითებს.[2]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ოჯახში ძალადობის საქმეების შესწავლამ აჩვენა, რომ ამ დანაშაულების მსხვერპლები, ხშირ შემთხვევაში, ქალები, ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და მოხუცები არიან, რომელთა მოწყვლადი და უთანასწორო მდგომარეობა კიდევ უფრო აადვილებს მათზე ძალადობას. ამავე კვლევის შედეგებით ირკვევა, რომ ყოველწლიურად იზრდება ოჯახში ძალადობის დანაშაულებზე სასამართლოს მიერ საქმეების განხილვის მაჩვენებელი.[3]

ამ ყველაფრის ფონზე, სამართალდამცავი და მართლმსაჯულების ორგანოების წარმომადგენლები მნიშვნელოვანი პარტნიორები არიან ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის საქმეში. ამიტომ მნიშვნელოვანია, ამ ორგანოებს ჰქონდეთ სისტემური ხედვა და მიდგომა, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს სამართალწარმოების ხარისხს.

ქვემოთ მოცემული სასამართლო პრაქტიკის მაგალითები ნათლად ასახავს მოსამართლის პოზიტიურ და ადეკვატურ როლს ამ დანაშაულებზე სწორი ხედვის ჩამოყალიბების, მისი სპეციფიკის სიღრმისეულად გააზრებისა და კანონმდებლობის სათანადოდ განმარტების თვალსაზრისით.

---

2 იხ. მთავარი პროკურატურის ანგარიში: https://bit.ly/2RlBs2n

3 საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ოჯახში ძალადობის საქმეებში, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, 2017, 13.

საქმე №1

ზესტაფონის რაიონული სასამართლო **17 აგვისტო, 2017**

ბრალდების არსი: 2017 წლის 14 ივნისს, დაახლოებით 19:00 საათზე, საკუთარ საცხოვრებელ სახლში ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ბრალდებულმა საკუთარ მამას მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. კერძოდ, მარჯვენა ხელის მუშტი დაარტყა მარცხენა მხარეს სახის არეში. აგრეთვე, ამავე წლის 16 ივნისს, დაახლოებით 18:00 საათზე, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, ისევ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ბრალდებულმა საკუთარ მამას მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. კერძოდ, წააქცია, რის შემდეგაც წაქცეულს მარჯვენა ხელის მუშტი რამდენჯერმე დაარტყა სახისა და თავის არეში, ამავდროულად აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას. გარკვეული პერიოდი ბრალდებულმა შეწყვიტა მამის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, თუმცა შემდეგ კვლავ განაგრძო ძალადობა. ბრალდებულის მხრიდან განხორციელებული თითოეული ძალადობრივი აქტის შედეგად დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი და მიიღო მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის 1-ლი ნაწილი (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, 2 ეპიზოდი).

სასამართლოს შეფასება: მოსამართლემ ბრალდებული გაამტყუნა აღნიშნული დანაშაულის ჩადენაში და ამავდროულად მიუთითა, რომ **„სასამართლო ყურადღებას მიაქცევს სამართლიანობის აღდგენის აუცილებლობას, რაც გულისხმობს როგორც პირის მსჯავრდებას ჩადენილ ქმედებაში, ასევე ამ ქმედებისთვის ადეკვატურ სასჯელს, რა-**

მაც უნდა უზრუნველყოს დაზარალებულისათვის მიყენებული ტკივილისა და უფლებების დარღვევის კომპენსირება. ასევე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კერძო და ზოგადი პრევენცია, რაც ემსახურება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მსხვერპლის დაცვას მოძალადისაგან. ზოგადი პრევენციის შესაფასებლად, სასამართლო ხაზს უსვამს საქართველოში ოჯახში ძალადობის ფაქტების მომრავლებას, რაც წარმოადგენს სოციალურ პრობლემას და მისი აღმოფხვრისა და პრევენციის მიზნით აუცილებელია, მოძალადეს განესაზღვროს ადეკვატური სასჯელი, რომლის მიზანია როგორც ბრალდებულზე, ასევე სხვა პირებზე ზემოქმედებაც, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით.“

მსგავსი განმარტება გვხვდება საქალაქო/რაიონული სასამართლოების არაერთ გადაწყვეტილებაში, მათ შორის, თბილისის საქალალაქო სასამართლოს 2017 წლის 9 თებერვლისა და 10 აპრილის საქმეებში.

სასჯელი: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 130 (ასოცდაათი) საათის ვადით.

საქმე №2

ზესტაფონის რაიონული სასამართლო **11 ოქტომბერი, 2017**

ბრალდების არსი: 2017 წლის ივლისსა და აგვისტოში ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ბრალდებულმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მეუღლეს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რის შემდეგაც რამდენჯერმე დაარტყა ხელი თავის არეში (ივლისის ეპიზოდი) და მარჯვენა მკლავზე (აგვისტოს ეპიზოდი). აგრეთვე, 2017 წლის 11 და 12 აგვისტოს ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ამჯერადაც ურთიერთშელაპარაკებისას მამას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, შემდეგ ორჯერ დაარ-

ტყა ხელი სახის არეში, რამდენჯერმე – თავის არეში (11 აგვისტოს ეპიზოდი) და, ასევე, ხელი და ფეხი რამდენჯერმე დაარტყა წელის არეში (12 აგვისტოს ეპიზოდი).

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის 1-ლი ნაწილი (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, 4 ეპიზოდი).

სასამართლოს განმარტება: გარდა იმისა, რომ მოცემულ საქმეზე მოსამართლემ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა, აღნიშნული გადაწყვეტილება სანიმუშოა ოჯახში ძალადობის შინაარსისა და მისი შემადგენელი კომპონენტების განმარტების ნაწილში.

„ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით. განსახილველ დანაშაულში მითითებული „ძალადობა“ უნდა გავიგოთ, როგორც ცემა და სხვაგვარი ძალადობა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მას შედეგად არ უნდა მოჰყვეს ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებაც კი. ცემა ძალადობის ერთ-ერთი სახეა და ნიშნავს სხვა პირის სხეულზე ერთდროულად რამდენიმე დარტყმას, რაც დაზარალებულის ფიზიკურ ტკივილს იწვევს. სხვაგვარი ძალადობა იმით განსხვავდება ცემისგან, რომ იგი შეიძლება გამოიხატოს ერთჯერად ძალმომრეობით ქმედებაში/აქტში (ხელის გარტყმა, ხელის კვრა, ფეხის ჩარტყმა, თმებზე მოქაჩვა და ა.შ.). ამ შემთხვევაშიც აუცილებელია, მსხვერპლმა განიცადოს ფიზიკური ტკივილი. შესაბამისად, განსახილველი დანაშაულის შედეგი არის ის, რომ მსხვერპლი ფიზიკურ ტკივილს გრძნობს. იგი შეიძლება ჩადენილ იქნეს ხელით, ფეხით, რაიმე მკვრივი საგნით და სხვა. ცემა და სხვაგვარი ძალადობა ხშირად

ტოვებს გარკვეულ კვალს ადამიანის სხეულზე. კერძოდ, დაჟეჟილობას, დალილავებას ან მცირე სისხლნაჟღენთის კვალს, რასაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი აღნიშნავს დასკვნაში. თუმცა, ზოგჯერ ცემის ან/და სხვაგვარი ძალადობის შედეგად შესაძლოა, სხეულს, სხეულის ზედაპირს არანაირი კვალი არ დაეტყოს. ასეთ შემთხვევაში ძალადობის ფაქტის დადგენის ტვირთი მთლიანად სასამართლოზეა, რომელიც დაეყრდნობა მსხვერპლისა და მოწმის ჩვენებებს, ასევე საქმის სხვა გარემოებებს“. ანალოგიურ განმარტებას აკეთებს ზესტაფონის რაიონული სასამართლო ოჯახში ძალადობის სხვა საქმეებშიც, კერძოდ, 2017 წლის 4 ივლისისა და 17 აგვისტოს გადაწყვეტილებებში.

სასჯელი: ძირითადი სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 6 (ექვსი) თვის ვადით, რაც ჩაეთვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 1 (ერთი) წელი, დამატებითი სასჯელი – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 100 (ასი) საათის ვადით.

საქმე №3

რუსთავის საქალაქო სასამართლო **7 აგვისტო, 2018**

ბრალდების არსი: 2018 წლის 23 ივნისს, დაახლოებით 22:00 საათზე, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ბრალდებულმა მეუღლეს მოსთხოვა შერიგება და თავიანთ საცხოვრებელ სახლში დაბრუნება, რაზეც დაზარალებულმა უარი განუცხადა. ამის შემდეგ ბრალდებულმა მეუღლე უცენზურო სიტყვებით მოიხსენია. აღნიშნულ კონფლიქტში ჩაერთო დაზარალებულის ძმა, რომელმაც სიძეს მოსთხოვა მისი დისთვის პატივისცემით მიემართა. საპასუხოდ მოძალადემ გენდერული დისკრიმინაციის მოტივით, კერძოდ, იმის დემონსტრირებით,

რომ ცოლი იყო ქმრის საკუთრება და ჰქონდა მისი ცემისა და შეურაცხყოფის უფლება, მეუღლეს თავში ჩაარტყა მუშტი, რის შედეგადაც ამ უკანასკნელმა განიცადა ფიზიკური ტკივილი.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის 1-ლი ნაწილი (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია).

სასამართლოს განმარტება: მოსამართლემ დანაშაულის სამართლებრივი შეფასებისას ყურადღება გაამახვილა ოჯახში ძალადობის ბუნებასა და ხასიათზე და აღნიშნა, რომ **„ოჯახში ძალადობა ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული და გავრცელებული ფორმაა ძალადობისა. იგი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებობს და საზოგადოების ყველა ფენას მოიცავს. ოჯახში ძალადობას ახასიათებს ფარული და განგრძობადი ხასიათი და არის სპეციფიკური დანაშაული, რადგან ხორციელდება ოჯახის წევრის/წევრების მიერ ოჯახის სხვა წევრის/წევრების მიმართ. ამ ტიპის დანაშაულად ითვლება ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობა და იძულება. ხოლო, ოჯახში ძალადობის სისხლისსამართლებრივი რეგულირების საკითხი დღის წესრიგში დადგება მაშინ, თუ ოჯახის წევრებს შორის განხორციელებული ძალადობა შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს.....ოჯახში ძალადობა ხშირ შემთხვევაში იწვევს ჯანმრთელობის სერიოზულ გაუარესებას, ფიზიკურ და ემოციურ აშლილობას, რაც შეიძლება ფატალური შედეგით დასრულდეს..... ძალადობა არის ყოველგვარი ქმედება ან სიტყვა, რომლებსაც შეუძლია ადამიანი შეურაცხყოს, ზიანი მოუტანოს ან შეულახოს კანონით მინიჭებული უფლებები. ძალადობის დროს ითრგუნება ადამიანის ნება, შელახულია მისი ხელშეუხებლობა, ღირსება და თავისუფლება, რომლებიც ადამიანის განუყოფელი უფლებებია“.**

მოსამართლე იშველიებს ევროპის საბჭოს კონვენციას „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ“ (ე.წ. სტამბოლის კონვენცია), რომელზე დაყრდნობითაც აღნიშნავს, რომ ოჯახის შიგნით მომხდარ დანაშაულს უფრო ძლიერი ტრავმის გამოწვევა შეუძლია, ამიტომ ამგვარი დანაშაულის ჩამდენი უფრო მკაცრად უნდა დაისაჯოს. ამ ყველაფრის ფონზე, მოსამართლემ ბრალდებული დამნაშავედ ცნო მეუღლის მიმართ ძალადობაში.

სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა 8 (რვა) თვის ვადით, რაც ჩაეთვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 2 (ორი) წელი.

შეჯამება

ამდენად, წარმოდგენილი გადაწყვეტილებები ცხადყოფს, რომ მოსამართლეთა მხრიდან სწორად არის აღქმული როგორც პრობლემის სიმწვავე და მასშტაბები, ისე ოჯახში ძალადობის მარეგულირებელი ნორმები. კერძოდ, მიუთითებენ, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლი მოიაზრებს ორი სახის ძალადობას – ფიზიკურსა და ფსიქოლოგიურს, რომელთაც შედეგად უნდა მოჰყვეს ტკივილი ან ტანჯვა. აგრეთვე, ზემოხსენებულ გადაწყვეტილებებში განვითარებულია მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ ფიზიკური ძალადობის დროს სხეულზე დაზიანების კვალის არარსებობა არ გამორიცხავს ძალადობის ფაქტს და ასეთ დროს მოსამართლე ხელმძღვანელობს სხვა მტკიცებულებებით (მსხვერპლისა და მოწმის ჩვენებებით და ა.შ).

2. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პროპორციულობა და ადეკვატურობა

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის თანახმად, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, სხვა საკითხებთან ერთად, სასამართლო განიხილავს, თუ აღკვეთის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა და ხელი არ შეუშალოს გამოძიებას მანამ, სანამ საქმეზე საბოლოო განაჩენი დადგება.

კანონმდებლობა აღკვეთის ღონისძიების შემდეგ სახეებს გვთავაზობს: გირაო, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა, სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა, არასრულწლოვნის მეთვალყურეობაში გადაცემა და პატიმრობა.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღკვეთის სათანადო ღონისძიების გამოყენება, ვინაიდან, აღნიშნული დანაშაულის ბუნებიდან გამომდინარე, შედარებით მაღალია დანაშაულებრივი ქმედების გაგრძელების საფრთხე. ამიტომ მნიშვნელოვანია პირველი წარდგენის სხდომაზე გამოყენებულ იქნეს სავარაუდო დანაშაულის პროპორციული და ადეკვატური ღონისძიება, რომელიც არ შეუქმნის პოტენციურ საფრთხეს ძალადობის მსხვერპლების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

ამ თავში წარმოდგენილი მაგალითები აღწერს მოსამართლეთა მიერ ბრალდებულისგან მომდინარე რისკების სწორად შეფასებისა და აღკვეთის შესაბამისი ღონისძიების გამოყენების შემთხვევებს.

საქმე №1

თბილისის სააპელაციო სასამართლო **18 იანვარი, 2017**

ბრალდების არსი: ბრალდებულმა არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით ფიზიკურად იძალადა მეუღლეზე, რამაც ამ უკანასკნელის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, ჩადენილი არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ).

სასამართლოს განმარტება: მოცემული შემთხვევა და სასამართლოს განმარტება ეხება ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტას. პირველი ინსტანციის სასამართლომ მოძალადეს აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდა პატიმრობა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გაასაჩივრა ბრალდებულის ადვოკატმა და მოითხოვა პატიმრობის მაგივრად გირაოს დაკისრება, იმ მოტივით, რომ დაზარალებული შერიგებული იყო ბრალდებულთან, რაც კონფლიქტის გაგრძელების არარსებობაზე მიუთითებდა. ამიტომაც, ადვოკატის მტკიცებით, მხარეებს სურდათ ოჯახური თანაცხოვრების გაგრძელება.

სააპელაციო სასმართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის მოსამართლის მსჯელობა და აღნიშნა, რომ, მართალია, მოცემულ შემთხვევაში, დაცვის მხარემ წარმოადგინა ახალი გარემოება, დაზარალებულის განცხადება პრეტენზიის არქონის თაობაზე, თუმცა აღნიშნული დოკუმენტი არ განეკუთვნებოდა ისეთი არსებითი მნიშვნელობის მქონე

მტკიცებულებას, რომელსაც შეეძლო, გავლენა მოეხდინა აღკვეთის ღონისძიების გადახედვაზე. ამიტომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება პატიმრობის შეფარდების შესახებ.

„საგამოძიებო კოლეგია აგრეთვე აღნიშნავს, რომ ოჯახში ძალადობა, რაც ტრადიციულად მიიჩნეოდა ოჯახის „შიდა საქმედ“, გასცდა ამ ვიწრო გაგებას და იგი დღეის მდგომარეობით მიჩნეულია ისეთ დანაშაულად, რომელიც საფრთხეს უქმნის არა მარტო ცოლ-ქმრის ურთიერთობას, არამედ მცირეწლოვანი შვილების ნორმალურ ფსიქიკურ გარემოში განვითარებას.“

საქმე №2

თბილისის სააპელაციო სასამართლო **24 ნოემბერი, 2017**

ბრალდების არსი: 2017 წლის ნოემბერში, დაახლოებით 02:00 საათზე, ბრალდებულმა ორსულ მეუღლეს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, თავი ჩაარტყა სახის არეში, უკბინა ორივე ხელის მტევანზე და მარჯვენა ბეჭის არეში, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, ჩადენილი წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ).

სასამართლოს განმარტება: აღნიშნული შემთხვევა და შემდგომში სასამართლოს განმარტება ეხება ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გადაწყვეტის საკითხს. კერძოდ, პირველი წარდგენის სხდომაზე მოსამართლემ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სა-

ხით დააკისრა გირაო 1000 (ათასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული გადაწყვეტილება ბრალდების მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში და მიუთითა, რომ ბრალდებულის მიმართ შერჩეული ღონისძიება – გირაო ვერ უზრუნველყოფდა მის სათანადო ქცევას შემდეგ გარემოებათა გამო: ბრალდებული წარსულში გასამართლებული იყო ძალადობრივი ხასიათის დანაშაულის ჩადენის, აგრეთვე – ადმინისტრაციულსახდელდადებული პოლიციის მიმართ წინააღმდეგობის გაწევის გამო, რაც მიუთითებდა მის უარყოფით პიროვნულ მახასიათებელზე. ბრალდების მხარემ ისიც აღნიშნა, რომ მის მიმართ ბრალად წარდგენილი ქმედება იყო ძალადობრივი ხასიათისა, რაც ზრდიდა ახალი დანაშაულის ჩადენისა და მოწმეებსა და დაზარალებულზე ზემოქმედების რისკს. პროკურორმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ ბრალდებული ემალებოდა გამოძიებას და რამდენიმე დღე არ იმყოფებოდა საცხოვრებელ ადგილზე, რაც მიუთითებდა მისი მხრიდან მიმალვის საფრთხის არსებობაზე. ამ ყველაფრის ფონზე, ბრალდების მხარემ მოითხოვა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება.

საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლემ გაიზიარა ბრალდების მხარის პოზიცია, გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება გირაოს გამოყენების თაობაზე და ბრალდებულს შეუფარდა პატიმრობა.

„საკითხის განხილვისას სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია ყურადღებას მიაქცევს ოჯახში ძალადობის საქმეებზე დანაშაულებრივი ქმედების საშიშ ხასიათსა და სიმძიმეს, რაც არ გამოიხატება მხოლოდ მოსალოდნელი სასჯელის ზომაში. იგი პირდაპირაა დაკავშირებული შესაძლო მოსალოდნელ მძიმე შედეგთან, ძალადობის მსხვერპლის დაუცველობასთან და აღნიშნული საზოგადოებისათვის საშიშ ქმედებასა და სახელმწიფოს ინტერესების არსებით შელახვას უკავშირდება“.

მოცემულ საქმეში მოსამართლემ ყურადღება დაზარალებულის პოზიციასა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სახელმწიფო სერვისებზეც გაამახვილა.

„საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ, ბრალდებულის განცხადებით, დაზარალებული მხოლოდ მასზეა დამოკიდებული და სხვა მიმხედავი არავინ ჰყავს... დაზარალებულს მეუღლესთან პრეტენზია არ გააჩნია, რაც თავად დაადასტურა სასამართლო სხდომაზე და ითხოვა ბრალდებულის მიმართ შეღავათები. შესაბამისად, დაზარალებულის პოზიცია და ბრალდებულის მატერიალურ მდგომარეობაზე მისი დამოკიდებულება აჩენს გონივრულ ეჭვს იმის შესახებ, რომ, შესაძლოა მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს რეალური გარანტია მსხვერპლის დაცვისა და მასზე ზემოქმედების შესაძლებლობების სრულად აღმოფხვრისათვის, რაც სახელმწიფოს (პროკურატურის) პოზიტიური ვალდებულებაა, რისი შესაძლებლობაც არსებობს, მოქმედი კანონმდებლობიდან და შესაბამისი ბაზიდან გამომდინარე, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მიზნით. კერძოდ, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრის) სახით. ამ მხრივ, საგულისხმოა ისიც, რომ დაზარალებული ამ ეტაპზე ცხოვრობს სოციალურად დაუცველთა შესაბამის თავშესაფარში, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ მსხვერპლის დაცვისა და მასზე ზემოქმედების შესაძლებლობების სრულად აღმოფხვრის მიზნით დაზარალებულზე, ასევე გავრცელდეს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების პირობებიც, რათა ეს უკანასკნელი არ იყოს თუნდაც მატერიალურად დამოკიდებული მოძალადეზე და აღნიშნულმა შემდეგში არ გამოიწვიოს უფრო მძიმე შედეგები“.

„რაც შეეხება დაზარალებულის შემრიგებლურ პოზიციას, საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ აღნიშნული მართლაც არის მნიშვნელოვანი გარემოება აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვისას,

მაგრამ იგი არ არის გადამწყვეტი და უპირობოდ არ იწვევს ბრალდებულისათვის არასაპატიმრო ღონისძიების გამოყენებას. მხოლოდ დაზარალებულის პოზიციის გათვალისწინებით, ბრალდებულისათვის ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების განსაზღვრა არ არის მიზანშეწონილი, რადგან იგი ვერ გამორიცხავს, ბრალდებულის პიროვნების აგრესიული და გაუწონასწორებელი ხასიათიდან გამომდინარე, ახალი დანაშაულის ჩადენისა და დაზარალებულზე ზემოქმედების საფრთხეებს. ამასთან, დაზარალებულის პოზიცია უნდა შეფასდეს არა განყენებულად და დამოუკიდებლად, არამედ ბრალდებულის პიროვნებასთან, ქმედების ხასიათთან, მოსალოდნელ საფრთხეებთან დაკავშირებით არსებული რისკების ხარისხთან და საქმის სხვა არსებით გარემოებებთან ერთობლიობაში, რომლებიც გავლენას ახდენენ აღკვეთის კონკრეტული ღონისძიების მართლზომიერებაზე“.

შეჯამება

ზემოხსენებული გადაწყვეტილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ მოსამართლეთა მხრიდან სწორად არის შეფასებული ოჯახში ძალადობის ბუნება და მისი არაერთჯერადი ხასიათი, რასაც განსაკუთრებული დატვირთვა აქვს აღკვეთის ღონისძიების შერჩევის დროს. მოსამართლე უპირობოდ არ ითვალისწინებს დაზარალებულის მოსაზრებას მოძალადის მიმართ შეღვათიანი პირობების განსაზღვრასთან დაკავშირებით და მიუთითებს, რომ მსხვერპლის პოზიცია უნდა შეფასდეს არა განყენებულად, არამედ ბრალდებულისაგან მომდინარე საფრთხეებსა და რისკებთან ერთობლიობაში. მოსამართლე ხაზს უსვამს ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების განსაკუთრებულ როლს და მათ მსხვერპლთა დაცვისა და მოძალადეზე მატერიალური დამოკიდებულების შეცვლის მექანიზმის მნიშვნელობას ანიჭებს.

3. გენდერული დისკრიმინაციის მოტივისა და წინარე ძალადობრივი ისტორიის გამოკვლევა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლისა და „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) თანახმად, ქალის მიმართ ძალადობა არის მისი დისკრიმინაციის ფორმა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობების, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის.

სასჯელის დამძიმების მნიშვნელობის გარდა, დანაშაულის ჩადენის მოტივის დადგენა ხშირად დანაშაულის სწორი კვალიფიკაციის აუცილებელი წინაპირობაა. მოტივისა და მიზნის განსაზღვრა იძლევა დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის დამნაშავის ფსიქიკური მდგომარეობისა და დამნაშავის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის შეფასების შესაძლებლობას. სწორედ ამიტომ სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილი სასამართლოს ავალდებულებს, სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინოს დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი, ვინაიდან ჩადენილი დანაშაულისათვის სწორი კვალიფიკაციის შერჩევა და სასჯელის მიზნების მიღწევა შეუძლებელია ჩადენილი დანაშაულის მიზეზებისა და დამნაშავის ფსიქოლოგიური მდგომარეობის, მისი წარმოდგენების შესწავლის გარეშე.[4]

---

[4] დვალიძე, ი., „მოტივი და მიზანი საქართველოს სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში,“ ქართული სამართლის მიმოხილვა, 10/2007-2-3, თბილისი, 270.

იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ჰქონდა ქალზე ძალადობას, გამოძიება უნდა წარიმართოს იმ დაშვებით, რომ შესაძლოა დანაშაული მოხდა გენდერული დისკრიმინაციის მოტივით.[5] შესაბამისად, ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფაქტზე უნდა დადგინდეს, დანაშაულის ჩადენის მოტივი ხომ არ იყო ქალის გააქტიურებული როლის ან ტრადიციების საწინააღმდეგო ქცევისადმი მოძალადის აგრესიული დამოკიდებულება. მოძალადის სტერეოტიპული შეხედულებები ქალის როლის მიმართ ძირითადად ვლინდება შემდეგ წარმოდგენებში: მამაკაცი მეუღლეს მიიჩნევს საკუთრებად, რაც გამოიხატება იმაში, რომ ქალს არ აქვს უფლება მეუღლის ნებართვის გარეშე გავიდეს სახლიდან, ეკონტაქტოს ნათესავებსა და მეგობრებს, ისარგებლოს ტელეფონით თუ სოციალური ქსელით, მიიღოს განათლება, იმუშაოს და ა.შ. შესაბამისად, გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია ვლინდება ისეთ გარემოში, სადაც ქალს წართმეული აქვს უფლება, თავად მიიღოს გადაწყვეტილება იმ საკითხებზე, რომლებიც მისი პირადი ცხოვრების სფეროს განეკუთვნება.

ამდენად, ოჯახში ძალადობასა და ოჯახურ დანაშაულებზე გამოძიებისა და საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს გენდერული დისკრიმინაციის მოტივის გამოკვეთას. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ დანაშაული მოხდა გენდერული დისკრიმინაციის საფუძველზე, ამ გარემოებამ მოძალადისათვის პასუხისმგებლობის დამძიმების, მისთვის უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრის როლი უნდა შეასრულოს. აღნიშნული მოტივი კი უნდა დადგინდეს შესაბამისი ინდიკატორების გამოყენებით, რაც დაზარალებუ-

[5] გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში UN Doc. A/HRC/23/49 (14 მაისი, 2013 წელი), §73; ასევე, იხ: IACtHR, Case of Gonzalez et al. ("Cotton Field") v. Mexico, 2009 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება, §455; იხ: დეკანოსიძე, თ., ფემიციდის საქმეების განაჩენები 2014, საიას კვლევა, თბილისი, 2016, 18-19. ასევე, იხ: ევრობის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია) ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ, 11.05.2011, სტამბოლი, მუხლი: 3 (ა); იხ: დეკანოსიძე, თ., ფემიციდის საქმეების განაჩენები 2014, საიას კვლევა, თბილისი, 2016, 35.

ლის/მოწმის ჩვენებებისა და სხვა მტკიცებულებების საფუძველზე უნდა იქნეს შესწავლილი.

სტამბოლის კონვენცია ჩამოთვლის იმ დამამძიმებელ გარემოებებს, რომლებიც მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ქალთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების შემთხვევაში, მათ შორის, როდესაც დანაშაულს წინ უსწრებს ან თან სდევს უკიდურესი დონის ძალადობა.[6] ამიტომ, დანაშაულის ჩადენის გენდერული მოტივის გამოკვეთასთან ერთად, უაღრესად მნიშვნელოვანია მსხვერპლის მიერ ბრალდებულის მხრიდან წარსულში გადატანილი ძალადობრივი ისტორიის გათვალისწინებაც, რაც, ასევე, მოძალადისათვის სასჯელის დამძიმებას უნდა დაედოს საფუძვლად.

ქვემოთ მოცემული სასამართლო პრაქტიკის მაგალითები არის სანიმუშო ოჯახში ძალადობის საქმეებზე გენდერული დისკრიმინაციის მოტივის გამოკვეთის/შესწავლის, სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამის მუხლზე მითითების, მსხვერპლის მიერ წარსულში განცდილი ძალადობის გათვალისწინებისა და მისი დამამძიმებელ გარემოებად მიჩნევის თვალსაზრისით.

საქმე №1

გორის რაიონული სასამართლო **23 იანვარი, 2018**

ბრალდების არსი: 2017 წლის 15 ნოემბერს, დაახლოებით 19:00 საათზე, ბრალდებულმა ერთ-ერთი ინდივიდუალური მეწარმის კუთვნილი საბანკეტო დარბაზის ეზოში სქესის გამო შეუწყნარებლობის მოტივით, მეუღლის დამორჩილებისა და გაკონტროლების მიზნით განახორციელა ოჯახში ძალადობა, კერძოდ, სახის არეში ხელის ერთხელ

[6] „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია, მუხლი 46.

დარტყმით მეუღლეს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, რის შედეგადაც დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი და მიიღო სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად. აგრეთვე, იმავე დროს, ბრალდებული მეუღლეს სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა, რა დროსაც დაზარალებულს გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის 1-ლი ნაწილი (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია) და 11[1]-151-ე მუხლის პირველი ნაწილი (მუქარა ოჯახის წევრის მიმართ, ე.ი. სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მისი განხორციელების საფუძვლიანი შიში).

სასამართლოს შეფასება: სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები საკმარისი იყო ბრალდების ორივე ეპიზოდში ბრალდებულის დამნაშავედ ცნობისა და მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. აგრეთვე, დამნაშავის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებზე მსჯელობისას, სასამართლომ განმარტა, რომ **„სასამართლო პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს სქესზე დაფუძნებული დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ძალადობის ჩადენას მეუღლის მიმართ (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის 3[1] ნაწილი). სასამართლო, ასევე, მოიხმობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს, რომლებშიც პირდაპირ არის მითითებული სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებაზე, დროულად აამოქმედოს ადეკვატური სისხლისსამართლებრივი მექანიზმები ოჯახური ძალადობის ფაქტებზე მართლმსაჯულების ეფექტიანი განხორციელების მიზნით.“**

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ძალადობის წინარე ისტორიაზეც და განმარტა, რომ **„სასამართლო შეფასების გარეშე ვერ დატოვებს ბრალდებულის ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას. მოცემული მტკიცებულებების ერთობლიობით დადგენილია, რომ დაზარალებული, რომელიც დაოჯახების დღიდან იყო დიასახლისი, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში განიცდიდა ფსიქოლოგიურ ძალადობას მეუღლის მხრიდან, რის გამოც 2017 წლის თებერვლიდან შეწყვიტა ქმართან თანაცხოვრება და არასრულწლოვან შვილებთან ერთად იმავე საცხოვრებელ კორპუსში, სხვა ბინაში, გადავიდა საცხოვრებლად. მეუღლესთან დაშორების შემდეგ დაზარალებულმა შვილების რჩენის მიზნით დაიწყო მუშაობა, რაც გახდა ბრალდებულის გაღიზიანებისა და ეჭვიანობის მორიგი მიზეზი. ძალადობრვი დანაშაულების ჩადენისას ბრალდებული დაჟინებით მოითხოვდა მეუღლის სახლში დაბრუნებას, რადგან მიიჩნევდა, რომ დაზარალებულმა მუშაობის დაწყებით შვილები უმეთვალყურეოდ დატოვა.“**

სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა 9 (ცხრა) თვის ვადით.

საქმე №2

გორის რაიონული სასამართლო **7 სექტემბერი, 2017**

ბრალდების არსი: 2017 წლის მაისში, საღამოს საათებში, ბრალდებულმა საცხოვრებელ სახლსა და ეზოში სქესის გამო შეუწყნარებლობის მოტივით, მისი დამორჩილების მიზნით იძალადა მეუღლეზე. კერძოდ, სახის არეში ხელის რამდენჯერმე დარტყმით მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, რის შედეგადაც დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი. აგრეთვე, ბრალდებული მეუღლეს დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით, რის გამოც დაზარალებულს გაუჩნდა მისი განხორციელების საფუძვლიანი შიში.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის 1-ლი ნაწილი (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია) და 11[1]-151-ე მუხლის პირველი ნაწილი (მუქარა ოჯახის წევრის მიმართ, ე.ი. სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მისი განხორციელების საფუძვლიანი შიში).

სასამართლოს განმარტება: სასამართლომ მიმოიხილა ქალთა ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის არსებული საერთაშორისო ინსტრუმენტები, ეროვნული კანონმდებლობა და ფაქტობრივი გარემოებები და დაასკვნა, რომ დანაშაული ჩადენილ იქნა დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, რაც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნია (საქართველოს სისხლის სამართლოს კოდექსის 53[1] მუხლის 1-ლი ნაწილი).

„სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფომ ქალის მიმართ შეუწყნარებლობის მოტივით განხორციელებული ძალადობის ფაქტზე დროული რეაგირება მოახდინა, რითაც შეასრულა პოზიტიური ვალდებულება ოჯახში ძალადობის აღსაკვეთად, ადეკვატური სისხლისსამართლებრივი მექანიზმების მყისიერი ამოქმედების თვალსაზრისით. სამართალდამცავი ორგანოების ამგვარმა დროულმა რეაგირებამ, საბოლოო ჯამში, უზრუნველყო ძალადობის მსხვერპლი ქალის დაცვა და საქმეზე დროული, ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელება.“

„სასამართლო შეფასების გარეშე ვერ დატოვებს ბრალდებულის ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას. მტკიცებულებების ერთობლიობით დადგენილია, რომ დაზარალებული წლების განმავლობაში განიცდიდა ფსიქოლოგიურ ძალადობას მეუღლის მხრიდან მხოლოდ იმ მიზეზით, რომ იგი არის ქალი. მოძალადე

მეუღლეს სისტემატურად უზღუდავდა შვილებთან და ნათესავებთან ურთიერთობას, არ აძლევდა უფლებას, კონტაქტი ჰქონოდა მეზობლებთან და დაუკითხავად გასულიყო სახლიდან, რის გამოც დაზარალებული მუდმივად განიცდიდა მორალურ ტანჯვას. ბრალდებული სასტიკად გაუსწორდა იმ ქალს, რომელთანაც ჰყავს რვა შვილი და დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი ძალადობრივი ქმედებით სცადა მისი დამორჩილება.“

ანალოგიურად დაასაბუთა გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ 2016 წლის 24 ივნისსა და 2017 წლის 10 მარტს მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებშიც ბრალდებულის მიერ ცოლის მიმართ ჩადენილი ძალადობა დისკრიმინაციად შეაფასა და ეს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნია.

სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა 9 (ცხრა) თვის ვადით.

საქმე №3

გორის რაიონული სასამართლო **18 იანვარი, 2017**

ბრალდების არსი: ბრალდებულმა განახორციელა ოჯახში ძალადობა შვილის მიმართ. კერძოდ, სახის არეში რამდენჯერმე დაარტყა ხელი, რის შედეგადაც დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი და მიიღო სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება, ჯანმრთელობის მოუშლელად.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის 1-ლი ნაწილი (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია).

სასამართლოს განმარტება: მოცემულ საქმეში სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს/ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის მიერ ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებებსა (Beganovic v. Croatia, 25.06.2009; A.T. v. Hungary, 26.01.2005; Kontrova v. Slovakia, 31.05.2007; Branko Tomazic an others v. Croatia, 15.01.2009; Opuz v. Turkey, 09.06.2009) და სხვა საერთაშორისო დოკუმენტებზე (გაეროს დეკლარაცია „ქალთა წინააღმდეგ ძალადობის აღკვეთის შესახებ," 1993; ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2002 წლის 30 აპრილის რეკომენდაცია ქალთა ძალადობისაგან დაცვის შესახებ და ა.შ). აღნიშნულ ინსტრუმენტებზე დაყრდნობით, სასამართლომ დაასკვნა, რომ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა, ქალთა მიმართ ჩადენილ ძალადობაზე განახორციელოს დროული და ეფექტური რეაგირება.

„სასამართლო შეფასების გარეშე ვერ დატოვებს ბრალდებულის ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას. მტკიცებულებების ერთობლიობით დადგენილია, რომ დაზარალებული მშობლების დაშორების შემდეგ, არასრულწლოვნობის ასაკში, მათი მზრუნველობის გარეშე დარჩა. მამის მეორე მეუღლესთან უსიამოვნების გამო დაზარალებული სისტემატურად განიცდიდა ფსიქოლოგიურ ძალადობას მამის მხრიდან, რომელიც, მისი ნების საწინააღმდეგოდ, მზრუნველობამოკლებული შვილისაგან უსამართლოდ მოითხოვდა მეორე მეუღლის მიმართ დამოკიდებულების შეცვლას. ამის გამო, ბრალდებული წლების განმავლობაში სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა შვილს, რომელიც, საბოლოოდ, მამისვე უმოწყალო ძალადობის მსხვერპლი გახდა. მთვრალ მდგომარეობაში მყოფი ბრალდებული რამდენიმე წუთის განმავლობაში სცემდა შვილს, რომელსაც არ ჰქონდა უნარი, შეეკავებინა მოძალადე მამაკაცის მართლსაწინააღმდეგო ქმედება."

პროკურორის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე მოსამართლემ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი. ხოლო, პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნია სქესზე დაფუძნებული დისკრიმინაცია და დანაშაულის ჩადენა შეუწყნარებლობის მოტივით, რომელსაც ადგილი ჰქონდა შვილის (ახალგაზრდა ქალის) მიმართ. აგრეთვე, დამამძიმებელ გარემოებად განსაზღვრა დანაშაულებრივი ქმედების განხორციელება მთვრალ მდგომარეობაში.

სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა 6 (ექვსი) თვის ვადით.

საქმე №4

თბილისის საქალაქო სასამართლო **28 სექტემბერი, 2016**

ბრალდების არსი: 1998 წლიდან ბრალდებული მეუღლეს სისტემატურად აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, რის გამოც დაზარალებული განიცდიდა ტანჯვას. 2016 წლის 20 ივლისს ქ. თბილისში ბრალდებულმა მეუღლეს დანის გამოყენებით მიაყენა ჭრილობა მარცხენა მკლავის არეში, რის შედეგადაც ქალმა განიცადა ფიზიკური ტკივილი. იმავე დღეს ბრალდებული არაერთხელ დაემუქრა მეუღლეს სიცოცხლის მოსპობითა და ჯანმრთელობის დაზიანებით, რაც დაზარალებულმა აღიქვა რეალურად და გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში. აგრეთვე, იმავე დღეს ბრალდებულმა დაზარალებულის კუთვნილ ძაღლს, მისი წვალების მიზნით, დანის გამოყენებით მიაყენა ნაკვეთი ჭრილობა.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126^1 მუხლის 1-ლი ნაწილი (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა და სისტემატური შეურაცხყოფა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა გამოიწვია), 11^1-151-ე მუხლის პირველი ნაწილი (მუქარა ოჯახის წევრის მიმართ, ე.ი. სიცოცხლის

მოსპობისა და ჯანმრთელობის დაზიანების მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მისი განხორციელების საფუძვლიანი შიში) და 259-ე მუხლის 1-ლი ნაწილი (ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობა, რამაც მისი დაღუპვა ან დასახიჩრება გამოიწვია).

სასამართლოს შეფასება: **„სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა ბრალდებულმა დაზარალებულის მიმართ განახორციელა ორი დამოუკიდებელი ქმედება. ასევე, იძალადა დაზარალებულის ძაღლზე, რათა მეუღლისათვის მიეყენებინა ტკივილი. ამრიგად, მისი სახით საქმე გვაქვს მოძალადესთან, რომელიც ახორციელებს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას ოჯახის წევრის – ქალის მიმართ, რაც ადამიანის უფლებათა დარღვევა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ფორმაა და წარმოადგენს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას. ამავდროულად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის 1-ლი ნაწილით სასჯელის განსაზღვრისას, სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებებს, რომ ბრალდებულის მხრიდან დაზარალებულის მიმართ ძალადობას ჰქონდა სისტემატური ხასიათი და ეს უკანასკნელი 18 წლის განმავლობაში მუდმივ სტრესსა და შიშში ცხოვრობდა, რის გამოც მიზანშეწონილად მიიჩნევს, მის მიმართ სასჯელის სახით გამოყენებულ იქნეს ამ მუხლით გათვალისწინებული სანქციის მაქსიმალური ზღვარი“.**

სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით.

საქმე №5

თბილისის საქალაქო სასამართლო **17 იანვარი, 2017**

ბრალდების არსი: 2016 წლის აგვისტოდან ამავე წლის 10 ოქტომბრამდე ბრალდებული ყოფილ მეუღლეს პერიოდულად ემუქრებოდა სი-

ცოცხლის მოსპობით. 2016 წლის 10 ოქტომბერს ბრალდებული დანის დემონსტრირებით დაემუქრა დაზარალებულს, რომ მის შვილს ყელს გამოსჭრიდა, რის გამოც მას გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1]-151-ე მუხლის 1-ლი ნაწილი (მუქარა ოჯახის წევრის მიმართ, ე.ი. სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მისი განხორციელების საფუძვლიანი შიში).

სასამართლოს განმარტება: „სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ბრალდებულმა დაზარალებულის მიმართ ჩაიდინა დანაშაული, რითაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში მსხვერპლს ურღვევდა ფსიქიკურ ხელშეუხებლობას და მშვიდი ცხოვრების უფლებას, რათა გამოეწვია მასში შიში, სათანადო მოქმედების შესრულების სანაცვლოდ. ამრიგად, საქმე გვაქვს მოძალადესთან, რომელიც ახორციელებს ფსიქიკურ ძალადობას ოჯახის წევრის – ქალის მიმართ, რაც ადამიანის უფლებების დარღვევა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ფორმაა და წარმოადგენს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას."

სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა 9 (ცხრა) თვის ვადით.

საქმე №6

რუსთავის საქალაქო სასამართლო **7 აგვისტო, 2018**

ბრალდების არსი: 2018 წლის 23 ივნისს, დაახლოებით 22:00 საათზე, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ბრალდებულმა მეუღლეს მოსთხოვა შერიგება და თავიანთ საცხოვრებელ სახლში დაბრუნება, რაზეც დაზარალებულმა უარი განუცხადა. ამის შემდეგ ბრალდებულ-

მა მეუღლე უცენზურო სიტყვებით მოიხსენია. აღნიშნულ კონფლიქტში ჩაერთო დაზარალებულის ძმა, რომელმაც სიძეს მოსთხოვა, მისი დისთვის პატივისცემით მიემართა. საპასუხოდ მოძალადემ გენდერული დისკრიმინაციის მოტივით, კერძოდ, იმის დემონსტრირებით, რომ ცოლი იყო ქმრის საკუთრება და ჰქონდა მისი ცემისა და შეურაცხყოფის უფლება, მეუღლეს თავში ჩაარტყა მუშტი, რის შედეგადაც ამ უკანასკნელმა განიცადა ფიზიკური ტკივილი.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის 1-ლი ნაწილი (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია).

სასამართლოს განმარტება: მოცემულ საქმეზე მოსამართლემ დამნაშავედ ცნო მოძალადე წარდგენილ ბრალდებაში. ხოლო, დაზარალებული ქალის მიმართ მეუღლის მხრიდან განხორციელებული ძალადობა გენდერული ნიშნით დისკრიმინაციად შეაფასა, რაც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნია.

„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლი განსაზღვრავს სასჯელის დამამძიმებელ გარემოებებს, მათ შორის მითითებულია, რომ დანაშაულის ჩადენა გენდერული დისკრიმინაციის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ მიიჩნია, რომ ტ.ო.-ს მიერ რ.ო.-ს მიმართ ძალადობა ჩადენილია გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის მოტივით, რაც სასჯელის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს.“

სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა 8 (რვა) თვის ვადით, რაც ჩაეთვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 2 (ორი) წელი.

საქმე №7

რუსთავის საქალაქო სასამართლო **8 ივნისი, 2018**

ბრალდების არსი: 2018 წლის 2 მაისს საცხოვრებელ სახლში ბრალდებულმა თავის დაზე ფიზიკურად იძალადა გენდერული დისკრიმინაციის მოტივით. კერძოდ, მოძალადემ, სტერეოტიპული შეხედულებებიდან გამომდინარე, მიიჩნია, რომ დას არ აქვს უფლება მისი ნებართვის გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება ისეთ საკითხებზე, რომლებიც მის პირად ცხოვრებას ეხება და ყველაფერი უნდა შეუთანხმოს ძმას. სწორედ აღნიშნული მოტივით, იმის გამო, რომ დაზარალებული ძმის ნებართვის გარეშე გავიდა სახლიდან, ბრალდებულმა რამდენჯერმე დაარტყა მუშტები სახის არეში, რის გამოც დაზარალებული წაიქცა და დაკარგა ცნობიერება. გონზე მოსვლის შემდეგ ბრალდებულმა დას კვლავ დაარტყა მუშტები სახის, ზურგისა და მუცლის არეში, რის შედეგადაც დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის 1-ლი ნაწილი (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია).

სასამართლოს განმარტება: მოცემულ საქმეზე მოსამართლემ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი. ხოლო, გადაწყვეტილებაში ვრცლად მიმოიხილა ევროპის საბჭოს კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ“ და სასჯელის დასაბუთებისას, პასუხიმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებზე მსჯელობისას, აღნიშნა, რომ დანაშაულის ჩადენა გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის მოტივით იყო პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება.

„კონვენცია მკაფიოდ აცხადებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა არ არის პირადი საქმე. პირიქით, იგი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ოჯახის შიგნით მომხდარ დანაშაულს ბევრად უფრო ძლიერი ტრავმის გამოწვევა შეუძლია, ამიტომ ამგვარი დანაშაულის ჩამდენი უფრო მკაცრად უნდა დაისაჯოს, როდესაც მსხვერპლი მისი ოჯახის წევრია. აგრეთვე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლი განსაზღვრავს სასჯელის დამამძიმებელ გარემოებებს, მათ შორის მითითებულია, რომ დანაშაულის ჩადენა გენდერული დისკრიმინაციის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს მიაჩნია, რომ ბრალდებულის მიერ დაზე ძალადობა ჩადენილია გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის მოტივით, რაც სასჯელის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს.“

სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა 7 (შვიდი) თვის ვადით, რაც ჩაეთვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 1 (ერთი) წელი და 6 (ექვსი) თვე.

საქმე №8

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო **11 ოქტომბერი, 2017**

ბრალდების არსი: 2017 წლის 25 აგვისტოს, დაახლოებით 15:00 საათზე, თეთრიწყაროს რაიონის ერთ-ერთ სოფელში მდებარე საცხოვრებელ სახლში ბრალდებულმა გენდერული ნიშნით შეუწყნარბელობის მოტივით, კერძოდ, თუ რატომ წყვეტდა დაზარალებული, დამოუკიდებლად გასაუბრებოდა მეზობელს და მიეცა მისთვის რჩევა, სახის არეში ხელის ორჯერ დარტყმით ფიზიკურად, ხოლო, თანაცხოვრების ბოლო ორი წლის მანძილზე – სისტემატური შეურაცხყოფითა და

დამცირებით ფსიქოლოგიურად იძალადა მეუღლეზე, რის შედეგადაც დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილი (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა და დამცირება, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა გამოიწვია).

სასამართლოს შეფასება: მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ საქმეზე გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, რაც, ასევე, გულისხმობს მოძალადის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას, პროკურორის ინიციატივითა და მოსამართლის გადაწყვეტილებით, სსკ-ის 53[1] მუხლის საფუძველზე, გენდერული დისკრიმინაციის ნიშნით დანაშაულის ჩადენა მიჩნეულ იქნა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად.

სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა 9 (ცხრა) თვის ვადით, საიდანაც დამნაშავეს 3 (სამი) თვის მოხდა განესაზღვრა საპატიმრო დაწესებულებაში, ხოლო დარჩენილი 6 (ექვსი) თვე ჩაეთვალა პირობითად და დაუდგინდა ერთწლიანი გამოსაცდელი ვადა.

შეჯამება

ზემოხსენებულ გადაწყვეტილებებში მოსამართლეები პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევენ გენდერული ან სქესის ნიშნით დისკრიმინაციას, სსკ-ის 53[1] მუხლის შესაბამისად. აგრეთვე, აფასებენ წინარე ძალადობრივ ისტორიას და ყურადღებას ამახვილებენ მსხვერპლისა და მოძალადის თანაცხოვრების განმავლობაში არსებულ კონფლიქტურ სიტუაციაზე. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, უმეტეს შემთხვევაში მოსამართლეებმა საპატიმრო სასჯელი გამოიყენეს.

4. მტკიცებულებების საკმარისობა და დაზარალებულის მიერ გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენების შეცვლა/ჩვენების მიცემაზე უარის თქმა

ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის საქმეებზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა. ვინაიდან ხშირ შემთხვევაში მხოლოდ მსხვერპლია ძალადობის ფაქტის თვითმხილველი, ამიტომ მისი ჩვენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად, რადგან ზოგჯერ შეუძლებელია სხვა მტკიცებულებების მოპოვება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 49-ე და 50-ე მუხლების თანახმად, მოწმეს უფლება აქვს, არ მისცეს ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მას ან მის ახლო ნათესავს. ამასთან, მოწმედ დაკითხვისა და საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორ-მაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულება არ ეკისრება ბრალდებულის ახლო ნათესავს. ხოლო, ვინ მოიაზრებიან ახლო ნათესავებად, აღნიშნულ ჩამონათვალს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს. კერძოდ, კანონმდებლობის მიზნებიდან გამომდინარე, ახლო ნათესავებად ითვლებიან: მშობელი, მშვილებელი, შვილი, მინ-დობით აღსაზრდელი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული, ანუ ყოფილი მეუღლე). ამდენად, აღნიშნული პირები სარგებლობენ პრივილეგიით, არ მისცენ ჩვენება ახლო ნათესავ-თა წრეში მოხსენიებული სუბიექტების წინააღმდეგ, მათ შორის, ოჯახში ძალადობის საქმეებზე. თუმცა, მიუხედავად ამისა, საგამოძიებო და სასა-მართლო პრაქტიკა იცნობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც, დაზარალებუ-ლის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიუხედავად, გამამტყუნებელი განაჩენი იქნა მიღებული.

ქვემოთ მოყვანილია პრეცედენტული საქმეები, რომლებშიც, დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიუხედავად, მოსამართლემ სხვა მტკიცებულებების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა. ამავე თავში წარმოდგენილია სასამართლო პრაქტიკის ისეთი შემთხვევებიც, რომელთა განხილვისას მსხვერპლის ჩვენების არარსებობის გამო ბრალდებული გაამართლეს. ეს უკანასკნელი მაგალითები, ერთი მხრივ, სამართალდამცველთა მხრიდან დაზარალებულთან სათანადო კომუნიკაციისა და მხარდაჭერის გაუმჯობესებაზე მიუთითებს, ხოლო, მეორე მხრივ, ალტერნატიული მტკიცებულებების მოძიების აუცილებლობაზე მეტყველებს.

საქმე №1

საქართველოს უზენაესი სასამართლო **20 თებერვალი, 2018**

ბრალდების არსი: 2015 წლის 30 აპრილს, დაახლოებით 23:30 საათზე, საცხოვრებელ სახლში ბრალდებულმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე თან ნაქონი დანით მამის მოკვლა სცადა.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-19-108-ე მუხლი (განზრახ მკვლელობის მცდელობა ოჯახის წევრის მიმართ).

სასამართლოს განმარტება: დაზარალებულმა სასამართლოში დაკითხვისას უარყო შვილის მხრიდან მკვლელობის მცდელობის ფაქტი და აღნიშნა, რომ დაზიანებები მიიღო თავისი დაუდევრობით, წნელებზე დაცემის შედეგად. აღნიშნულის გათვალისწინებით, რაიონულმა და სააპელაციო სასამართლოებმა ბრალდებული გაამართლეს წარდგენილ ბრალდებაში. თუმცა, უზენაესმა სასამართლომ შეცვალა ქვედა ინსტანციების მიერ მიღებული გადაწყვეტილება და პირი დამნაშავედ ცნო მამის მკვლელობის მცდელობაში.

უზენაესი სასამართლო აღნიშნულ დასკვნამდე მივიდა შემდეგი ძირითადი გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, საერთო კონტექსტის გათვალისწინებით, იძლეოდა პირის დამნაშავედ ცნობის საფუძველს, კერძოდ:

- დაზარალებულმა სხეულზე არსებული დაზიანებები ოთახში შესვლისას სიბნელეში წაქცევითა და ბასრი პირის მქონე ნერგის წნელებზე დაცემით ახსნა. თუმცა, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმითა და მოწმეთა ჩვენებებით (რომლებსაც დაჭრილთან პირველადი შეხება ჰქონდათ) შემთხვევის ადგილზე წნელების არსებობის ფაქტი არ დადასტურდა. აგრეთვე, ექსპერტის განმარტებით, დაზარალებულს ნაკვეთი ჭრილობები ჰქონდა, რომლებიც შეიძლება მიყენებული ყოფილიყო მჭრელი საგნით, მათ შორის, დანით. პალატა ყურადღებას ამახვილებს დაზიანებების სიმრავლეზე, მათ ლოკალიზაციასა და ზომებზე, რომლებიც აგრეთვე საეჭვოს ხდიდა დაზარალებულის წნელებით დაზიანების ფაქტს;
- ბრალდებულს დაკავებისა და პირადი ჩხრეკის დროს ამოუღეს ორი დანა, რომელთაც მოწითალო ფერის ლაქები აღენიშნებოდა. ასეთივე ლაქები ეცხო ბრალდებულის ტანსაცმელზე. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ აღმოჩენილი სისხლი, გენეტიკური პროფილის მიხედვით, დაზარალებულის სისხლის იდენტური იყო.

ამდენად, სასამართლომ იმსჯელა და საკმარისად მიიჩნია ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, საქმეში წარმოდგენილი ზეპირი და წერილობითი მტკიცებულებები საეჭვოს ხდიდა და ეწინააღმდეგებოდა დაზარალებულის ჩვენებას მის სხეულზე მრავლობითი დაზიანების წარმოშობის შესახებ, რის გამოც იგი ვერ ჩაითვლებოდა უტყუარად. შესაბამისად, მოსამართლეთა შეფასებით, მსხვერპლის ჩვენება არ იყო სანდო და დამაჯერებელი. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ დაზარალებულის ჩვენება მიმართული იყო ოჯახის წევრის – შვილის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან არიდებისაკენ.

„საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ოჯახური დანაშაული, მისი ბუნებიდან გამომდინარე, მოწმეთა სიმრავლით არ გამოირჩევა. დანაშაულის მსხვერპლი შესაძლოა თავისი ოჯახის წევრისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან არიდებას ცდილობდეს, რის გამოც მისი ჩვენების უტყუარობა საქმეში არსებული ყველა ფაქტობრივი გარემოებისა და მტკიცებულების დეტალური ანალიზით უნდა შეფასდეს."

სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა 7 (შვიდი) წლის ვადით.

საქმე №2

საქართველოს უზენაესი სასამართლო **1 მაისი, 2018**

ბრალდების არსი: 2016 წლის იანვარში, ღამის საათებში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში ბრალდებულმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მეუღლეს. კერძოდ, დაახლოებით 30 წუთის განმავლობაში სცემდა ხელებითა და ფეხებით სახისა და ტანის არეში, რითაც დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი და მიიღო სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის 1-ლი ნაწილი (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია).

სასამართლოს განმარტება: აღნიშნულ საქმეზე საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა გამოიტანეს გამამართლებელი განაჩენი

მტკიცებულებათა არასაკმარისობის გამო. მოწმეებმა (დაზარალებულმა და ბრალდებულის დედამ) ისარგებლეს სსსკ-ის 49-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებებით და სასამართლოში არ მისცეს ჩვენება ბრალდებულის წინააღმდეგ, თუმცა სააპელაციო სასამართლოში, კანონით დადგენილი წესით, მოწმის სახით დაიკითხა დაზარალებული, რომელმაც დეტალურად აღწერა მეუღლის მხრიდან მასზე ძალადობის ფაქტი. დაზარალებულმა გაიხსენა, თუ როგორ სცემა მეუღლემ 2017 წლის იანვარში ხელებითა და ფეხებით, ასევე სკამის ფეხითა და იარაღის კონდახით. ამავდროულად, აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში ჩვენების მიცემის წინა დღეს მისი მეუღლე მოჰყვა ავტოავარიაში, რის გამოც შეეცოდა და უარი თქვა ჩვენების მიცემაზე. დაზარალებულის გარდა, საქმეში წარმოდგენილი იყო ჩვენება გამომძიებლისა, რომელიც პირველად შეხვდა დაზარალებულს. გამომძიებლის განმარტებით, ძალადობის ფაქტიდან დაახლოებით 15 წუთში დაზარალებული გამოიპარა სახლიდან და მოვიდა პოლიციაში. მოწმემ აღნიშნა, რომ მსხვერპლი იყო შეშინებული და სხეულზე აღენიშნებოდა დაზიანებები. მან გამომძიებელს განუცხადა, რომ ქმარმა მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა.

სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ბრალდებულის უდანაშაულოდ ცნობის შესახებ. ბრალდების მხარემ გადაწყვეტილება გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში და მოითხოვა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა.

საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურორის საჩივარი, გაამტყუნა ბრალდებული მეუღლის მიმართ ძალადობაში და მიუთითა, რომ **„დაზარალებულის ჩვენება, რომელიც დეტალურად და დამაჯერებლად მიუთითებს მეუღლის მხრიდან განხორციელებულ ძალადობაზე, სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა და გამომძიებლის**

ჩვენება, რომლებიც ამყარებენ დაზარალებულის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, პალატის მოსაზრებით, ქმნის საკმარის მტკიცებულებათა ისეთ ერთობლიობას, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა ბრალდებულის მიერ მისთვის ინკრიმინირებული დანაშაულის ჩადენაში“.

ამავე გადაწყვეტილებაში სასამართლომ აღნიშნა, რომ ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის პროცესში სასამართლოს აკისრია განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი როლი, ვინაიდან მან უნდა დააკისროს მოძალადეს პასუხისმგებლობა, თუმცა ამავდროულად მიუთითა, რომ ეს არ უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო აქტებით გარანტირებული ბრალდებულის უფლებების დარღვევის ხარჯზე.

სასჯელი: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 150 (ას ორმოცდაათი) საათის ვადით.

საქმე №3

თბილისის საქალაქო სასამართლო **2 აგვისტო, 2018**

ბრალდების არსი: 2018 წლის აპრილში, დაახლოებით 17:00 საათზე, ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფი ბრალდებული დანის გამოყენებით სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა ყოფილ მეუღლეს, რის გამოც ამ უკანასკნელს გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-151-ე მუხლის პირველი ნაწილი (მუქარა ოჯახის წევრის მიმართ, ე.ი. სი-

ცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მისი განხორციელების საფუძვლიანი შიში).

სასამართლოს განმარტება: აღნიშნულ საქმეში დაზარალებულმა ისარგებლა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით მისთვის მინიჭებული უფლებით და არ მისცა ყოფილი მეუღლის მამხილებელი ჩვენება. თუმცა, მიუხედავად ამისა, მოსამართლემ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი სხვა მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე.

„მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს განსახილველი საქმის თავისებურებებზე პირდაპირი ხასიათის მტკიცებულებათა მოპოვების სირთულის თვალსაზრისით... აღნიშნული აიხსნება იმით, რომ, როგორც წესი, ოჯახური დანაშაული ჩადენილია ჩაკეტილ სივრცეში, რომლის მონაწილეებიც მხოლოდ ბრალდებული და დაზარალებული ან ოჯახის სხვა წევრები არიან, რომლებსაც მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული აქვთ უფლება, არ მისცენ ახლო ნათესავის მამხილებელი ჩვენება და, როგორც პრაქტიკა მოწმობს, სხვადასხვა მოტივით ხშირად სარგებლობენ კიდეც ამ უფლებით. შესაბამისად, სრულყოფილი გამოძიების ჩატარების პირობებშიც კი, ბრალდების მხარე ობიექტურად მოკლებულია შესაძლებლობას, მრავლად მოიპოვოს და სასამართლოს წარუდგინოს აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე დანაშაულებრივი ფაქტის დამადასტურებელი პირდაპირი მტკიცებულებები“.

მოსამართლე აღნიშნავს, რომ პირდაპირი მტკიცებულებების მოპოვება კიდევ უფრო რთულდება მუქარის შემთხვევაში, თუ იგი ბრალდებულის მიერ განხორციელებულია პირადად, დაზარალებულთან პირისპირ ან სატელეფონო საუბრით (და არა მიმოწერით ან მესამე პირის მეშვეობით, როდესაც დამნაშავე დაზარალებულს შეუთვლის

მუქარას) და ასეთი საუბარის შემსწრე მესამე პირი არ არსებობს. თავად ბრალდებული და დაზარალებული კი, როგორც შემთხვევის ერთადერთი მონაწილეები, სარგებლობენ მათთვის კანონით მინიჭებული უფლებებით და არ აწვდიან სასამართლოს ინფორმაციას. მოსამართლემ აღნიშნა, რომ მოცემულ საქმეში სწორედ ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

სასამართლომ შეაფასა შემდეგი ძირითადი მტკიცებულებები სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში (პროცესუალური დოკუმენტები და სხვა მასალები):

- ჩვენება მოწმისა, რომელმაც განმარტა, რომ ბრალდებული ბაღში იყო მისული ბავშვის წამოსაყვანად, როდესაც იმყოფებოდა ალკოჰოლური თრობის ქვეშ. მოწმემ განმარტა, რომ აღნიშნულის შესახებ მან აცნობა დაზარალებულს, რომელიც დარეკვიდან რამდენიმე წუთში მივიდა ადგილზე, რის შემდეგაც მათ დატოვეს ბაგა-ბაღის ტერიტორია;
- ჩვენება მოწმისა, რომელსაც დაურეკა დაზარალებულმა და უთხრა, რომ ყოფილი მეუღლე დაემუქრა დანით მაშინ, როდესაც ბრალდებული შვილის წამოსაყვანად საბავშვო ბაღში იყო მისული;
- ადმინისტრაციული რეაგირების დოკუმენტები: კერძოდ, 2018 წლის მარტში გამოცემული შემაკავებელი ორდერი, რომლითაც დგინდებოდა, რომ ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ბრალდებული დაზარალებულს აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას. აგრეთვე, საქმეში წარმოდგენილი იყო მასალები, რომლებიც ადასტურებდა, რომ ბრალდებულმა დაარღვია მოქმედი შემაკავებელი ორდერის პირობები, რის გამოც დაკავებულ იქნა ადმინისტრაციული წესით.

ამდენად, სასამართლომ ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, შეაფასა და მხედველობაში მიიღო მხარეთა მიერ არასადავოდ მიჩნეული მტკი-

ცებულებები, მათ შორის, ირიბი ჩვენებები და, წარდგენილი მტკიცებულებების შინაარსიდან გამომდინარე, შექმნა ლოგიკური ჯაჭვი, რა დროსაც იხელმძღვანელა როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო სტანდარტებით.

მოსამართლემ ყურადღება ძალადობის გამეორების რისკებზეც გაამახვილა და აღნიშნა, რომ სასამართლოსთვის უცნობია, ამოწურული იყო თუ არა კონფლიქტი ყოფილ მეუღლეებს შორის და არსებობს თუ არა რეციდივის რისკი, რადგან, მართალია, დაზარალებულმა არ მისცა ჩვენება, მაგრამ მან სასამართლოს განუმარტა მხოლოდ ის, რომ მისი თვითმიზანი არ იყო ბრალდებულის თავისუფლების აღკვეთის პირობებში ყოფნა, არამედ სურდა, რომ მოძალადე გამოსწორებულიყო და ეცხოვრა ნორმალურად. მოსამართლემ სასჯელის განსაზღვრისას გაითვალისწინა ისიც, რომ, მისი შეფასებით, ბრალდებული, საქმისადმი თავისი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, ვერ აცნობიერებდა მის მიერ განხორციელებული ქმედების ხასიათსა და დანაშაულებრიობას.

სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა 6 (ექვსი) თვის ვადით.

საქმე №4

რუსთავის საქალაქო სასამართლო **21 ივნისი, 2018**

ბრალდების არსი: 2018 წლის აპრილში საცხოვრებელ ბინაში ბრალდებულმა გენდერული დისკრიმინაციის მოტივით, იმის გამო, რომ ცუდ ხასიათზე იყო და არ სურდა, მისი მეუღლე წასულიყო სამსახურში, ფიზიკურად იძალადა მასზე. კერძოდ, დაზარალებულს სამჯერ ჩაარტყა სკამი თავში, ასევე მოქაჩა თმა და გააგდო სახლიდან.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის 1-ლი ნაწილი (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია).

სასამართლოს განმარტება: მოცემული საქმე სანიმუშოა როგორც მტკიცებულებების შეფასების, ისე ოჯახში ძალადობის პრობლემატიკის სათანადოდ გააზრების კონტექსტში.

სასამართლო სხდომაზე დაზარალებულმა უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე თავისი მეუღლის წინააღმდეგ. ასევე, ბრალდებულმა ისარგებლა მისი კანონიერი უფლებით და სასამართლოს ჩვენება არ მისცა. აგრეთვე, ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, დაზარალებულს გარეგნული დათვალიერებით სხეულზე ფიზიკური დაზიანების ნიშნები არ აღმოაჩნდა, მაგრამ ექსპერტის პირადი გასინჯვის საფუძველზე დგინდებოდა, რომ მსხვერპლი უჩიოდა ტკივილებს თავისა და კისრის არეში. საინტერესოა ისიც, რომ, მართალია, პოლიციის თანამშრომლები უშუალოდ არ შესწრებიან ძალადობის ფაქტს, თუმცა მათ გამოჰკითხეს/ახსნა-განმარტება ჩამოართვეს მსხვერპლს, რომელიც პოლიციელებს მოუყვა მის მიმართ განხორციელებული ძალადობის ისტორიას. შესაბამისად, მოსამართლეს მათი ჩვენების სისწორესა და დამაჯერებლობაში ეჭვი არ შეუტანია.

„დაზარალებულის პოზიციის მიუხედავად, 2018 წლის აპრილში განვითარებული მოვლენების ლოგიკური ანალიზისა და მოწმე პატრულ-ინსპექტორების, გამომძიებლის ჩვენებების, შემაკავებელი ორდერის, დაზარალებულის შეტყობინების, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის დასკვნისა და სხვა მტკიცებულებების საფუძველზე, სასამართლოს დადასტურებულად მიაჩნია ძალადობის რეალურობა. სწორედ მის მიმართ განხორციელებულმა ძალადობამ და შექმნილმა სიტუაციამ აიძულა მსხვერპლი, დაერეკა 112-ში და ეთხოვა დახმარება თავდაცვის მიზნით“.

მოსამართლე გამამტყუნებელი განაჩენის დასაბუთებისას იშველიებს შემდეგ არგუმენტებს:

- სასამართლო განმარტავს, რომ პოლიციელები ირიბ მოწმეებადაც რომ განვიხილოთ, ეს მაინც არ ნიშნავს ამ პირთა ჩვენებების სრულ უგულებელყოფას, რადგან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით, აბსოლუტურად არ გამოირიცხება ირიბი ჩვენების დასაშვებობა და მისი გამამტყუნებელ მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობა. გადაწყვეტილების 36-ე პუნქტში მითითებულია, რომ „საკონსტიტუციო სასამართლო არ გამორიცხავს, გამონაკლის შემთხვევაში, ირიბი ჩვენების გამოყენების შესაძლებლობას, რისი აუცილებლობაც შეიძლება წარმოიშვას მაშინ, როდესაც ინფორმაციის ავტორი-მოწმე დაშინებულია, თავად ვერ ახერხებს ან არ სურს ჩვენების მიცემა და ამ ჩვენებას ემყარება ირიბი ჩვენება და ეს აუცილებელია მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე“;
- მოსამართლის შეფასებით, დაზარალებულის მიერ სასამართლოსთვის ჩვენების მიცემაზე უარის თქმა, გარდა იმისა, რომ ეს მისი კანონიერი უფლებაა, შეიძლება აიხსნას ასევე ისეთი მოვლენით, როგორიც არის „სტოკჰოლმის სინდრომი,“ სიმპათიისა და მიზიდულობის პარადოქსული რეაქცია, რომელიც მსხვერპლს აგრესორის მიმართ ახასიათებს. ამ მექანიზმს აგრესორთა იდენტიფიკაცია ეწოდება და მოქმედებს მაშინ, როდესაც ამ ირაციონალური პოზიციის გასამყარებლად მოძალადე აღიქმება, როგორც სიმპათიური და კარგი ადამიანი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მასთან იდენტიფიცირება გაძნელდება. სასამართლო დაზარალებულის ქცევას მოძალადეზე ფინანსური დამოკიდებულებითაც ხსნის. კერძოდ, დაზარალებულები, რომლებსაც ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები და არ გააჩნიათ დამოუკიდებელი შემოსავალი, ბავშვების გამოკვების მოტივით, იძულებულები არიან, თავი მსხვერპლად შესწირონ მოძალადეს და უარი თქვან ჩვენების მიცემაზე. მოსამართლე ყურადღებას ამახვილებს მოძალა-

დისაგან მომდინარე შურისძიების შიშზეც, ვინაიდან ძალიან ხშირად მოძალადე დაზარალებულს ადანაშაულებს და საყვედურობს პოლიციისათვის მიმართვის გამო. მოცემულ შემთხვევაში მოსამართლემ დაზარალებულის მიერ სასამართლოში ჩვენების მიცემაზე უარის თქმა ზემოხსენებული არგუმენტებით ახსნა;

- მოსამართლემ სათანადო მსჯელობა სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნასაც დაუთმო და განმარტა, რომ, სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის დისპოზიციის შესაბამისად, დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს არ წარმოადგენს დაზარალებულის სხეულზე ფიზიკური დაზიანებების არსებობა. შესაბამისად, პირის მიმართ განხორციელებულმა ძალადობამ შეიძლება გამოიწვიოს ორგანიზმის ანატომიური მთლიანობის დარღვევა (ნაკაწრები, სისხლნაჟღენთები, ზედაპირული დაჟეჟილობა, მცირე ჭრილობები და ა.შ.), მაგრამ შეიძლება არც გამოიწვიოს ასეთი შედეგი და მხოლოდ ფიზიკურ ტკივილში ან ცოტა ხნით შეუძლოდ ყოფნაში გამოიხატოს. ხოლო, ფიზიკური ტკივილის განცდა ინდივიდუალური შეგრძნებაა და თითოეული ადამიანი მას აღიქვამს საკუთარი ემოციებისა თუ მგრძნობელობის შესაბამისად. ამდენად, თუ ძალადობის შედეგად სხეულზე დარჩა დაზიანებები, ისინი უნდა შეფასდეს სიმძიმის ხარისხის ზოგადი წესების შესაბამისად. თუ ძალადობის შედეგად სხეულზე დაზიანების რაიმე ობიექტური ნიშანი არ რჩება, მაშინ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი თავის დასკვნაში აღნიშნავს დაზარალებულის ჩივილებს, მიუთითებს, რომ ობიექტური ნიშნები აღმოჩენილი არ არის და სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხს ვერ განსაზღვრავს. ასეთ დროს ძალადობის ფაქტის დადგენა და ფიზიკური ტკივილის განცდის შეფასება სასამართლოს კომპეტენციაა;
- სასამართლო განმარტავს, რომ მხოლოდ ფიზიკური ტკივილის სუბიექტური აღქმა არ შეიძლება იყოს დანაშაულებრივი ქმედების განმსაზღვრელი (მაგალითად, 10-12 თვის ბავშვის ან იმ ბავშვის მიმართ, რომელსაც, ასაკიდან გამომდინარე, ჯერ არ შეუძლია საუბარი). სა-

სამართლოს აზრით, ძალადობა არის თუ არა ფიზიკური ტკივილის გამომწვევი, უნდა შეფასდეს არა მარტო სუბიექტური, არამედ ობიექტური კრიტერიუმების გათვალისწინებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოდის, რომ ფიზიკური ტკივილის მიყენების ფაქტის დადგენა ნებისმიერ შემთხვევაში ობიექტურად შეუძლებელი იქნება, რადგან მცირეწლოვანი ბავშვების აბსოლუტური უმრავლესობა ვერბალურად ვერ გამოთქვამს ემოციებსა და გრძნობებს.

ზემოხსენებულ საკითხებთან ერთად, პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებზე მსჯელობისას მოსამართლემ მიუთითა სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის მიხედვითაც, დანაშაულის ჩადენა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის. ანალოგიურად განმარტა და შეაფასა მოსამართლემ კანონმდებლობა და არსებული მტკიცებულებები 2018 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებაშიც, რომელშიც, დაზარალებულის მიერ სასამართლოში ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიუხედავად, გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა.

სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა 6 (ექვსი) თვის ვადით.

საქმე №5

თბილისის საქალაქო სასამართლო **17 მაისი, 2017**

ბრალდების არსი: 2015 წლის 24 სექტემბერს, დაახლოებით 20:00 საათზე, ბრალდებულმა, განაწყენებულმა იმით, რომ მოიხმარდა თამბაქოს, მცირეწლოვანი შვილების თანდასწრებით სცემა მეუღლეს, რითაც ამ უკანასკნელმა განიცადა ფიზიკური ტკივილი.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, ჩადენილი არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ).

სასამართლოს განმარტება: მოცემულ საქმეში, დაზარალებულმა ისარგებლა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით მინიჭებული უფლებით და არ მისცა ჩვენება ახლო ნათესავი ბრალდებულის (მეუღლის) წინააღმდეგ. თუმცა, მიუხედავად ამისა, მოსამართლემ მოძალადის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა შემდეგი მტკიცებულებების საფუძველზე:

- საქმეზე წარმოდგენილი იყო სსიპ „112“-ის აუდიოჩანაწერი, რომლის გამოკვლევის შედეგადაც დადგინდა, რომ 2015 წლის 25 სექტემბერს, 13:52 საათზე, მობილური ტელეფონიდან აღნიშნულ სამსახურში შევიდა შეტყობინება ბრალდებულის მიერ მეუღლის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით;
- მოწმის სახით დაკითხული საპატრულო პოლიციის თანამშრომლის ჩვენებით დადგინდა, რომ 2015 წლის სექტემბრის ბოლოს სსიპ „112“-ში დაფიქსირებული შეტყობინების საფუძველზე გამოცხადდა შემთხვევის ადგილზე, სადაც დახვდა ძალიან აღელვებული დაზარალებული, რომელიც ტიროდა, ჰქონდა მცირე დაზიანება სახეზე, ადასტურებდა ოჯახში ძალადობის ფაქტს და ითხოვდა კანონით გათვალისწინებული ზომების მიღებას. დაზარალებულთან გასაუბრების შემდეგ გამოიცა შემაკავებელი ორდერი მისი მეუღლის მიმართ;
- მოწმის სახით დაკითხულმა კრიმინალური პოლიციის თანამშრომელმა განმარტა, რომ 2015 წლის სექტემბრის თვეში შევიდა შეტყობინება ქალბატონის მიმართ მეუღლის მხრიდან სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტზე. შეტყობინების შემდეგ დაზარალებული

გამოცხადდა პოლიციის განყოფილებაში და შედგა მასთან გასაუბრების ოქმი, რომელშიც მსხვერპლმა დააფიქსირა, რომ მეუღლემ მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა;

- მოწმის სახით დაკითხულმა დაზარალებულის შვილების ძიძამ განმარტა, რომ 2015 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში მსხვერპლმა დაურეკა მას და სთხოვა ბავშვის სახლში წაყვანა. მოწმე ჰყვება, რომ სახლში მისულს დაზარალებული დახვდა ნამტირალევი, თვალთან ჰქონდა დაზიანებები და უთხრა, რომ მეუღლესთან იკამათა;
- მოწმის სახით დაკითხულმა დაზარალებულის ნათესავმა აღნიშნა, რომ 2015 წლის სექტემბრის თვეში ტელეფონით დაუკავშირდა მსხვერპლი და უთხრა, რომ რაღაც კამათი ჰქონდა. შემდეგ მოწმემ დაზარალებულს მიაკითხა რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სადაც იგი იკეთებდა გამოკვლევას. მან დაზარალებულს სახეზე შეამჩნია სიწითლე და დაზიანების გამომწვევი მიზეზი ჰკითხა, თუმცა მსხვერპლმა არ ისურვა საუბარი;
- მოწმის სახით დაკითხული დაზარალებულის ნათესავის ჩვენებით დადგინდა, რომ 2015 წლის 24 სექტემბერს, დაახლოებით 21:00 საათზე, მსხვერპლის მიერ მის კუთვნილ ტელეფონზე შევიდა შეტყობინება შემდეგი ტექსტით: „მამიდა მიშველე.“ მოწმემ რამდენიმე უშედეგო მცდელობის შემდეგ შეძლო მასთან დარეკვა, რა დროსაც ამ უკანასკნელმა სთხოვა სახლში მისვლა. მოწმის განმარტებით, თავისი ავტომანქანით მეუღლესთან ერთად მივიდა დაზარალებულის ბინაში, სადაც დახვდა არასახარბიელო ვითარება - დაზარალებული იჯდა მისაღებ ოთახში დივანზე, სახე ჰქონდა დასიებული, ეტყობოდა ჰემატომა და „ნაბეღლავის“ გაყინული ბოთლი ჰქონდა მიდებული; მოგვიანებით დაზარალებულმა უამბო, რომ კონფლიქტის მიზეზი იყო სიგარეტის მოწევა, რის გამოც მეუღლემ მას მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა ბავშვის თანდასწრებით. მოწმის განმარტებით, დაზარალებულმა თავდაპირველად დაუდასტურა, რომ მეუღლემ სცემა, შემდეგ კი „შეიცვალა სიტუაცია, გადაუარა აგრესიამ, ჰემატომაც დაუცხრა, მამიდამაც მიხედა და უფრო ლმობიერი გახდა.“ ამას დაემატა ის ფაქტიც, რომ იგი დაფეხმძიმდა.

- მოწმის სახით დაკითხული დაზარალებულის ძმისშვილის ჩვენებით დადგინდა, რომ 2015 წლის 24 სექტემბერს, დაახლოებით 21:00 საათზე, ტელეფონზე დაზარალებულისგან მიიღო სმს შეტყობინება შემდეგი ტექსტით: „მამიდა გამოდი.“ მან დარეკა აღნიშნულ ნომერზე, რა დროსაც გაიგონა მამიდის ტირილის ხმა და თხოვნა: „სასწრაფოდ გამოდი მამიდა, წამიყვანე.“ მოწმე მეუღლესთან ერთად მივიდა. ოთახში შესულმა დაინახა, რომ დაზარალებული იჯდა დივანზე, ცალი მხარე ჰქონდა ძალიან დაზიანებული და ჩასისხლიანებული, აფარებული ჰქონდა ცივი „ნაბეღლავის“ ბოთლი და ტიროდა. დაზარალებულმა უთხრა, რომ მეუღლესთან მოუვიდა უთანხმოება და მან სცემა. როგორც მოწმემ განმარტა, მათ დაზარალებული წაიყვანეს რესპუბლიკურ საავადმყოფოში, თუმცა ამ უკანასკნელმა კლინიკაში განაცხადა, რომ დაზიანება კიბეზე დაგორებით მიიღო. მოწმემ როდესაც ჰკითხა ტყუილის თქმის მიზეზი, დაზარალებულმა უპასუხა, რომ მშვიდობიანად აპირებდა მეუღლესთან დაშორებას;
- სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა ექსპერტმა დაადასტურა სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის სისწორე. კერძოდ, დაზარალებულს მარჯვენა ყვრიმალის მიდამოში ჰქონდა ჰემატომა, რომელიც განვითარებული იყო რაიმე მკვრივი-ბლაგვი საგნის ზემოქმედებით, მიეკუთვნებოდა სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის მოუშლელად და ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგებოდა დადგენილებაში მითითებული ტრავმის მიღების თარიღს;
- საქმეზე წარმოდგენილი იყო 2015 წლის 25 სექტემბერს გამოცემული შემაკავებელი ორდერის ოქმი და მასზე თანდართული მასალები, რომლებითაც დგინდებოდა მოძალადის მიერ მეუღლის მიმართ ძალადობა.
- მოწმის სახით დაკითხულმა გამომძიებელმა დაადასტურა მოცემულ საქმეზე მის მიერ და მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების სისწორე და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

მოსამართლემ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა დაზარალებულის ძმისშვილისა და მისი მეუღლის ჩვენებებზე და აღნიშნა, რომ მათ დანაშაულებრივ ფაქტთან ჰქონდათ მყისიერი შემხებლობა (თავად დაზარალებულმა სთხოვა შველა და იმდენად მყისიერად მოხდა მათი მხრიდან რეაგირება და შემთხვევის ადგილზე მისვლა, რომ ადგილზე დახვდათ ჯერ კიდევ ატირებული, სტრესულ მდგომარეობაში მყოფი დაზარალებული, რომელსაც ეტყობოდა დროის მცირე მონაკვეთით ადრე განხორციელებული ძალადობის კვალი სახეზე ჰემატომისა და დასიების სახით), რეალურად გადმოსცემენ დაზარალებულის ფიზიკურ და ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას, რის გამოც მოსამართლემ მიიჩნია, რომ მათი ჩვენებები განხილული უნდა ყოფილიყო, როგორც პირდაპირი მტკიცებულება.

გარდა აღნიშნულისა, მოსამართლემ დაზარალებულის მიერ ფიზიკური ტკივილის განცდის შეფასების კრიტერიუმებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მხოლოდ მისი სუბიექტური აღქმა არ შეიძლება იყოს დანაშაულებრივი ქმედების განმსაზღვრელი, ამიტომ დაზარალებულის მიმართ განხორციელებული ძალადობა არის თუ არა ფიზიკური ტკივილის გამომწვევი, უნდა შეფასდეს არა მარტო სუბიექტური, არამედ ობიექტური კრიტერიუმების გათვალისწინებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოს აზრით, ყველა შემთხვევაში მცირეწლოვანი ბავშვების მიმართ განხორციელებული ძალადობის დროს ობიექტურად შეუძლებელი იქნება ფიზიკური ტკივილის მიყენების ფაქტის დადგენა, რადგან ისინი ვერბალურად ვერ გადმოსცემენ ემოციებსა და გრძნობებს. მოცემულ საქმეზე, მოსამართლემ დაზარალებულის მიერ ფიზიკური ტკივილის განცდა შეაფასა მისი ნათესავების ჩვენების საფუძველზე. ასევე აღნიშნა, რომ არათუ ქალისთვის, არამედ ნებისმიერი საშუალო ფიზიკური მონაცემებისა და ჯანმრთელობის მქონე ადამიანისათვის ახალგაზრდა მამაკაცის მიერ ცემა იმ სიძლიერით, რომ გამოიწვიოს სახეზე ჰემატომა, ფიზიკური ტკივილის გამომწვევია.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსამართლემ მამაკაცი დამნაშავედ ცნო მეუღლის მიმართ ძალადობაში.

სასჯელი: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 200 (ორასი) საათის ვადით.

საქმე №6

თბილისის საქალაქო სასამართლო **28 აპრილი, 2017**

ბრალდების არსი: ბრალდებული სისტემატურად სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა დედას. აგრეთვე, 2016 წლის დეკემბერში ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფმა ბრალდებულმა დაზარალებულს მიაყენა ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა, ხოლო შემდეგ-ჯანმრთელობის დაზიანება. კერძოდ, ხელი მოუჭირა ყელის არეში, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის 1-ლი ნაწილი (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, დამცირება, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა გამოიწვია).

სასამართლოს განმარტება: მოცემულ საქმეზე, დაზარალებულმა ისარგებლა კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებით და ბრალდებული შვილის წინააღმდეგ არ მისცა ჩვენება. მიუხედავად ამისა, მოსამართლემ პირი დამნაშავედ ცნო დედის მიმართ ძალადობაში, შემდეგი ძირითადი მტკიცებულებების გათვალისწინებით.

- მოწმის სახით დაკითხულმა პატრულ-ინსპექტორმა განმარტა, რომ 2016 წლის 25 დეკემბერს მეწყვილესთან ერთად ასრულებდა თავის სამსახურეობრივ მოვალეობას, რა დროსაც საღამოს საათებში სსიპ „112“-დან მიიღეს შეტყობინება ოჯახურ კონფლიქტთან დაკავშირე-

ბით. ადგილზე მისვლისას დახვდათ მოქალაქე, რომელიც ტიროდა, იყო აღელვებული და ითხოვდა შველას. დაზარალებული უთითებდა იქ მყოფ შვილზე, რომელიც იყო ნასვამ მდგომარეობაში. როგორც მოწმე საუბრობს, დაზარალებულმა განუმარტა, რომ შვილი მასზე ძალადობდა, აყენებდა შეურაცხყოფას, ლანძღავდა და რამდენჯერმე ყელის არეში ხელი მოუჭირა, რისგანაც განიცადა ფიზიკური ტკივილი. მოწმის განმარტებით, დაზარალებულს ვიზუალურად ნამდვილად ეტყობოდა დაზიანების კვალი, კერძოდ, სიწითლეები ყელის არეში, რაც, მსხვერპლის განმარტებით, გამოწვეული იყო ყელზე ხელის მოჭერით. მოწმის განმარტებით, მოძალადემ დაარღვია მის მიმართ 2016 წლის 16 დეკემბერს გამოცემული შემაკავებელი ორდერი, რის გამოც იგი ადმინისტრაციული წესით დააკავეს. აღნიშნული გარემოებები დაადასტურა მოწმის სახით დაკითხულმა კიდევ ერთმა პატრულ-ინსპექტორმა;

- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაზარალებულს პირადი შემოწმებისას სხეულზე აღენიშნებოდა დაზიანებები ნაჭდევისა და სისხლნაჟღენთების სახით, რომლებიც განვითარებული იყო რაიმე მკვრივი-ბლაგვი საგნის მოქმედებით, მიეკუთვნებოდა მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის მოუშლელად, და ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგებოდა ტრავმის მიღების დროს. აღნიშნული დასკვნის სისწორე დაადასტურა სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა. ასევე, მანვე განმარტა, რომ შემოწმებისას დაზარალებული უჩიოდა ყელის არეში ტკივილს, მიყენებული დაზიანებებიდან გამომდინარე. მოწმემ დაადასტურა, რომ ყველა დაზიანება დაკავშირებული იყო ფიზიკურ ტკივილთან;
- მოწმის სახით დაკითხულმა გამომძიებელმა დაადასტურა მის მიერ და მისი მონაწილეობით ჩატარებული საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებების (მოწმის სახით დაკითხა დაზარალებული, ასევე, პატრულ-ინსპექტორები, რომელთაგან მიიღო ინფორმაცია ოჯახში ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით) სისწორე და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

მოსამართლემ შეაფასა საქმეში წარდგენილი მტკიცებულებები და აღნიშნა, რომ **„მოწმის სახით დაკითხული პატრულ-ინსპექტორები, რომელთაც დანაშაულებრივ ფაქტთან ჰქონდათ მყისიერი შემხებლობა (112-ის გამოძახებაზე იმდენად მყისიერად მოხდა მათი მხრიდან რეაგირება და შემთხვევის ადგილზე მისვლა, რომ ადგილზე დახვდათ ბრალდებული და დაზარალებულს ჯერ კიდევ ეტყობოდა დროის მცირე მონაკვეთით ადრე განხორციელებული ძალადობის კვალი ყელზე სიწითლეების სახით), დეტალურად გადმოსცემენ დაზარალებულის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას, რის გამოც მათი ჩვენებები განხილული უნდა იქნეს, როგორც პირდაპირი მტკიცებულება. აღნიშნულზე მიუთითებს ციტატები მოწმეთა ჩვენებიდან: „დაზარალებული ტიროდა, იყო აღელვებული და ითხოვდა შველას..... შვილი მის მიმართ ახორციელებდა ძალადობას, აყენებდა შეურაცხყოფას, ლანძღავდა და რამდენჯერმე ადგილი ჰქონდა ყელის არეში ხელის მოჭერის ფაქტსაც.“ .....დაზარალებულს ეტყობოდა სიწითლეები ყელის არეში, რაც, მისი განმარტებით, გამოწვეული იყო ყელზე ხელის მოჭერით“.....„დაზარალებული ტიროდა, იქნებ რამე მიშველოთ, ჩემი შვილია, მისი მხრიდან ადგილი აქვს ძალადობას, მლანძღავს, ყელში ხელით მწვდა, მაჯანჯღარებს, რის გამოც ტკივილი განვიცადე“.**

მოსამართლემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია დაზარალებულის პოზიციის მიღმა არსებულ მოტივებს, რაც განპირობებული იყო დანაშაულის ხასიათით.

„მოცემულ შემთხვევაში, დაზარალებულის პოზიციის მიღმა არსებულ მოტივზე ნათლად მიუთითებს სასამართლო სხდომაზე გაკეთებული მისივე განმარტება – „არ მოგცემთ ჩვენებას...არ მინდა, ეს ერთი შვილი მყავს... მარტომ გავზარდე 6 თვიდან“. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოების დამოკიდებულების მხრივ ჯერ კიდევ

არსებობს გამოწვევები (მაგ: ზოგიერთს ჯერ კიდევ სჯერა, რომ ეს შეიძლება გამოწვეული იყოს გარკვეულ გარემოებებში)[7], უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანი პროგრესი უკვე მიღწეულია. ინფორმირებულობის ასამაღლებლად განხორციელებული ინტერვენციები თანდათან იწვევს ქცევის ცვლილებას, თუმცა ოჯახში ძალადობა და ქალთა მიმართ ძალადობა ჩვენი დროის ერთ-ერთ ყველაზე კრიტიკულ გამოწვევად მაინც რჩება".

აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ, დაზარალებულის პოზიციის მიუხედავად, არსებობდა სხვა გონივრული ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობა (პატრულ-ინსპექტორების ჩვენებები, სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა და ექსპერტის ჩვენება), რაც საკმარისი იყო დედაზე ძალადობის ფაქტში ბრალდებულის დამნაშავედ ცნობისა და მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის.

ანალოგიურად დაასაბუთა თბილისის საქალაქო სასამართლომ 2018 წლის 8 და 19 ივნისის, ასევე 10 ივლისის და ბათუმის საქალაქო სასამართლომ – 2018 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებები, რომელთა მიხედვითაც ბრალდებულები დამნაშავეებად იქნენ ცნობილი, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულებმა არ მისცეს ჩვენება ბრალდებულთა წინააღმდეგ ან გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენებისაგან განსხვავებული ჩვენება მისცეს სასამართლოს, რაც მოძალადეთა მიმართ მათ ლოიალურ დამოკიდებულებაზე მიუთითებდა.

სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა 6 (ექვსი) თვის ვადით.

---

7 საზოგადოების გარკვეული ნაწილი ამართლებს ოჯახში ძალადობას მაშინ, თუ ქალი არ დაემორჩილება საზოგადოებაში დამკვიდრებულ გენდერულ როლებს.

საქმე №7

თბილისის სააპელაციო სასამართლო **23 მარტი, 2018**

ბრალდების არსი: 2017 წლის 26 ივნისს, დაახლოებით 10:30 საათზე, ბრალდებულმა მეუღლეს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. კერძოდ, მოქაჩა თმები და ხელი დაარტყა სახის არეში. დაზარალებულმა თავი დააღწია ქმრის ძალადობას და გაიქცა, ამ დროს ბრალდებულმა ზურგსა და თავში ესროლა ქვები. აღნიშნულის შედეგად დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის 1-ლი ნაწილი (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია).

სასამართლოს განმარტება: დაზარალებულმა საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე გამოიყენა კანონმდებლობით მინიჭებული უფლება და, როგორც ბრალდებულის ახლო ნათესავმა, უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე. თუმცა, სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში დასატოვებლად საკმარისად მიიჩნია დაზარალებულის შვილების ჩვენებები. კერძოდ, დაზარალებულის შვილები ხშირად შესწრებიან დედასა და მამობილს შორის არსებულ კონფლიქტს, რა დროსაც ბრალდებულს არაერთხელ მიუყენებია მეუღლისათვის ფიზიკური თუ სიტყვიერი შეურაცხყოფა. 2017 წლის 26 ივნისს, დაახლოებით 11:00 საათზე, დაზარალებული აღელვებული და ატირებული მივიდა სახლში, სადაც იმყოფებოდნენ მისი შვილები, რომლებიც დაინტერესდნენ, თუ რა დაემართა დედას, რადგან იგი ამ დროს სამსახურში უნდა ყოფილიყო. დედამ მათ უამბო, რომ სამსახურთან მისულს გზად დახვდა ბრალდებული,

რომელსაც დანახვისთანავე მოარიდა თვალი და უკან გამობრუნდა, თუმცა ქმარი თან გამოჰყვა ლანძღვა-გინებით და როდესაც სახლთან მივიდნენ, დაეწია, მოქაჩა თმებში და გაშლილი მარჯვენა ხელი დაარტყა სახის არეში. დაზარალებულმა თავი დააღწია მოძალადეს და სახლისკენ გაიქცა, თუმცა ბრალდებულმა ესროლა ძირს დაყრილი ქვები და ხრეში. ერთი ქვა დაზარალებულს მოხვდა თავში, დანარჩენი კი – ზურგის არეში. აღნიშნული პირების (დაზარალებულის შვილების) მიერ გამოძიების ეტაპზე მიცემული ინფორმაციით, ასევე დადგინდა, რომ შემთხვევის შემდეგ სახლში მისული დედა თავზე სველ ტილოს იდებდა. გარდა ამისა, შვილები დეტალურად გადმოსცემენ დედის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას. კერძოდ, ისინი აღნიშნავენ, რომ დაზარალებული იყო ძალიან გაღიზიანებული და აღელვებული. ამ კონკრეტული შემთხვევის გარდა, დაზარალებულის შვილები არაერთხელ გამხდარან მათი მამობილის მხრიდან დედის მიმართ ძალადობის ფაქტის შემსწრენი. შესაბამისად, მათ მიერ გამოძიებისათვის მიწოდებული ინფორმაცია დაზარალებულისათვის მიყენებულ დაზიანებებთან დაკავშირებით შეფასებულ იქნა, როგორც მნიშვნელოვანი და საქმისათვის რელევანტური მტკიცებულება.

ამდენად, სასამართლოს განმარტებით, **„მართალია, დაზარალებულის შვილები უშუალოდ არ შესწრებიან დანაშაულის ჩადენის ფაქტს, მაგრამ ისინი შეესწრნენ მისი შემდგომი მოვლენების განვითარებასა და გამოძიებას მიაწოდეს ინფორმაცია იმ გარემოებებზე, რაც უშუალოდ დაინახეს“.** სასამართლო, ასევე, აღნიშნავს, რომ **„დაზარალებულს არ უარუყვია მოწმეთა გამოკითხვის შინაარსის სისწორე. მან მხოლოდ გამოიყენა კანონით მინიჭებული უფლება და ოჯახის წევრის წინააღმდეგ სასამართლოში არ მისცა მამხილებელი ჩვენება, რაც სასამართლოს არ ზღუდავს, შეაფასოს სხვა დანარჩენი მტკიცებულებები“.**

სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება არის სანიმუშო დამნაშავისათვის სასჯელის განსაზღვრის ნაწილშიც. კერძოდ, სასამართლო განმარტავს, რომ **„სასამართლო მხედველობაში იღებს მოცემული დანაშაულის სპეციფიკასა და სახეს და ითვალისწინებს, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებული დაუბრუნდება ისევ იმ გარემოს – ოჯახს, სადაც ყოველდღიური სოციალური ურთიერთობების ფონზე წარმოიშვა კონფლიქტი, რამაც დანაშაულის ჩადენა განაპირობა. ამდენად, სასამართლო თვლის, რომ მსჯავრდებულმა სასჯელი სწორედაც რომ თავისუფლების აღკვეთის ადგილას უნდა მოიხადოს, რათა მან ბოლომდე გააცნობიეროს ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობა, დაფიქრდეს და გამოიტანოს სათანადო დასკვნები. სასამართლო თვლის, რომ სწორედ თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის რეალურად მოხდა უზრუნველყოფს ასეთი ეფექტების მიღწევას. სხვაგვარად სასჯელს ფორმალური ხასიათი ექნება და იგი ვერ უზრუნველყოფს დანაშაულის პრევენციის მიზანს“.**

სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა 6 (ექვსი) თვის ვადით.

საქმე №8

საქართველოს უზენაესი სასამართლო **3 იანვარი, 2018**

ბრალდების არსი: 2016 წლის ნოემბერში ოჯახში ძალადობისათვის ნასამართლევმა ბრალდებულმა მეუღლისა და არასრულწლოვანი შვილის მიმართ ჩაიდინა ძალადობა. კერძოდ, შელაპარაკებისას სცემა მეუღლე და ესროლა სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთი. გატეხილი ნივთის ნამსხვრევები სახის არეში მოხვდა არასრულწლოვანს და განუვითარდა დაზიანებები. ხოლო, მოძალადის მეუღლემ მიიღო მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად, რამაც ფიზიკური ტკივილი გამოიწვია.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის „ა“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტები (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, ორი ან მეტი პირის მიმართ და არაერთგზის).

სასამართლოს განმარტება: მოცემულ საქმეში მოსამართლემ, სხვა საკითხებთან ერთად, ყურადღება გაამახვილა ოჯახში ძალადობის საქმეებზე არსებულ მტკიცებულებათა სტანდარტზე.

„სასამართლომ განმარტა, რომ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის არსებობა არ გულისხმობს სისხლის სამართლის საქმეში მტკიცებულებათა სიუხვეს, არამედ საჭიროა, არსებობდეს ერთობლიობა წონადი და დამაჯერებელი მტკიცებულებებისა, რომელთა ურთიერთშეჯერება და არა მათი განყენებულად შეფასება გონიერ და ობიექტურ ადამიანს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში. დადგენილია, რომ მოძალადის მეუღლეს ფიზიკური დაზიანებები ნამდვილად ჰქონდა მიყენებული, მას სხეულზე გარეგნულად აღენიშნებოდა დაზიანებები სისხლნაჟღენთისა და უსწოროკიდეებიანი ჭრილობის სახით, რაც გამოწვეულია რამე მკვრივი-ბლაგვი საგნის ზემოქმედების შედეგად..... ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება დადგენილებაში მითითებულ თარიღს. ექსპერტიზის ეს დასკვნა სრულად შეესაბამება თავად დაზარალებულის ჩვენებას. მისი თქმით, ქმარმა თეფშები და ლარნაკი გადაამტვრია თავზე. აღნიშნულ ჩვენებას ავსებს და ადასტურებს ის ფაქტიც, რომ სახლიდან ჭურჭლის ნამტვრევები იქნა ამოღებული..... მეუღლეზე ძალადობის ფაქტს ადასტურებენ, ასევე პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც მონაწილეობდნენ საგამოძიებო მოქმედებებში და რომლებმაც მსხვერპლისგან მიიღეს შეტყობინება ასეთი დანაშაულის შესახებ“.

აგრეთვე, სასამართლო აღნიშნავს, რომ **„ქალთა მიმართ ძალადობა გლობალური პრობლემაა, რაც ეწინააღმდეგება კანონის მიერ ადამიანისათვის მინიჭებულ უფლებებს, ზღუდავს ქალთა ჩართულობას სოციალურ ცხოვრებაში და წარმოქმნის გენდერზე დაფუძნებულ შეზღუდვებს. სწორედ ამიტომ სასამართლო ითვალისწინებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, ახორციელებს მართლმსაჯულებას და დამნაშავედ ცნობს მოძალადეს“.**

სასჯელი: ძირითადი სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლითა და 15 დღის ვადით, დამატებითი სასჯელი – ჯარიმა 3500 ლარი.

საქმე №9

თბილისის საქალაქო სასამართლო **5 იანვარი, 2017**

ბრალდების არსი: 2016 წლის 3 აგვისტოს, დაახლოებით 17:00 საათზე, ქ. თბილისში ა.-მ ცოლს მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, კერძოდ, ყელში მოუჭირა ხელი, შემდეგ იატაკზე წაქცეულს აგინებდა და ფეხი ჩაარტყა მუცლის არეში, რის გამოც დაზარალებულმა განიცადა ძლიერი ფიზიკური ტკივილი.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის 1-ლი ნაწილი (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია).

სასამართლოს განმარტება: დაზარალებულმა სასამართლო სხდომაზე დაკითხვისას განმარტა, რომ მისი მეუღლე 2016 წლის 3 აგვისტოს, დაახლოებით 5-6 საათისთვის, დაბრუნდა სახლში. როდესაც ჰკითხა, თუ სად იმყოფებოდა, მეუღლემ მისთვის დამაკმაყოფილებელი პა-

სუხი არ გასცა და ამის გამო იეჭვიანა. მან ჩათვალა, რომ მისი მეუღლე „საყვარელთან“ იმყოფებოდა და გაბრაზდა. ამის გამო გადაწყვიტა, რომ იგი გაემწარებინა, რისთვისაც გამოცხადდა პოლიციის განყოფილებაში და დაწერა განცხადება, რომელშიც მიუთითა ისეთ გარემოებებზე, რაც სინამდვილეში არ მომხდარა. დაზარალებულს ჩაუტარდა ექსპერტიზა, რომელმაც დაადგინა, რომ მას ყელზე აღენიშნებოდა ნაკაწრები. თუმცა, მსხვერპლის განმარტებით, მან ეს დაზიანებები ბავშვთან თამაშის დროს მიიღო. აგრეთვე, მიუთითა, რომ მეუღლის მიმართ არანაირი პრეტენზია არ გააჩნია და განმარტა, რომ სასამართლო სხდომაზე მიცემული ჩვენება არის სიმართლე და ასეთ ჩვენებას ნებაყოფლობით აძლევს სასამართლოს.

„სასამართლო განმარტავს, რომ სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, ზოგადად, შესაძლებელია დადგინდეს დაზიანებების არსებობა, მათი სიმძიმე და რაოდენობა, თუმცა ობიექტურად შეუძლებელია განისაზღვროს დაზიანებების მიმყენებელი პირის ვინაობა. შესაბამისად, ექსპერტის დასკვნით იმის მტკიცება, რომ მსხვერპლს დაზიანება მიაყენა კონკრეტულმა პირმა, შეუძლებელია და წარმოადგენს მხოლოდ ვარაუდს. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო არ არის და ექსპერტიზის დასკვნით დგინდება, რომ დაზარალებულს კისრის მიდამოში აღენიშნებოდა ორი სისხლნაჟღენთი ჭრილობა, თუმცა აღნიშნული ექსპერტიზით იმ ფაქტის დადგენა, თუ ვინ, როდის და რა ვითარებაში მიაყენა მსხვერპლს ეს დაზიანებები, შეუძლებელია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ, დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემის დროს გაკეთებული განმარტებით, დაზიანებები მიიღო ბავშვებთან თამაშის დროს“.

ამდენად, სასამართლო ასკვნის, რომ ვინაიდან დაზარალებულმა უარყო მეუღლის მხრიდან მასზე ფიზიკური ძალადობის ფაქტი და სხვა მტკიცებულებების შინაარსიდან არ გამომდინარეობს ბრალად

წარდგენილი დანაშაულის დადასტურებულად არსებობა, სასამართლო მოკლებულია სამართლებრივ შესაძლებლობას, ვარაუდის საფუძველზე უტყუარად დაადგინოს ბრალდებულის მიერ ოჯახში ძალადობის ჩადენა. ამიტომ, ბრალდებულის მიმართ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი.

საქმე №10

თბილისის საქალაქო სასამართლო **15 მაისი, 2017**

ბრალდების არსი: 2016 წლის 8 იანვარს, ღამის საათებში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ბრალდებულმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მეუღლეს. კერძოდ, დაახლოებით 30 წუთის განმავლობაში სცემდა ხელებითა და ფეხებით სახისა და ტანის არეში, რითაც დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი და მიიღო სხეულის მსუბუქი დაზიანებები, ჯანმრთელობის მოუშლელად.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის 1-ლი ნაწილი (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია).

სასამართლოს განმარტება: სასამართლო სხდომაზე დაზარალებულმა (ბრალდებულის მეუღლემ) და ბრალდებულის ახლო ნათესავმა (შვილმა) ისარგებლეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებით და არ მისცეს ჩვენება ახლო ნათესავის წინააღმდეგ. აღნიშნულის გამო, მოცემულ საქმეში, წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან პირდაპირი ხასიათის მტკიცებულება იყო მხოლოდ სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც ადასტუ-

რებდა მხოლოდ სხეულზე მსუბუქი ხარისხის დაზიანების არსებობას (ამასთან, დაზიანებათა ნაწილი არ ემთხვეოდა დადგენილებაში მითითებული ტრავმის მიღების თარიღს). თუმცა, ვინაიდან ბრალდებულის ახლო ნათესავებმა, მათ შორის, დაზარალებულმა, უარი განაცხადეს ჩვენების მიცემაზე და, ასევე, სხვა მოწმეთა მიერ გონივრულ ეჭვს მიღმა არ დასტურდებოდა ბრალდებულის მხრიდან დაზიანების მიყენების ფაქტი, მოსამართლემ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი.

სასამართლოს განმარტებით, **„ექსპერტიზის დასკვნა არ შეიძლება იქნეს მიჩნეული უტყუარ მტკიცებულებად დაზიანების მიმყენებელი პირის იდენტიფიცირების კონტექსტში, ვინაიდან სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების შედეგად შესაძლებელია დაზიანების არსებობის, რაოდენობის, მისი სიმძიმისა და ლოკაციის განსაზღვრა და არა მისი მიმყენებელი პირის დადგენა“.**

საქმე №11

სამტრედიის რაიონული სასამართლო **25 იანვარი, 2017**

ბრალდების არსი: 2017 წლის 5 ნოემბერს, დაახლოებით 1:00 საათზე, საკუთარ საცხოვრებელ სახლში მთვრალ მდგომარეობაში მყოფ ბრალდებულს მეუღლესთან მოუვიდა კონფლიქტი, რის გამოც არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით სახისა და ტანის არეში ხელებისა და ფეხების დარტყმით იძალადა მეუღლეზე.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, ჩადენილი არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ).

სასამართლოს განმარტება: სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვისას დაზარალებულმა და ძალადობის ფაქტის შემსწრე ოჯახის სხვა წევრებმა ისარგებლეს საპროცესო კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული უფლებით და არ მისცეს ჩვენება ახლო ნათესავის წინააღმდეგ. შესაბამისად, მოცემულ საქმეზე, სასამართლო სხდომაზე წარმოდგენილი და გამოკვლეული შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, ასევე სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა და ექსპერტის დაკითხვის ოქმი, ადასტურებდა მხოლოდ დაზიანების არსებობას პირის სხეულზე. თუმცა, არ არსებობდა დაზარალებულის ან/და მოწმის ჩვენება ამ დაზიანებათა წარმოშობის შესახებ. გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად კი აუცილებელია დადგინდეს, მიაყენა თუ არა ეს დაზიანებები კონკრეტულმა პირმა. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ მოწმის (დაზარალებულის) მიერ გამოძიებისას სხვა საპროცესო მოქმედებებში მონაწილეობის დროს მოწოდებულ ინფორმაციას მტკიცებულებად ვერ გამოიყენებდა. ამდენად, **„სასამართლო განმარტავს, რომ ეჭვის გამომრიცხავ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობაში იგულისხმება საქმის არსებითი განხილვის დროს მხარეთა მიერ გამოკვლეული, სულ მცირე, ორი პირდაპირი ხასიათის მტკიცებულების არსებობა, რომლებიც სრულ თანხვედრაში იქნება ერთმანეთთან და მოგვცემს დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშნის დადასტურების შესაძლებლობას, რაც მოცემულ შემთხვევაში არ არის“.** ამიტომ, ბრალდებულის მიმართ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი.

შეჯამება

ზემოხსენებული სასამართლო გადაწყვეტილებები ეხება იმ პრობლემატიკას, როდესაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლები იყენებენ თავიანთ

კონსტიტუციურ უფლებას და არ აძლევენ ჩვენებას ახლო ნათესავი მოძალადის წინააღმდეგ. ასეთ დროს მოსამართლეები სხვა მტკიცებულებებს ეყრდნობიან და, დაზარალებულის პოზიციის მიუხედავად, გამამტყუნებელი განაჩენები გამოაქვთ ან მტკიცებულებების არასაკმარისობის გამო გამამართლებელ გადაწყვეტილებას იღებენ.

მოსამართლეები ინტერესდებიან დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზეზებით და აღნიშნულ მოტივებს „სტოკჰოლმის სინდრომითა“ და მოძალადეზე ფინანსაური დამოკიდებულებით ხსნიან. ამასთან, განმარტავენ, რომ ოჯახში ძალადობა, მისი ბუნებიდან გამომდინარე, მოწმეთა სიმრავლით არ გამოირჩევა და პირდაპირი ხასიათის მტკიცებულებების მოპოვების სირთულით ხასიათდება, ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებიან მსხვერპლის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის შემთხვევებსა და ასეთ დროს აფასებენ იმ პოლიციელთა ან სხვა პირთა ჩვენებებს, რომლებიც, მართალია, უშუალოდ არ შესწრებიან ძალადობის ფაქტს, თუმცა მათ ძალადობის ჩადენისთანავე აქვთ კომუნიკაცია დაზარალებულთან და აღწერენ მის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას.

დაზარალებულის პოზიციასთან ერთად, მოსამართლეები ყურადღებას ამახვილებენ ძალადობის გამეორების რისკებზე, რასაც სასჯელის დანიშვნის დროს ითვალისწინებენ.

აღნიშნულის საპირისპიროდ, ზემოთ მოყვანილია რამდენიმე გადაწყვეტილება, როდესაც მოსამართლემ დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა და სხვა მტკიცებულებების არასაკმარისობის გამო გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა. ასეთ დროს მოსამართლეთა მთავარი არგუმენტი ისაა, რომ საქმეში არსებული სასამართლო-სამედიცინო ექსსპერტიზის დასკვნით მხოლოდ დაზიანების არსებობის ფაქტის დადასტურებაა შესაძლებელი, ხოლო თუ ვინ მიაყენა მსხვერპლს აღნიშნული დაზიანებები, ამის იდენტიფიცირება წარმოდგენილი მასალებით შეუძლებელი ხდება.

5. მსხვერპლის პოზიცია და სასამართლოში დაზარალებულის პრეტენზიის არქონის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა

დანაშაულის შეტყობინება და სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობა მსხვერპლისათვის მაღალი რისკის შემცველია, ამიტომ, ხშირ შემთხვევაში, დაზარალებულებს აქვთ უკიდურესად ლმობიერი დამოკიდებულება მოძალადეების მიმართ. დაზარალებულები იძულებულნი არიან, ითმინონ ძალადობა საზოგადოების მხრიდან გაკიცხვისაგან თავის არიდების მიზნით, დამნაშავეზე ეკონომიკური დამოკიდებულების, დამნაშავის მხრიდან შურისძიების შიშის ან სხვა ფაქტორების გამო. აღნიშნული მიზეზებით, ზოგჯერ, ძალადობის მსხვერპლებს გამოძიების დაწყების შემდეგ პრეტენზია აღარ აქვთ ხოლმე მოძალადეების მიმართ და ითხოვენ კანონით გათვალისწინებული შეღავათების გამოყენებას. ხშირად, მსხვერპლის ასეთი სურვილები არ არის ნებაყოფლობითი და იძულებულნი არიან ითმინონ ძალადობა. ასეთ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფაქიზი მიდგომა და, შესაძლებლობის ფარგლებში, დაზარალებულის რეალური მოტივების გამოაშკარავება.

მსხვერპლი ქალის უუნარობა, მიმართოს მართლმსაჯულებას ან/და ბოლომდე დაიცვას საკუთარი უფლებები, წარმოადგენს კომპლექსურ სოციალურ ფენომენს, რაც სამართლებრივ, ინსტიტუციურ, სტრუქტურულ, ეკონომიკურ და კულტურულ დონეზე არსებული უთანასწორობის, ხშირ შემთხვევაში, მათი კომბინაციის, შედეგია.

ქვემოთ მოყვანილი შემთხვევები წარმოადგენს მოსამართლეთა მხრიდან მსხვერპლზე ორიენტირებული მართლმსაჯულების განხორციელების დადებით მაგალითებს, რაც დაზარალებულთა ჭეშმარიტი ინტერესებისა და მათი უსაფრთხოებისათვის პრიორიტეტის მინიჭებაში გამოიხატება.

საქმე №1

გორის რაიონული სასამართლო **5 ივნისი, 2018**

ბრალდების არსი: 2017 წლის დეკემბერში, საღამოს საათებში, საცხოვრებელ სახლში და სახლის ეზოში ბრალდებულმა მეუღლეს ოჯახის კუთვნილი თანხის განკარგვასთან დაკავშირებით წარმოშობილი შელაპარაკებისას ხელი და ფეხი რამდენჯერმე დაარტყა სხეულის სხვადასხვა ადგილას, რის შედეგადაც დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი. აგრეთვე, 2018 წლის მარტში საცხოვრებელ სახლში საყოფაცხოვრებო ნიადაგზე წარმოშობილი შელაპარაკებისას ბრალდებულმა მეუღლეს ყელში წაუჭირა ხელი, დაარტყა მარცხენა გვერდში და თავი მიარტყმევინა კედელზე, რის შედეგადაც დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი.

2018 წლის მარტში, ღამის საათებში, საცხოვრებელ სახლში, იმის გამო, რომ ბრალდებული მეუღლეს სისტემატურად აყენებდა შეურაცხყოფას, რითაც ამცირებდა მის პატივსა და ღირსებას, დაზარალებულმა სცადა თვითმკვლელობა. კერძოდ, ყელისა და ხელების არეში შუშის ნატეხით დაიზიანა სხეული.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის 1-ლი ნაწილი (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, ორი ეპიზოდი) და 11[1]-115-ე მუხლი (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა მსხვერპლის პატივისა და ღირსების სისტემატური დამცირებით).

სასამართლოს განმარტება: მოსამართლემ ბრალდებული დამნაშავედ ცნო ყველა წარდგენილ ბრალდებაში და, გარდა იმისა, რომ პასუ-

ხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად სქესზე დაფუძნებული დისკრიმინაცია (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლის პირველი ნაწილი) და ძალადობის ჩადენის დროს დამნაშავის სიმთვრალე მიიჩნია, აგრეთვე არ გაიზიარა დაზარალებულის სანოტარო წესით დამოწმებული განცხადება ბრალდებულთან „შერიგებისა და მის მიმართ პრეტენზიის არქონის შესახებ“. სასამართლომ განმარტა: **„აღნიშნული შეგვიძლია მხოლოდ ფორმალური ხასიათის დოკუმენტად მივიჩნიოთ, რომელიც მოტივირებულია საერთო შვილის მამის მიმართ გამოხატული მოჩვენებითი შემწყნარებლური პოზიციით. სასამართლოს აზრით, აღნიშნული დოკუმენტი არ ასახავს რეალობას და არ გამომდინარეობს არასრულწლოვნის საუკეთესო/ჭეშმარიტი ინტერესებიდან. სასამართლო სარწმუნოდ ვერ მიიჩნევს დაზარალებულის პოზიციას იმის შესახებ, რომ იგი შეურიგდა მოძალადეს და მის მიმართ პრეტენზია არ გააჩნია, რამდენადაც საქმის მასალებით დასტურდება საწინააღმდეგო. იმ პირობებში, როდესაც დროის მცირე პერიოდში დაზარალებული ამხელს ბრალდებულს ძალადობაში (რამაც მსხვერპლი საბოლოოდ თვითმკვლელობის ცდამდე მიიყვანა), რასაც არ ჰქონდა ერთჯერადი ხასიათი, დაზარალებულის ამგვარი შემწყნარებლური პოზიცია ბრალდებულის მიმართ გამომდინარეობს საქართველოში დამკვიდრებული არასწორი დისკრიმინაციული სტერეოტიპებიდან და ადეკვატურად არ ასახავს შექმნილ ვითარებას“.**

სასამართლო აღნიშნავს, რომ, **„მოცემულ შემთხვევაში, სახელმწიფომ ქალის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტებზე დროული რეაგირება მოახდინა, რითაც შეასრულა პოზიტიური ვალდებულება ოჯახში ძალადობის აღსაკვეთად ადეკვატური სისხლისსამართლებრივი მექანიზმების მყისიერი ამოქმედების თვალსაზრისით. სამართალდამცავი ორგანოების ამგვარმა დროულმა რეაგირებამ, საბოლოო ჯამში, უზრუნველყო ძალადობის მსხვერპლი**

ქალის სათანადო დაცვა და საქმეზე დროული, ეფექტიანი მართმსაჯულების განხორციელება“.

სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლის ვადით.

საქმე №2

თბილისის საქალაქო სასამართლო **5 ივლისი, 2017**

ბრალდების არსი: 2017 წლის 4 მაისს, დაახლოებით 2:00 საათზე, თავის საცხოვრებელ სახლში ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფმა ბრალდებულმა იძალადა მეუღლეზე არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით. კერძოდ, ხმამაღლა უყვიროდა მას, აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, რა დროსაც დაზარალებული განიცდიდა ტანჯვას და დამცირებას. ასევე, ბრალდებულმა თავის მეუღლეს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. კერძოდ, ზურგის არეში, მარჯვენა გვერდის მხარეს დაარტყა დანა და მიაყენა დაზიანება. გარდა ამისა, იმავე დღეს, ბრალდებული დანის გამოყენებით სიცოცხლის მოსპობითა და ჯანმრთელობის დაზიანებით დაემუქრა თავის მეუღლეს, რომელსაც გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, ჩადენილი არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ) და 11[1]-151-ე მუხლის პირველი ნაწილი (მუქარა ოჯახის წევრის მიმართ, ე.ი. სიცოცხლის მოსპობისა და ჯანმრთელობის დაზიანების მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მისი განხორციელების საფუძვლიანი შიში).

სასამართლოს განმარტება: მოსამართლემ სასჯელის გამოყენების დასაბუთებისას ყურადღება გაამახვილა ბრალდებულის პიროვნებასა და დაზარალებულის პოზიციაზე.

„სასამართლო სასჯელის განსაზღვრისას გადამწყვეტ მნიშვნელობას ვერ მიანიჭებს დაზარალებულის პოზიციას, რომელიც ითხოვს მოძალადის მიმართ არასაპატიმრო სასჯელის გამოყენებას, ვინაიდან სასამართლოს მიაჩნია, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დაზარალებულის პოზიციის მიღმა არსებულ მოტივებს, რაც, როგორც წესი, განპირობებულია დანაშაულის ხასიათით. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოების დამოკიდებულების მხრივ ჯერ კიდევ არსებობს გამოწვევები (მაგ: ზოგიერთს ჯერ კიდევ სჯერა, რომ ეს შეიძლება გამოწვეული იყოს გარკვეულ გარემოებებში), უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანი პროგრესი უკვე მიღწეულია. ინფორმირებულობის ასამაღლებლად განხორციელებული ინტერვენციები თანდათან იწვევს ქცევის ცვლილებას, თუმცა ოჯახში ძალადობა და ქალთა მიმართ ძალადობა ჩვენი დროის ერთ-ერთ კრიტიკულ გამოწვევად მაინც რჩება“.

სასამართლოს შეფასებით, **„ოჯახში ძალადობასთან საბრძოლველად მიღებული კანონების შესრულებას აბრკოლებს საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულება და ღრმად ფესვგადგმული პატრიარქალური მიდგომები და გენდერული სტერეოტიპები, რაც გენდერული ნიშნით ძალადობის მიმართ შემწყნარებლურ დამოკიდებულებას განაპირობებს, ხოლო ოჯახში ძალადობა ქვეყნის უმეტეს ნაწილში ძალზე პირადულ და არასაჯარო საკითხად მიიჩნევა“.**

„პრაქტიკის ანალიზით ირკვევა, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლები სახელმწიფოს დახმარებას არ სთხოვენ მანამ, სანამ მდგო-

მარეობა უკიდურესად არ გართულდება და სამართალდამცავების ჩარევა მათთვის სიცოცხლის გადარჩენისა და ჯანმრთელობის დაზიანებისაგან დაცვის ერთადერთი გზა არ აღმოჩნდება. ამ კონდიციამდე მისვლას კი ხშირად ხელს უწყობს გარემო ნათესავებისა და ოჯახის წევრებისა, რომლებიც ზეწოლას ახდენენ მსხვერპლის თავისუფალ ნებაზე. ხშირად მსხვერპლის თავისუფალი ნება პარალიზებულია მრავალი ფაქტორით. კერძოდ, სიყვარულით განპირობებული მიმტევებლობის, ნათესავების ზეწოლის, საზოგადოების რეაგირებისა თუ მოძალადის შიშის, შვილების ან საცხოვრებლის დაკარგვის საფრთხის გამო, მოძალადეზე მატერიალურად დამოკიდებულების გამო (აღსანიშნავია, რომ, განცხადების თანახმად, დაზარალებულის პოზიცია არასაპატიმრო სასჯელთან მიმართებით არგუმენტირებულია სწორედ იმ გარემოებით, რომ ბრალდებულის პატიმრობის პერიოდში ოჯახი დარჩება მარჩენალისა და შემოსავლის გარეშე, რითაც, ასევე, მანიპულირებდა დაცვის მხარე სასამართლოში) ვერ ახერხებენ საკუთარი პოზიციის ბოლომდე დაფიქსირებას, რასაც მოგვიანებით ნანობენ და შედეგებსაც საკუთარ ჯანმრთელობაზე იღებენ, ზოგ შემთხვევაში კი მიდიან ლეტალურ შედეგებამდე. მსხვერპლისა და მისი შვილების უსაფრთხოებას ექმნება განმეორებითი და, შესაძლოა, ინტენსივობით უფრო მაღალი ხარისხის საფრთხე, როდესაც რთული სოციალურ-ეკონომიკური პირობების, შიშისა თუ პრობლემის სერიოზულობის არასათანადო აღქმის გამო უხდებათ კონფლიქტურ სიტუაციაში დაბრუნება და თითქოსდა საკუთარი ნებით უარს ამბობენ გაერიდონ ძალადობრივ გარემოს“.

აღნიშნულის გათვალისწინებთ, სასამართლო ასკვნის, რომ, გონივრულობის ფარგლებში, ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ადეკვატური რეაგირების განხორციელების პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს, ამიტომ გამამტყუნებელ განაჩენთან ერთად მიზანშეწონილად მიიჩნია მოძალადის მიმართ საპატიმრო სასჯელის გა-

მოყენება და საზოგადოებისგან მისი იზოლირება. ანალოგიურად დაასაბუთა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ 2017 წლის 4 ოქტომბერს მიღებულ გადაწყვეტილება, რომელშიც, ასევე, არ გაიზიარა მსხვერპლის პოზიცია მოძალადის მიმართ არასაპატიმრო სასჯელის გამოყენებასთან დაკავშირებით, ზემოხსენებული გარემოებებიდან გამომდინარე.

სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით.

შეჯამება

მოსამართლეები ინტერესდებიან დაზარალებულის პოზიციის მიღმა არსებული მოტივებით, როდესაც მათ არ სურთ ჩვენების მიცემა მოძალადის წინააღმდეგ ან/და ითხოვენ დამნაშავეთა მიმართ ლოიალური სასჯელის გამოყენებას. ამასთან, დაზარალებულთა მიერ სანოტარო წესით დამოწმებულ განცხადებებს ფორმალური ხასიათის დოკუმენტებად მიიჩნევენ, რომლებიც, მოსამართლეთა აზრით, ხშირ შემთხვევაში არ ასახავს რეალობას, ვინაიდან დაზარალებულის ასეთი შემწყნარებლური პოზიცია გამომდინარეობს საქართველოში დამკვიდრებული არასწორი დისკრიმინაციული სტერეოტიპებიდან.

6. სასჯელისა და სხვა მოვალეობების დაკისრება

ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის საქმეებზე მოძალადის მიმართ განსაზღვრული სასჯელი უნდა იყოს ჩადენილი ქმედების პროპორციული და ადეკვატური, რათა, ერთი მხრივ, დამნაშავემ სათანადოდ გააცნობიეროს მის მიერ განხორციელებული ქმედების შინაარსი და, მეორე მხრივ, მსხვერპლის უსაფრთხოება იყოს დაცული. ჩადენილი დანაშაულისა და ფაქტობრივი გარემოებების შეუსაბამო სასჯელი მნიშვნელოვნად ახალისებს განმეორებითი ძალადობის ჩადენას. სასჯელთან ერთად, ხშირ შემთხვევაში, აუცილებელია, მოძალადეს დაეკისროს შესაბამისი ღონისძიებები (სავალდებულო პროგრამებში მონაწილეობა), რაც შეამცირებს ან საერთოდ გამორიცხავს მომავალში ძალადობის გამეორების რისკებს. სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე მუხლის თანახმად, პირობითი მსჯავრის დროს, თუ არსებობს შესაბამისი საფუძველი, სასამართლოს შეუძლია მსჯავრდებულს დააკისროს განსაზღვრული მოვალეობის შესრულება: პრობაციის ბიუროს ნებართვის გარეშე არ შეიცვალოს მუდმივი ბინადრობის ადგილი, არ დაამყაროს ურთიერთობა იმასთან, ვინც შეიძლება იგი ჩააბას ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში, არ მოინახულოს განსაზღვრული ადგილი, მატერიალურად დაეხმაროს ოჯახს, გაიაროს ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, ტოქსიკომანიის ან ვენერიული სენის მკურნალობის კურსი, ხოლო, თუ მსჯავრდებული ოჯახური დანაშაულის ჩამდენი პირია, ასევე – ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსი. სასამართლოს შეუძლია დააკისროს მსჯავრდებულს სხვა მოვალეობაც, რომელიც ხელს შეუწყობს მის გამოსწორებას.

საინტერესოა, რომ, „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 40[1] მუხლის შესაბამისად, ოჯახური დანაშაულის ჩამდენი პირისათვის დაკისრებული მოვალეობის შესრულების უზრუნველყოფა – ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის

გავლის ორგანიზება, პრობაციის ეროვნული სააგენტოს გარდა, პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან დადებული ხელშეკრულების (მემორანდუმის) საფუძველზე, აგრეთვე, შეიძლება განახორციელოს სათანადო გამოცდილების (კომპეტენციის) მქონე სოციალურმა დაწესებულებამ, არასამეწარმეო (არაკომერციულმა) იურიდიულმა პირმა ან შესაბამისი განათლების მქონე პირმა.

სასამართლო, ზოგიერთ შემთხვევაში, აქტიურად იყენებს აღნიშნულ შესაძლებლობას და, სსკ-ის 65-ე მუხლის შესაბამისად, სასჯელთან ერთად დამატებით ვალდებულებებსაც აკისრებს მსჯავრდებულებს.

ქვემოთ მოცემულია მოსამართლეთა სანიმუშო მიდგომები/განმარტებები მოძალადეთა მიმართ სასჯელის გამოყენების დასაბუთებისა და სხვა რელევანტური ღონისძიების შერჩევის თვალსაზრისით.

საქმე №1

საქართველოს უზენაესი სასამართლო **13 დეკემბერი, 2017**

ბრალდების არსი: 2017 წლის 17 ოქტომბერს, დაახლოებით 01:30 საათზე, ბრალდებულმა არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით იძალადა მეუღლეზე. კერძოდ, შუბლის არეში ჭიქის სროლითა და სახეში ხელის დარტყმით მიაყენა ფიზიკური ტკივილი და მსუბუქი ხარისხის დაზიანება, ჯანმრთელობის მოუშლელად. აგრეთვე, იმავე საღამოს არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით ბრალდებულმა მამას მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, რაც გამოიხატა ფეხებში მუშტების რამდენჯერმე დარტყმაში.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, ჩადენილი არასრულწლოვნის თან-

დასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ და ორი ან მეტი პირის მიმართ).

სასამართლოს განმარტება: ოზურგეთის რაიონული სასმართლოს 2017 წლის 10 თებერვლის განაჩენით, ბრალდებული ცნობილ იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 400 (ოთხასი) საათით. მოცემული გადაწყვეტილება ძალაში დატოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ. ბრალდების მხარემ აღნიშნული გადაწყვეტილება მხოლოდ სასჯელის ნაწილში გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში და მოითხოვა მსჯავრდებულისათვის უფრო მკაცრი სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით. თუმცა, საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა კასატორის მოთხოვნა და აღნიშნა, რომ ვინაიდან მსჯავრდებულმა პირველივე დაკითხვისას აღიარა და მოინანია ჩადენილი ქმედება, ითანამშრომლა გამოძიებასთან, აღნიშნული ძალადობის ფაქტი იყო პირველი შემთხვევა და დაზარალებულებს არანაირი პრეტენზია არ ჰქონდათ მოძალადის მიმართ, ამიტომ არ იყო მიზანშეწონილი დამნაშავის პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსება და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დაკისრებითაც მიიღწეოდა სასჯელის მიზნები.

სასჯელი: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 400 (ოთხასი) საათის ვადით.

აღნიშნულ მოსაზრებას არ დაეთანხმა მოსამართლე ნინო გვენეტაძე და გადაწყვეტილებას დაურთო თავისი განსხვავებული აზრი, რომელიც არის სანიმუშო მოძალადის მიმართ სასჯელის განსაზღვრის კონტექსტში.

მოსამართლის განსხვავებული აზრი: მოსამართლემ მიიჩნია, რომ მსჯავრდებული უნდა დასჯილიყო ვადიანი თავისუფლების აღკვეთით. კერძოდ, აღნიშნა, რომ მსჯავრდებულისთვის განსაზღვრული საზო-

გადოებისათვის სასარგებლო შრომა არ შეესაბამებოდა მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების სიმძიმესა და მის პიროვნებას. **„აღნიშნული სასჯელის სახე, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არის ზედმეტად ლმობიერი და არ წარმოადგენს მსჯავრდებულზე ზემოქმედების იმ ფორმას, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს სასჯელის მიზნების განხორციელება: სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია“.**

მოსამართლემ სასჯელის გამოყენების დასაბუთებისას ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

- 2015 წლის 5 ავისტოს მოძალადის მიმართ გამოცემული იყო შემაკავებელი ორდერი ერთი თვის ვადით, რომელიც ცხადყოფდა, რომ მსჯავრდებული ადრეც ძალადობდა ოჯახის წევრებზე, კერძოდ, მეუღლეზე;
- მოსამართლემ ყურადღება გაამახვილა მსჯავრდებულის მეზობლის ჩვენებაზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ მოძალადე ხშირად სვამდა და ასეთ დროს ხდებოდა აგრესიული ოჯახის წევრების მიმართ, ამიტომ არაერთხელ გაუგონია მათი ოჯახიდან ყვირილისა და გინების ხმა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ირკვეოდა, რომ მოძალადე ხშირად ავლენდა აგრესიას ოჯახის წევრების მიმართ და მათთვის წარმოადგენდა საფრთხეს;
- ირკვეოდა, რომ მოძალადეს დანაშაული ჩადენილი ჰქონდა გამოსაცდელი ვადის პერიოდში. კერძოდ, იგი ნასამართლევი იყო ბინაში უკანონო შეღწევით ქურდობისთვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. ოჯახში ძალადობა მან ჩაიდინა სწორედ გამოსაცდელი ვადის მსვლელობის პერიოდში, რაც მოსამართლის აზრით, კიდევ უფრო ამძიმებდა პირის სამართლებრივ მდგომარეობას;
- მოსამართლემ შეაფასა მსჯავრდებულისათვის წარდგენილი ბრალდების დამამძიმებელი გარემოება, კერძოდ, დანაშაულის ჩადენა არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით. **„ამგავრი ქმედების**

ჩადენამ არასრულწლოვანთა თანდასწრებით შესაძლოა, სავალალო ზემოქმედება იქონიოს მათ ფსიქიკასა და შემდგომ განვითარებაზე, ვინაიდან ოჯახში ძალადობა ნეგატიურ გავლენას ახდენს ბავშვზე, უნგრევს მას სტაბილურობისა და უსაფრთხოების განცდას";

- მოსამართლემ შეფასების გარეშე არ დატოვა არც საქმეში არსებული შემამსუბუქებელი გარემოებები და აღნიშნა, რომ მსჯავრდებულის მიერ ბრალის აღიარება, გამოძიებასთან თანამშრომლობა და დაზარალებულების განცხადება მოძალადის მიმართ შეღავათების გამოყენების შესახებ შეიძლება გამხდარიყო მხოლოდ სსკ-ის 126[1] მუხლის მეორე ნაწილის სანქციით გათვალისწინებული სასჯელის სახის – თავისუფლების აღკვეთის – ფარგლებში მსჯავრდებულისათვის შეღავათის გაწევისა და არა მის მიმართ უფრო მსუბუქი სახის სასჯელის – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის – გამოყენების საფუძველი.

ამდენად, მოსამართლე ასკვნის, რომ **„საქმეში არსებული გარემოებები, კერძოდ: წარსულში შემაკავებელი ორდერის არსებობა, ნასამართლობა, პირობითი მსჯავრის დროს ოჯახში ძალადობა არასრულწლოვანთა თანდასწრებით და ოჯახის ორი წევრის მიმართ სასჯელის ინდივიდუალიზაციისთვის არსებითია და ამ შემთხვევაში გამოირიცხება მსუბუქი სანქციის – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის – გამოყენების საფუძველი და მისი დანიშვნა ვერ იქნება სამართლიანი".**

საქმე №2

თბილისის სააპელაციო სასამართლო **15 დეკემბერი, 2017**

ბრალდების არსი: 2017 წლის იანვარში, ივნისსა და ივლისში, მთვრალ მდგომარეობაში მყოფი ბრალდებული სისტემატურად აყენებდა მეუღლეს ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას, რაც გამოიხატებოდა ხელის გარტყმაში, ხელის ყელზე მოჭერასა და მუცელზე ფეხის დაჭერაში.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის 1-ლი ნაწილი (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა გამოიწვია).

სასამართლოს განმარტება: პირველი ინსტანციის სასამართლომ დამნაშავეს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით, რაც ჩაუთვალა პირობითად, ერთწლიანი გამოსაცდელი ვადით. აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა ბრალდების მხარემ სააპელაციო სასამართლოში და მოითხოვა სასჯელის დამძიმება.

სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა პროკურორის მოთხოვნა და აღნიშნა, რომ მოძალადის მიმართ დამატებითი მექანიზმების გამოყენება იქნებოდა უკეთესი გარანტი კანონით გათვალისწინებული სასჯელის მიზნების მისაღწევად. **„პალატა აღნიშნავს, რომ ფიზიკურ ძალადობას ოჯახში გააჩნია განსაკუთრებულად მძიმე ხასიათი და, ასევე, განსაკუთრებულად უარყოფითად აისახება როგორც მსხვერპლის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, ისე შვილების ნორმალურ ფსიქიკურ განვითარებაზე. მოცემულ შემთხვევაში, ქმედებების განხორციელების სახისა და არაერთგზისობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია მოძალადის მიმართ გამოსაცდელი ვადის გაზრდა 2 წლამდე, რაც იქნება დამატებითი გარანტია ახალი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად..... განხორციელებული არაერთჯერადი ძალადობის მხედველობაში მიღებით, პალატა, ასევე, მიზანშეწონილად მიიჩნევს, დამნაშავეს დაეკისროს ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლა, რომლის აღსრულებასაც უზრუნველყოფს პრობაციის ბიურო“.**

სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით, რაც ჩაეთვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 2 წელი. ამასთან,

დამნაშავეს დაეკისრა ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლა.

საქმე №3

ახალციხის რაიონული სასამართლო **6 ოქტომბერი, 2017**

ბრალდების არსი: ბრალდებული სისტემატურად აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას თავის მეუღლეს, რის გამოც ეს უკანასკნელი განიცდიდა ტანჯვას. აგრეთვე, 2017 წლის ივლისში, დაახლოებით 11:00 საათზე, საკუთარ საცხოვრებელ სახლში კვლავ მიაყენა მოძალადემ დაზარალებლს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. კერძოდ, მან რამდენჯერმე დაარტყა მეუღლეს ხელები და ფეხები თავის არეში და სხეულის სხვადასხვა ადგილში. ხოლო, შემდეგ სახლიდან ეზოში გამოქცეულ დაზარალებულს კიდევ დაარტყა მუშტი თვალის არეში და რამდენჯერმე ჩაარტყა პოლიეთილენის მილი.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის 1-ლი ნაწილი (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა გამოიწვია).

სასამართლოს განმარტება: მოცემულ საქმეში გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას, სასჯელის დასაბუთების დროს, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს შემდეგ გარემოებებზე. კერძოდ, **„ბრალდებული ჩვენებაში მიუთითებს მეუღლის მიმართ ძალადობის მიზეზებზე და ცდილობს გაამართლოს თავისი ქმედება. ყოველივე აღნიშნული კი იმაზე მიუთითებს, რომ იგი არ ინანიებს ჩადენილ ქმედებას. მას, ჩვეულებრივ, დასაშვებად მიაჩნია, რომ მეუღლის მხრიდან მისთვის**

მიუღებელი ქმედების გამო, მისი ერთგვარად დასჯის მიზნით, მის წინააღმდეგ შესაძლებელია გამოიყენოს ძალადობის ისეთი ფორმა, რომელიც დაზარალებულს ტკივილსა და ტანჯვას აყენებს. სასამართლო მიუთითებს, რომ ძალადობა ვერ აიხსნება ვერანაირი წინაპირობით, თუ იგი არ იქნა გამოყენებული, როგორც საპასუხო იძულების პროპორციული ზომა, რაც ამ შემთხვევაში არ გვაქვს. ყოველივე აღნიშნული კი ქმნის ვარაუდის საფუძველს, რომ, ბრალდებულის მიმართ არასაპატიმრო სასჯელის გამოყენების შემთხვევაში, იგი კიდევ ჩაიდენს ანალოგიურ დანაშაულს“.

სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა 8 (რვა) თვის ვადით.

საქმე №4

ზუგდიდის რაიონული სასამართლო **21 ნოემბერი, 2016**

ბრალდების არსი: 2016 წლის 23 აგვისტოს, დაახლოებით 01:00 საათზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ბრალდებულმა რამდენჯერმე დაარტყა ხელი თავის მეუღლეს, რომელთანაც ეწეოდა ერთიან საოჯახო მეურნეობას, რის გამოც დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი და მიიღო სხეულის მსუბუქი დაზიანება, ჯანმრთელობის მოუშლელად. აგრეთვე, იმავე დღეს ბრალდებული დანის გამოყენებით სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა მეუღლეს, რის გამოც დაზარალებულს გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის 1-ლი ნაწილი (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია) და 11[1] -151-ე მუხლის 1-ლი ნაწილი (მუქარა ოჯახის წევრის მიმართ, ე.ი. სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მისი განხორციელების საფუძვლიანი შიში).

სასამართლოს განმარტება: მოსამართლემ სასჯელის დასაბუთებისას მხედველობაში მიიღო მოძალადის მიერ ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება. კერძოდ, **„მოძალადის მიერ ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლი აღმოჩნდა მისი ოჯახის წევრი-მეუღლე, რაც, ამავე დროს, ხელყოფს ოჯახში თანასწორუფლებიანობას და მშვიდ თანაცხოვრებას, რის გამოც ამ ტიპის დანაშაულის შემდგომი პრევენცია (როგორც კერძო, ასევე ზოგადი) საჭიროებს განსაკუთრებულ კონტროლს და, ზოგადად, სახელმწიფოს მხრიდან მკაცრ მიდგომებს, მათ შორის სასჯელთან დაკავშირებითაც, რისი მიზანიცაა მსჯავრდებულსა და სხვა პირზე კანონიერი ზემოქმედება, რათა თავიდან იქნეს აცილებული როგორც ბრალდებულის, ასევე სხვა პირთა მიერ ანალოგიური დანაშაულის ჩადენა“.** მოსამართლე სწორად აფასებს, რომ, **„დანაშაულის პრევენციის გარდა, სასჯელის ეფექტური ღონისძიების გამოყენების მიზანია სამართლიანობის აღდგენა და საზოგადოების წევრებში დაცულობის განცდის უზრუნველყოფა, შესაბამისი და ადეკვატური სასჯელის დანიშვნის გზით“.**

სსკ-ის 53-ე მუხლის თანახმად, **„სასამართლო მხედველობაში იღებს, რომ ქმედების განმსაზღვრელი მოტივი იყო ეჭვიანობის ნიადაგზე პირადი პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ოჯახის წევრისა და მოქალაქეობრივი მოვალეობებისადმი ზერელე და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით საკუთარი უპირატესობის წარმოჩენა და შურისძიება, რითაც ბრალდებული დაუპირისპირდა ოჯახსა და საზოგადოებაში დამკვიდრებულ ზნეობრივ ნორმებს და უგულებელყო ურთიერთპატივისცემის მოქალაქეობრივი მოვალეობა, რაც დასაგმობია“.**

სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა 7 (შვიდი) თვის ვადით.

საქმე №5

თბილისის საქალაქო სასამართლო **18 მაისი, 2017**

ბრალდების არსი: 2018 წლის თებერვალში საცხოვრებელ სახლში ბრალდებულმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მეუღლეს. კერძოდ, მუშტი დაარტყა სახეში-თვალის არეში, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია. გარდა აღნიშნულისა, ბრალდებულმა ბოლო თვეების განმავლობაში არაერთხელ მიაყენა მეუღლეს სიტყვიერი შეურაცხყოფა და დაამცირა. კერძოდ, აგინებდა და ლანძღავდა დაზარალებულს, რამაც ამ უკანასკნელის ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის 1-ლი ნაწილი (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, დამცირება, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა გამოიწვია).

სასამართლოს განმარტება: მოსამართლემ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას, სხვა გარემოებებთან ერთად, ყურადღება გაამახვილა მსჯავრდებულისათვის განსაზღვრული მოვალეობის შესრულების საკითხზე. კერძოდ, მოსამართლის შეფასებით, ვინაიდან დამნაშავემ ჩაიდინა ოჯახში ძალადობა, მისი პიროვნებისა და დაზარალებულის მიმართ მის მიერ ფაქტობრივად განხორციელებლი ქმედებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იყო, სსკ-ის 65-ე მუხლის საფუძველზე, მისთვის გარკვეული მოვალეობის დაკისრება – ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლა. მოსამართლის შეფასებით, დანიშნულ სასჯელთან ერთად, დამატებითი ვალდებულების სახით აღნიშნული კურსის გავლა გაზრდიდა სასჯელის მიზნების მიღწევის შესაძლებლობასა და შეამცირებდა დამნაშავის მხრიდან დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების (ახალი დანაშაულის ჩადენის)

საფრთხეს. ასევე, ხელს შეუწყობდა მსჯავრდებულის რესოციალიზაციას. კერძოდ, მას მიეცემოდა შესაძლებლობა, გაეაზრებინა მის მიერ ჩადენილი ძალადობრივი ქმედებები, გაეკეთებინა სათანადო დასკვნები და საზოგადოებაში დაემკვიდრებინა ადგილი გაწონასწორებული/კანონმორჩილი მოქალაქის სტატუსით. ანალოგიურად დაასაბუთა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ 2017 წლის 19 მაისს მიღებული გადაწყვეტილებაც, რომლითაც დამნაშავეს ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლა დაავალა.

სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა 7 (შვიდი) თვის ვადით, რაც ჩაეთვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 1 წელი და 6 თვე. ამასთან, დამნაშავეს დაეკისრა ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლა.

საქმე №6

ზუგდიდის რაიონული სასამართლო **30 ნოემბერი, 2016**

ბრალდების არსი: 2016 წლის 30 ოქტომბერს, საღამოს საათებში, ზუგდიდის რაიონში მდებარე საცხოვრებელ სახლში ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით, ბრალდებულმა ღუმელზე მდგარი ცხელი ტაფა განზრახ მოარტყა დაზარალებულს მარცხენა თეძოს არეში, რითაც ამ უკანასკნელმა განიცადა ფიზიკური ტკივილი.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, ჩადენილი არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ).

სასამართლოს განმარტება: მოსამართლემ სწორად განსაზღვრა ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის არსებული ოჯახური კავშირი, ვინაიდან ისინი მუდმივად ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას. ხოლო, ბრალდებულისათვის სასჯელის განსაზღვრისას, მხედველობაში მიიღო დანაშაულის ჩადენის მოტივი (მეუღლეზე გაბრაზება), მიზანი (დაზარალებულისათვის ფიზიკური ტკივილის მიყენება), ბრალდებულის მიერ მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა (მთვრალ მდგომარეობაში მყოფი ბრალდებულის მიერ დაზარალებულისათვის ღუმელზე მდგარი ცხელი ტაფის დარტყმა, ანუ იმ პირისათვის ფიზიკური ტკივილის მიყენება, ვისთან ერთადაც ეწევა მუდმივ ერთიან საოჯახო მეურნეობას და ვისზე ზრუნვაც მას ევალება) და სხვა გარემოებები. ამ გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო განმარტავს, რომ ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის წარსულში არსებული დაპირისპირების ფაქტების, ასევე ჩადენილი ქმედების ხასიათის მხედველობაში მიღებით, მიზანშეწონილი იყო, ბრალდებულის მიმართ გამოყენებულიყო წარდგენილი ბრალდებისათვის გათვალისწინებული სასჯელის ყველაზე მკაცრი ზომა – თავისუფლების აღკვეთა. თუმცა, საბოლოოდ განსაზღვრული სასჯელი ჩაუთვალა პირობითად და დაუდგინა გამოსაცდელი ვადა.

საინტერესოა, მოსამართლის მსჯელობა მოძალადის მიმართ დაკისრებულ სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებით. კერძოდ, მოსამართლის განმარტებით, ბრალდებულის მიერ დანაშაულებრივად შეფასებული ქმედების ჩადენის ერთ-ერთი მიზეზი გახდა ალკოჰოლური თრობა, რაც, ასევე, იყო მიზეზი წარსულში მათი დაპირისპირებისა. როგორც ირკვეოდა, ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის ადრეც იყო გარკვეული დაპირისპირება, რომელიც არ გადაზრდილა დანაშაულში, რის გამოც სასამართლომ მიიჩნია, რომ სასჯელის ერთ-ერთი მიზნის, კერძოდ, პრევენციის მიღწევა შეუძლებელი იყო სსკ-ის 65-ე მუხლში მითითებული, ალკოჰოლური სასმელის მიღები-

საგან თავის შეკავებისა და ალკოჰოლიზმის მკურნალობის კურსის გავლის, ასევე ძალადობრივი ქცევის პროგრამაში ჩართვის მოვალეობის დაწესების გარეშე.

ამდენად, გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, დამნაშავეს დაეკისრა მოვალეობა, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში არ მიეღო ალკოჰოლური სასმელი, გაევლო ალკოჰოლიზმის მკურნალობის კურსი და ჩართულიყო ძალადობრივი ქცევის კორექციის პროგრამაში. ანალოგიურად დაასაბუთა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ 2016 წლის 16 ნოემბერსა და 2017 წლის 6 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებითაც დამნაშავეს გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ალკოჰოლური სასმელის მიღება აუკრძალა და ალკოჰოლიზმის მკურნალობის კურსისა და ძალადობრივი ქცევის პრევენციის პროგრამაში ჩართვა დაავალა.

სასჯელი: თვისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით, რაც ჩაეთვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 2 (ორი) წელი. ასევე, დამნაშავეს დაეკისრა მოვალეობა, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში არ მიეღო ალკოჰოლური სასმელი, გაევლო ალკოჰოლიზმის მკურნალობის კურსი და ჩართულიყო ძალადობრივი ქცევის პროგრამაში.

საქმე №7

გორის რაიონული სასამართლო **5 ივნისი, 2018**

ბრალდების არსი: 2017 წლის დეკემბერში, საღამოს საათებში, საცხოვრებელ სახლში და ეზოში ბრალდებულმა მეუღლეს ოჯახის კუთვნილი თანხის განკარგვასთან დაკავშირებით წარმოშობილი შელაპარაკებისას ხელი და ფეხი რამდენჯერმე დაარტყა სხეულის სხვადასხვა ადგილას, რის შედეგადაც დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური

ტკივილი. აგრეთვე, 2018 წლის მარტში საცხოვრებელ სახლში, საყოფაცხოვრებო ნიადაგზე წარმოშობილი შეალაპარაკებისას, ბრალდებულმა მეუღლეს ყელში წაუჭირა ხელი, დაარტყა მარცხენა გვერდში და თავი მიარტყმევინა კედელზე, რის შედეგადაც დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი.

2018 წლის მარტში, ღამის საათებში, საცხოვრებელ სახლში, იმის გამო, რომ ბრალდებული მეუღლეს სისტემატურად აყენებდა შეურაცხყოფას, რითაც ამცირებდა მის პატივსა და ღირსებას, დაზარალებულმა სცადა თვითმკვლელობა, კერძოდ, ყელისა და ხელების არეში შუშის ნატეხით დაიზიანა სხეული.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის 1-ლი ნაწილი (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, ორი ეპიზოდი) და 11[1]-115-ე მუხლი (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა მსხვერპლის პატივისა და ღირსების სისტემატური დამცირებით).

სასამართლოს განმარტება: მოცემულ საქმეზე მოსამართლემ ყურადღება გაამახვილა არასრულწლოვნის ჯანსაღ გარემოში აღზრდის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე და ამ გარემოებებით ახსნა მოძალადისათვის მკაცრი პასუხისმგებლობის დაკისრების მიზანშეწონილობა. „სასამართლო ასევე ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ბრალდებულისა და დაზარალებულის საერთო საცხოვრებელ სახლში იზრდება მათი მცირეწლოვანი შვილი, არასაპატიმრო სასჯელის გამოყენების შემთხვევაში კი შესაძლოა დაირღვეს არასრულწლოვნის სოციალურად ჯანმრთელ, ნორმალურ გარემოში და თავისუფალ და ღირსეულ პირობებში ფიზიკური, გონებრივი, მორალური და სულიერი განვითარების ფუნდამენტური უფლება“.

სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლის ვადით.

შეჯამება

დამნაშავის მიმართ სასჯელისა და თუ დამატებითი ღონისძიებების განსაზღვრის დროს მოსამართლეები ყურადღებას ამახვილებენ მოძალადის წარსულ გამოცდილებასა და დამოკიდებულებაზე მის მიერ ჩადენილი ქმედების მიმართ. აგრეთვე, აფასებენ ოჯახში ძალადობის გავლენას ოჯახის სხვა წევრთა, განსაკუთრებით არასრულწლოვანთა ინტერესებზე, რასაც მხედველობაში იღებენ სასჯელის დანიშვნის დროს. მოსამართლეთა შეფასებით, სამართლიანობის აღდგენასთან ერთად მნიშვნელოვანია საზოგადოებაში დაცულობის განცდის შექმნაც, რის პირობასაც დამნაშავის მიმართ დამატებითი ღონისძიებების გამოყენებაში ხედავენ. კერძოდ, პირობით მსჯავრთან ერთად მოძალადეს აკისრებენ ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების კურსის გავლას, ხოლო დანაშაულის სიმთვრალის მდგომარეობაში ჩადენის შემთხვევაში ალკოჰოლური სასმელის მიღებისაგან თავის შეკავებასა და ალკოჰოლიზმის მკურნალობის კურსის გავლას ავალებენ.

7. პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები

სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლი, რომელიც ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ განხორციელებულ ძალადობას, სისტემატურ შეურაცხყოფას, შანტაჟსა და დამცირებას გულისხმობს, ითვალისწინებს დამნაშავისათვის პასუხისგებლობის დამძიმების სხვადასხვა გარემოებას, ესენია: ოჯახში ძალადობა წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ, არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ, ორი ან მეტი პირის მიმართ, ჯგუფურად და არაერთგზის.

პასუხისმგებლობის დამამძიმებელი საკანონმდებლო გარემოებების გარდა, მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს მოძალადის სხვა პიროვნულ მახასიათებლებზე ან/და მის მიერ წარსულში განხორციელებულ მავნე ქმედებებზე, რაც ასევე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სასჯელის განსაზღვრის დროს, ოჯახური დანაშაულების პრევენციის ხელშეწყობის მიზნით.

ქვემოთ მოცემული სასამართლო გადაწყვეტილებები ეხება როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი საკანონმდებლო რეგულაციების განმარტებას, ისე სხვა გარემოებებს, რომლებიც სასამართლოს აზრით, ოჯახში ძალადობის კონტექსტის გათვალისწინებით, ასევე, მიჩნეულ უნდა იქნეს მოძალადისათვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ ინსტრუმენტებად.

საქმე №1

გურჯაანის რაიონული სასამართლო **11 მაისი, 2016**

ბრალდების არსი: 2016 წლის 3 მარტს, დაახლოებით 18:00 საათზე, ბრალდებულმა სცემა ორსულ მეუღლესა და მის მშობლებს, რითაც მათ მიაყენა მსუბუქი ხარისხის დაზიანებები, ჯანმრთელობის მოუშლელად.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახს სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, ჩადენილი წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა და ორი ან მეტი პირის მიმართ).

სასამართლოს განმარტება: ბრალდებულის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაცია შეფასებული იყო, როგორც ოჯახში ძალადობა, ჩადენილი წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა და ორი ან მეტი პირის მიმართ. როგორც გადაწყვეტილებიდან ირკვეოდა, ბრალდებულს მეუღლემ უთხრა, რომ იყო ორსულად და მასაც ეგონა, რომ მეუღლე ფეხმძიმედ იყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სინამდვილეში დაზარალებული ორსულად არ ყოფილა. კერძოდ, საქმის მასალებით, მათ შორის გინეკოლოგის მიერ გაცემული ცნობით დადასტურდა, რომ დაზარალებული, რომელიც არის ბრალდებულის მეუღლე, არ არის და არც ყოფილა ორსულად ძალადობის დროს. აღნიშნული ფაქტი, რომ დაზარალებული არ იყო ფეხმძიმედ, დაადასტურა პროკურორმაც. მოსამართლემ სწორად შეაფასა მსხვერპლის ორსულობის, როგორც დამამძიმებელი გარემოების, პირობები და საფუძვლები და განმარტა, რომ **„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კვალიფიკაციის დროს ერთდროულად უნდა არსებობდეს პირობა: ბრალდებულის მიერ წინასწარი შეცნობა, რომ იგი ძალადობას ახორციელებს ორსულის მიმართ, და მსხვერპლის ორსულობა“** (ანუ მსხვერპლი რეალურად, ობიექტურად უნდა იყოს ფეხმძიმედ).

სასჯელი: ბრალდებული ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 126[1] მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, ჩა-

დენილი ორი ან მეტი პირის მიმართ) და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 250 (ორასს ორმოცდაათი) საათის ვადით.

საქმე №2

საქართველოს უზენაესი სასამართლო **24 ოქტომბერი, 2016**

ბრალდების არსი: 2016 წლის აპრილში ბრალდებულმა სახეში ხელის დარტყმითა და ყელში ხელის მოჭერით იძალადა ცოლის არასრულწლოვან ძმაზე, რომელთანაც მუდმივად ეწეოდა ერთიან საოჯახო მეურნეობას. აგრეთვე, ბრალდებულმა თმაში რამდენჯერმე მოქაჩვით იძალადა არასრულწლოვნის დაზე, მისივე თანდასწრებით.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტები (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ და არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ) და 125-ე მუხლის პირველი ნაწილი (სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია).[8]

სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ბრალდებულის მიერ ჩადენილი ქმედებების კვალიფიკაციაზე და აღნიშნა, რომ ბრალდების მხარემ მოძალადეს ერთი და იმავე ქმედების გამო ორმაგი პასუხისმგებლობა დააკისრა – სისხლის სამართლის კოდექსის ორი სხვადასხვა მუხლით. სასამართ-

[8] 2016 წლის 1-ლი დეკემბრის რედაქციით.

ლოს შეფასებით, ვინაიდან ცოლის და არ არის ბრალდებულის ოჯახის წევრი, ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ მის მიმართ ძალადობას არასრულწლოვანი ესწრებოდა, რომელიც ბრალდებულის ოჯახის წევრიცაა, ქმედება ვერ დაკვალიფიცირდებოდა არასრულწლოვნის თანდასწრებით განხორციელებულ ოჯახში ძალადობად.

„საქართველოს სსკ-ის 126[1] მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საკანონმდებლო კონსტრუქციიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ ამ დანაშაულის სუბიექტი და ობიექტი იყვნენ ოჯახის წევრები. ხსენებული მუხლის ობიექტური მხარე გამოიხატება ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ განხორციელებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს ორივე ინსტანციის სასამართლოების განმარტებას, რომ სწორედ „მოძალადე“ და „ძალადობის მსხვერპლი“ უნდა იყვნენ ერთი ოჯახის წევრები და არა – „არასრულწლოვანი“ და ამ უკანასკნელის ოჯახის წევრი.“

„საქმის მასალებით დადგენილია, რომ ს. გ.-მ („მოძალადე“), არასრულწლოვან მ. ა.-ს თანდასწრებით, იძალადა ცოლის დაზე – რ. ა.-ზე („ძალადობის მსხვერპლი“), თუმცა რ. ა.-ი, საქართველოს სსკ-ის 126[1] მუხლის შენიშვნის გათვალისწინებით, ს. გ.-ს ოჯახის წევრს არ წარმოადგენს“.

ამდენად, სასამართლომ სწორად შეაფასა 126[1] მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის დისპოზიციის ფარგლები, რადგან ხსენებული კვალიფიკაციით დანაშაულის შემადგენლობა გვაქვს მაშინ, როდესაც ძალადობა მიმართულია არა უშუალოდ არასრულწლოვნის, არამედ მისი თანდასწრებით მოძალადის ოჯახის წევრის მიმართ.

საქმე №3

სამტრედიის რაიონული სასამართლო **2 ოქტომბერი, 2017**

ბრალდების არსი: 2018 წლის 1 აგვისტოს, დაახლოებით 00:10 საათზე, მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა ნაშვილებმა, განაწყენების ნიადაგზე, საცხოვრებელი სახლის ეზოში იძალადა მშვილებლის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 89 წლის დაზარალებულის, მიმართ, რომელსაც წაართვა ხელჯოხი, რომლის დახმარებითაც გადაადგილდებოდა. შემდეგ ხელის კვრით მიწაზე წააქცია, ხოლო წაქცეულს ხელჯოხის არაერთხელ დარტყმით სახისა და ხელების მიდამოში სცემა, რითაც მიაყენა ჯანმრთელობის დაზიანებები, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, ჩადენილი დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის მიმართ).

სასამართლოს განმარტება: მოსამართლემ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებზე მსჯელობისას ყურადღება გაამახვილა დამნაშავის ალკოჰოლურ თრობაზე და პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნია დანაშაულის ჩადენა მთვრალ მდგომარეობაში. ასეთივე მიდგომით სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ 2017 წლის 15 ივნისს, 27 სექტემბერსა და 24 ნოემბერს მიღებულ გადაწყვეტილებებში ძმის, მშვილებლის, მეუღლისა და არასრულწლოვანი შვილის მიმართ მთვრალ მდგომარეობაში ჩადენილი ძალადობა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად განსაზღვრა.

სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით, საიდანაც დამნაშავეს 6 (ექვსი) თვის მოხდა განესაზღვრა საპატიმრო დაწესებულებაში, ხოლო დარჩენილი 6 (ექვსი) თვე ჩაეთვალა პირობითად და დაუდგინდა ერთწლიანი გამოსაცდელი ვადა.

საქმე №4

სამტრედიის რაიონული სასამართლო **24 იანვარი, 2017**

ბრალდების არსი: სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 17 ოქტომბრის განაჩენით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126^1 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებულმა 2016 წლის 18 ივლისს, დაახლოებით 16:00 საათზე, თავის საცხოვრებელ სახლში თავისა და კისრის არეში ხელის დარტყმით სცემა შვილი, რამაც ამ უკანასკნელის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126^1 მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, ჩადენილი არაერთგზის).

სასამართლოს განმარტება: მოცემულ საქმეზე, მოსამართლემ ადმინისტრაციული რეაგირების მასალები მიიჩნია პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად. კერძოდ, 2015 წლის 4 ოქტომბრის დადგენილებით, ბრალდებული ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 175^2 მუხლის პირველი ნაწილით და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდა პატიმრობა 7 (შვიდი) დღის ვადით. მოსამართლემ დამამძიმებელ გარემოებებზე მსჯელობისას ყურადღება გაამახვილა ბრალდებულის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტზე და პასუ-

ხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნია მის მიერ შემაკავებელი ორდერის დარღვევა. აგრეთვე, მოსამართლემ აღნიშნა, რომ ბრალდებულს სისტემატური კონფლიქტი ჰქონდა ოჯახის წევრებთან, რასაც მოწმობდა მის მიმართ გამოცემული შემაკავებელი ორდერები.

სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით.

საქმე №5

ზუგდიდის რაიონული სასამართლო **16 ნოემბერი, 2016**

ბრალდების არსი: 2016 წლის 4 ოქტომბერს, საღამოს საათებში, საცხოვრებელ სახლში არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით ბრალდებულმა თავის მეუღლეს რამდენჯერმე დაარტყა მუშტი სახის არეში, რითაც ამ უკანასკნელმა განიცადა ფიზიკური ტკივილი და მიიღო სხეულის მსუბუქი დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, ჩადენილი არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ).

სასამართლოს განმარტება: დაზარალებულის განმარტებით, ბრალდებული მას მანამდეც, ანუ 2016 წლის 4 ოქტომბრამდეც, აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, მაგრამ ფიზიკურ დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია. მოსამართლემ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებზე მსჯელობისას ყურადღება გაამახვილა ოჯახში ძალადობის წინარე ისტორიაზე. კერძოდ, მეუღლესთან დაძაბული ურთიერთობა და წარსულში ბრალდებულის მიერ დაზარა-

ლებულის სიტყვიერი შეურაცხყოფის არაერთი ფაქტი მიიჩნია პასუ-ხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად.

სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლის ვადით, რაც ჩაეთვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 3 (სამი) წელი. ასევე, დამნაშავეს დაეკისრა მოვალეობა, გამოსაცდელი ვადის განმავლობა-ში არ მიეღო ალკოჰოლური სასმელი, გაევლო ალკოჰოლიზმის მკურ-ნალობის კურსი და ჩართულიყო ძალადობრივი ქცევის პროგრამაში.

საქმე №6

თბილისის საქალაქო სასამართლო **9 თებერვალი, 2017**

ბრალდების არსი: ბრალდებული სისტემატურ სიტყვიერ და ფიზიკურ შე-ურაცხყოფას აყენებდა მეუღლეს. ხოლო, 2016 წლის 11 ნოემბერს ალ-კოჰოლური თრობის ქვეშ მყოფმა მოძალადემ მეუღლეს მიაყენა ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა, ხოლო შემდეგ ხელი დაარტყა თავის არე-ში, რამაც დაზარალებულის ძლიერი ფიზიკური ტკივილი გამოიწვია. მოძალადემ იგივე ქმედება განახორციელა 2016 წლის 13 ნოემბერსაც.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხ-ლის 1-ლი ნაწილი (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გა-მოიწვია, ორი ეპიზოდი).

სასამართლოს განმარტება: მოსამართლემ სასჯელის დასაბუთებისას აღ-ნიშნა, რომ ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენა ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომრეობაში და ძალადობის სისტემატური ხასიათი უნდა მიჩნეულიყო პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსამართლე მივიდა იმ დასკვნამ-

დე, რომ სსკ-ის 126[1] მუხლის 1-ლი ნაწილისთვის გათვალისწინებული სანქციებიდან მხოლოდ საპატიმრო სასჯელი-თავისუფლების აღკვეთა უზრუნველყოფდა შესაბამის მიზნებს, რაც დამნაშავის პიროვნებისა და ჩადენილი დანაშაულის თანაზომიერი და პროპორციული ზომა იყო.

სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით.

საქმე №7

გორის რაიონული სასამართლო **18 ოქტომბერი, 2017**

ბრალდების არსი: ბრალდებულმა საცხოვრებელ სახლში არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით იძალადა მეუღლეზე. კერძოდ, მას მარჯვენა ხელის მტევანზე მიაყენა დაზიანება და რამდენჯერმე მიაჯახა კედელს, რის შედეგადაც დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი. აგრეთვე, ბრალდებული თან ნაქონი დანის გამოყენებით მეუღლეს დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით, რის გამოც დაზარალებულს გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, ჩადენილი არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ) და 11[1]-151-ე მუხლის პირველი ნაწილი (მუქარა ოჯახის წევრის მიმართ, ე.ი. სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მისი განხორციელების საფუძვლიანი შიში).

სასამართლოს განმარტება: „სასამართლო პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად აფასებს დანაშაულის ჩადენას ოჯახის წევრის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის

კოდექსის 53[1] მუხლის მე-2 ნაწილი, რომლითაც ეს გარემოება პირდაპირ არის გათვალისწინებული ყველა დანაშაულისათვის სასჯელის დამამძიმებლად, ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის დროს არ მოქმედებდა. კერძოდ, სასამართლოს მიაჩნია, რომ მეუღლის მიმართ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა, აგრეთვე ამ ქმედებათა არასრულწლოვნის თანდასწრებით ჩადენა, უარყოფითად ახასიათებს ბრალდებულის პიროვნებას და, პასუხისმგებლობის დამამძიმებელ სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში, შესაძლებელია, გახდეს მისთვის შედარებით მკაცრი სასჯელის დანიშვნის საფუძველი.“

ამდენად, აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და დანაშაულის პრევენციის მიზნით მიზანშეწონილი იყო მოძალადის საზოგადოებისაგან იზოლაცია.

სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით.

შეჯამება

ზემოხსენებული გადაწყვეტილებები ეხება მოსამართლეთა განმარტებებსა და მიდგომებს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ საკანონმდებლო საფუძვლებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: ოჯახში ძალადობა წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ და არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ. მოსამართლეები პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებად, კონკრეტულ მუხლში მითითებული ნიშნების გარდა, მიიჩნევენ ოჯახში ძალადობის ჩადენას ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში, აგრეთვე ადმინისტრაციული რეაგირების მასალებს (წარსულში გამოცემულ შემაკავებელ ორდერსა და მისი დარღვევის შემთხვევებს), ძალადობის წინარე ისტორიასა და წარსულში ბრალდებულის მიერ დაზარალებულისათვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების არაერთ ფაქტს (კონფლიქტის სისტემატურობა).

თავი II.
ბავშვთა მიმართ ძალადობა ოჯახში

ოჯახში ძალადობა უარყოფით გავლენას ახდენს არასრულწლოვნის განვითარებაზე. ბავშვი, რომელიც ძალადობრივი ქმედების მოწმე ან მსხვერპლია, ითრგუნება, ხდება დეპრესიული ან აგრესიული, უჭირს თანატოლებთან ურთიერთობა, აქვს მომავლის შიში, დაქვეითებული ყურადღება და სწავლისადმი ნაკლები ინტერესი. ამასთან, იგი თანდათან ეგუება ძალადობას და ამგვარი ურთიერთობები ნორმად მიაჩნია. ამ ყველაფრის ფონზე, ასეთ გარემოში აღზრდილი ბავშვები მიდრეკილნი არიან ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარებისაკენ, კრიმინალური საქციელისკენ და, როგორც წესი, თავადაც მოძალადეები ხდებიან.

ზოგჯერ მშობელი ბავშვს ართმევს თამაშის უფლებას, უკრძალავს თანატოლებთან ურთიერთობას, აიძულებს შეასრულოს მისი ასაკისათვის მძიმე სამუშაო და, ზოგ შემთხვევაში, ფიზიკურადაც სჯის მას. ხშირად ასეთ საქციელს მშობლები ბავშვზე ზრუნვისა და აღზრდის მეთოდად მიიჩნევენ, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ მშობლების ქმედება ძალადობის ნიშნებს შეიცავს, მათ უნდა დაეკისროთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ცნობიერებისა და მართლშეგნების დეფიციტის გამო მშობელს უჭირს იმის გააზრება, თუ რატომ არის მისი ქმედება ძალადობა.

ბავშვზე პირდაპირი ფორმით ძალადობის გარდა, მის ფსიქიკასა და განვითარებაზე მძიმე ზეგავლენას ახდენს მშობლებს შორის სისტემატური კონფლიქტი, ჩხუბი, ფიზიკური შეურაცხყოფა და ა.შ. კანონმდებლო-

ბის თანახმად, აღნიშნული ფაქტების შემსწრე ბავშვიც მიიჩნევა მსხვერპლად, ვინაიდან ოჯახის სხვა წევრებს შორის არსებული კონფლიქტისას ბავშვი განიცდის მძიმე მორალურ და ფსიქიკურ ტანჯვას.

სასამართლო პრაქტიკის ქვემოთ მოცემული მაგალითები არის საინიმუშო ძალადობისა და აღზრდის მეთოდების სათანადოდ გამიჯვნის თვალსაზრისით. გადაწყვეტილებები ავლებს მკაფიო ზღვარს მშობლების მიერ ბავშვის მიმართ ძალადობასა და აღზრდის მიზნით გამოსაყენებელ ღონისძიებებს შორის. გადაწყვეტილებებში მოსამართლეები ყურადღებას ამახვილებენ ოჯახში ძალადობის ფაქტის შემსწრე არასრულწლოვნის მძიმე ემოციურ მდგომარეობაზე და აფასებენ ბავშვის მიერ დანაშაულის აღქმის მნიშვნელობას.

საქმე №1

ფოთის საქალაქო სასამართლო **24 აგვისტო, 2017**

ბრალდების არსი: 2017 წლის აპრილიდან მაისამდე ბრალდებული თავის არასრულწლოვან შვილს სისტემატურად აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას და უკრძალავდა სახლიდან გასვლას. 2017 წლის 15 მაისს, დაახლოებით 21:00 საათზე, იმ მოტივით, რომ, აკრძალვის მიუხედავად, გასული იყო სახლიდან, არასრულწლოვანს ბრალდებულმა მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და რამდენჯერმე დაარტყა ქამარი ზურგის არეში, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა და სისტემატური შურაცხყოფა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა გამოიწვია, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ).

სასამართლოს შეფასება: სასამართლოს განმარტებით, **„განსახილველ შემთხვევაში მკაცრად უნდა გაიმიჯნოს არასრულწლოვანი შვილის მიმართ მშობლის უფლება-მოვალეობანი და ოჯახური ძალადობა. სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ საკითხი ეხება არასრულწლოვანს და ბავშვის უფლებათა კონვენციით რეგლამენტირებულ მის ფუნდამენტურ უფლებებს. მოცემულ შემთხვევაში ბრალდებულის მხრიდან უხეშად გადაილახა არასრულწლოვანი შვილის მიმართ მშობლის უფლება-მოვალეობანი და გადაიზარდა ძალადობაში, რასაც სისტემატური ხასიათი მიეცა. ბრალდებულმა ვერ გააცნობიერა საკუთარი შვილის ასაკი, მასთან ურთიერთობის ფორმა და მისი ქმედების მიზანი და მოტივი გახდა ძალადობით არასრულწლოვანი შვილის დამორჩილება. ხოლო, დანაშაული ჩადენილ იქნა საკმაოდ მძიმე ფორმით, რაც გამოიხატა არასრულწლოვნის ქამრით ცემაში. სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზეც, რომ დაზარალებული არ არის შერიგებული ბრალდებულთან. ამ უკანასკნელს საამისოდ არანაირი ნაბიჯი არ გადაუდგამს, უფრო მეტიც, ბრალდებულს არც სამომავლოდ აქვს დასახული საკუთარ არასრულწლოვან შვილთან ურთიერთობის ნომინალიზაცია და, ამ მხრივ, მას სასამართლოსთვის განმარტება არ მიუცია“.**

სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით.

საქმე №2

გორის რაონული სასამართლო **29 მაისი, 2017**

ბრალდების არსი: ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ბრალდებულმა არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა არასრულწლოვან ქალიშვილს. კერძოდ, სამჯერ მოქაჩა თმები და ორჯერ დაარტყა ხელი მარჯვენა ლოყაში. დარტყმის შედე-

გად დაზარალებული გადავარდა უკან და თავი კედელს მიარტყა, რა დროსაც ბრალდებულმა მას მარჯვენა ფეხში წიხლი ამოარტყა. აღნიშნულის შედეგად დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ და არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ).

სასამართლოს განმარტება: მოსამართლემ მიიჩნია, რომ ბრალდებულს შვილის მიმართ ძალადობის დროს ამოძრავებდა შეუწყნარებლობის ნიადაგზე აღმოცენებული შურისძიების მოტივი, რადგან მეუღლესთან დაშორების შემდეგ არასრულწლოვანი შვილები უარს ამბობდნენ მამასთან საცხოვრებლად გადასვლაზე. ამასთან, სასამართლომ დაადგინა, რომ როგორც დაზარალებული, ისე მისი დედა და არასრულწლოვანი ძმა ბრალდებულის მხრიდან წლების განმავლობაში იმყოფებოდნენ მუდმივი სტრესის ქვეშ. დაზარალებულს მამის ეშინოდა, ვინაიდან იგი არაერთხელ შეესწრო იმ ფაქტს, თუ როგორ აყენებდა იგი ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას მეუღლეს. საბოლოოდ ბრალდებულის მიერ უმოწყალო ძალადობის მსხვერპლი გახდა თავად მისი არასრულწლოვანი ქალიშვილი, რომელსაც ასაკისა თუ ფიზიკური შესაძლებლობების გამო არ ჰქონდა უნარი, შეეკავებინა მოძალადის მართლსაწინააღმდეგო ქცევა.

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და საერთაშორისო ინსტრუმენტების მიმოხილვის საფუძველზე, მოსამართლემ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი და პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნია სქესზე დაფუძნებული დისკრიმინაცია, კერძოდ, არასრულწ-

ლოვანი ქალიშვილის მიმართ ძალადობის ჩადენა შეუწყნარებლობის მოტივით.

ამასთან, მოსამართლემ ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებაზე, კერძოდ: **„ძალადობრივი ქმედების მსხვერპლი არასრულწლოვან ძმასთან ერთად დღემდე ცხოვრობს ბებიასთან და უარს ამბობს ბრალდებულის კუთვნილ საცხოვრებელ სახლში დაბრუნებაზე, რადგან დღემდე განიცდის შიშს მამის მიმართ. ამდენად, სასამართლო ვერ გაიზიარებს ბრალდებულის ყოფილი მეუღლის სანოტარო წესით დამოწმებულ განცხადებას ბრალდებულთან „შერიგებისა და მის მიმართ პრეტენზიის არქონის შესახებ," რადგან აღნიშნული შეგვიძლია მხოლოდ ფორმალური ხასიათის დოკუმენტად მივიჩნიოთ, რომელიც მოტივირებულია საერთო შვილის მამის მიმართ ყოფილი მეუღლის მხრიდან გამოხატული მოჩვენებით შემწყნარებლური პოზიციით, რადგან ის არ ასახავს რეალობას და არ გამომდინარეობს არასრულწლოვნის საუკეთესო/ჯეშმარიტი ინტერესებიდან".**

სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით.

საქმე №3

რუსთავის საქალაქო სასამართლო **23 ოქტომბერი, 2017**

ბრალდების არსი: ბრალდებული მეუღლეს უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, თითქმის ყოველდღიურად, არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით გენდერული დისკრიმინაციის მოტივით აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. მას არ სჭირდებოდა სერიოზული მიზეზი მეუღლის დასამცირებლად. კერძოდ, მიმართავდა შეურაცხმყოფელი სიტყვებით, აგინებდა დედისა და ნათესავების მისამართით. კონფლიქტის დასაწყებად საკმარისი იყო, დაზარალე-

ბულის ისეთი ქმედება, რაც მას არ მოსწონდა. კერძოდ, რაიმე საგნის ადგილმდებარეობის შეცვლა, ეზოში ნარგავების მოურწყველობა, ბავშვების მიერ რომელიმე საყოფაცხოვრებო ნივთის ეზოში განთავსება. ამასთან, ბრალდებული თავის მეუღლეს, როგორც ქალს, არაფრად არ აგდებდა, ეჭვიანობდა ყოველგვარი საფუძვლის გარეშე. სახლიდან გასვლისას ამოწმებდა, ვისთან მიდიოდა. ბრალდებულს არ მოსწონდა მეუღლის სამეგობრო წრე და უკრძალავდა მათთან ურთიერთობას. დასცინოდა პროფესიის არქონის გამო და ჩააგონებდა, რომ მისი ერთადერთი მოვალეობა დიასახლისობა და ბავშვების აღზრდა იყო. ამ ყველაფრის გამო დაზარალებული თავს გრძნობდა დამცირებულად და განიცდიდა ტანჯვას.

2017 წლის აგვისტოს, საღამოს საათებში, საცხოვრებელ სახლში არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით, გენდერული დისკრიმინაციის მოტივით, ბრალდებულმა მეუღლეს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. კერძოდ, ხელი გაარტყა სახის არეში, რითაც დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი. გარდა აღნიშნულისა, 2017 წლის აგვისტოში ბრალდებულმა თავის საცხოვრებელ სახლში და ამ სახლის ეზოში ფიზიკურად იძალადა მეუღლესა და შვილზე. კერძოდ, მეუღლეს ოთახის ფანჯრიდან ესროლა ვაზა, რომელიც დაზარალებულს მოხვდა მარჯვენა წარბთან. მის ტირილზე გაიღვიძეს ოთახში მყოფმა ბავშვებმა. ერთ-ერთმა შვილმა სცადა გაერკვია, რა ხდებოდა, რის გამოც ბრალდებულმა აგრესია მასზე გადაიტანა. კერძოდ, შევარდა ოთახში და დაუწყო ცემა. სახეში გაარტყა ხელი, ფეხი ჩაარტყა მარცხენა ფერდში და რამდენჯერმე გულმკერდის არეშიც. ამავდროულად, აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას და ეუბნებოდა, რომ სახლში დროზე უნდა მოსულიყო და მისთვის ნერვები არ მოეშალა, რომ ცხრა საათის მერე მხოლოდ უწესო ქალები დადიან გარეთ. ამის შემდეგ ბრალდებულმა აგრესია ისევ ცოლზე გადაიტანა. იმით განრისხებულმა, რომ დაზარალებულმა დარეკა პოლიციაში, ცოლს

„ჩაშვებისათვის“ კვლავ მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა 5 წლის არასრულწლოვნის თანდასწრებით. დაზარალებულმა მოახერხა და ქუჩაში გაიქცა დახმარების სათხოვნელად. თუმცა, ბრალდებული უკან გაჰყვა და პოლიცია რომ არ გამოეძახა, კვლავ დაარტყა ხელი სახეში. ყველა ამ ქმედების შედეგად დაზარალებულებმა განიცადეს ფიზიკური ტკივილი.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, დამცირება, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა გამოიწვია, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ, არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ და ორი ან მეტი პირის მიმართ).

სასამართლოს შეფასება: სასამართლო დეტალურად მსჯელობს „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ“ ევროპის საბჭოს (ე. წ. სტამბოლის) კონვენციაზე. აგრეთვე, იშველიებს ამ კონვენციის იმ დებულებებს, რომლებიც იძლევა განმარტებებს ქალთა მიმართ ძალადობის, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევისა და გენდერული დისკრიმინაციის, შესახებ. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ძალადობის ფაქტის შემსწრე არასრულწლოვნის მდგომარეობაზე და მისთვის ოჯახში ძალადობის ფაქტის სავალალო ზეგავლენაზე. **„მდგომარეობას ამძიმებს ის, რომ არასრულწლოვნის თანდასწრებით ოჯახში ძალადობა, როგორი ფორმითაც არ უნდა ვლინდებოდეს, მის ემოციურ და ფსიქიკურ მდგომარეობაზე სავალალო ზეგავლენას ახდენს. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი ძალადობის უშუალო მსხვერპლს არ წარმოადგენს, ძალადობის მოწმედ ყოფნა, განსაკუთრებით ისეთ მნიშვნელოვან ადამიანებს შორის, როგორებიც მშობლები არიან, უარყოფითად**

აისახება მის კეთილდღეობაზე და მოწყვლადს ხდის აგრესიული ქცევების ათვისებისა და შემდგომი გამოვლინების მიმართ“.

ამ ყველაფრის ფონზე, მოსამართლემ გაითვალისწინა ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება და ხასიათი, რაც მისი მასშტაბებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, მომეტებული საშიშროების მატარებელი იყო და გაამტყუნა მოძალადე მის მიერ განხორციელებული ქმედების ჩადენაში.

სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით.

საქმე №4

თბილისის სააპელაციო სასამართლო **20 აპრილი, 2018**

ბრალდების არსი: 2017 წლის მარტში, დაახლოებით 09:00 საათზე, ოჯახური კონფლიქტის დროს ბრალდებული სამზარეულოს დანის გამოყენებით შეეცადა მეუღლის განზრახ მკვლელობას. აღნიშნულს შეესწრო მათი მცირეწლოვანი შვილი. ბრალდებულმა დანაშაულებრივი განზრახვა დამოუკიდებელი მიზეზების გამო სისრულეში ვერ მოიყვანა, რადგან ხელი შეუშალა დანაშაულის თვითმხილველმა ბინის დიასახლისმა, რის შემდგომაც იგი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-19-109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი (ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობის მცდელობა, განსაკუთრებული სისასტიკით).

სასამართლოს განმარტება: პირველი ინსტანციის სასამართლომ სსკ-ის 11^1-19-109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარმოდგენილი ბრალდება გადააკვალიფიცირა სსკ-ის 11^1-19-108-ე მუხლზე და დამნა-

შავეს სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკ-ვეთა 8 (რვა) წლის ვადით.

აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარემ. დაცვის მხარემ მოითხოვა დამნაშვის გამართლება, ხოლო ბრალდების მხარემ – განაჩენის შეცვლა და პირის სსკ-ის 11[1]-19-109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მსჯავრდება. დღის წესრიგში დადგა საკითხი, რამდენად მოახდენდა არასრულწლოვან-ზე გავლენას დედის მკვლელობის ფაქტი და მიუთითებდა თუ არა ეს გარემოება დანაშაულის ჩადენის განსაკუთრებულ სისასტიკეზე.

სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა მკვლელობის მცდელობის ფაქტის შემსწრე არასრულწლოვნის ემოციურ მდგომარეობაზე. მო-სამართლე მიუთითებს, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, ბავშვი უშუალოდ დედის სიცოცხლის მოსპობის პროცესს შეესწ-რებოდა თუ არა. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული სისასტიკის არსე-ბობაზე მიუთითებდა სწორედ მსჯავრდებულის გულგრილი დამოკი-დებულება თავისი მცირეწლოვანი შვილის სულიერი მდგომარეობის მიმართ.

„მამისათვის კარგად იყო ცნობილი ასაკის გამო ბავშვის ძლიერი მი-ჯაჭვულობა დედაზე და ის, რომ იგი მასთან ერთად უცხო გარემოში, სხვის სახლში, იმყოფებოდა, რის გამოც იგი მალევე მოიკითხავდა დედას, ამიტომ დანაშაულის ჩადენის შემდეგ მსჯავრდებულმა დატო-ვა რა შემთხვევის ადგილი, აცნობიერებდა, რომ ბავშვი თუნდაც არ შესწრებოდა უშუალოდ თავდასხმას, დასრულებისთანავე ნახავდა გასისხლიანებულ დედას მრავლობითი ჭრილობებით და იგი ასეთი სურათის ნახვისაგან არაფრით არ იყო დაცული. ამიტომ იმისთვის, რომ დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშნის, განსაკუთრებული სისასტიკის, არსებობა დავადგინოთ, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა

აქვს იმას, შვილი უშუალოდ შეესწრო თუ არა დედისთვის სიცოცხლის მოსპობის პროცესს. ბუნებრივია, იგი სრული სიმძაფრით განიცდიდა სულიერ ტკივილს ქმედების დასრულების შემდეგაც დედის დასახიჩრებული და გასისხლიანებული სხეულის ნახვისას. განსაკუთრებული სისასტიკის დასადგენად მნიშვნელობა სწორედ იმას აქვს, რომ დამნაშავემ მიატოვა რა შემთხვევის ადგილი, აცნობიერებდა, რომ მცირეწლოვან შვილს იქ ტოვებდა და გულგრილად ეკიდებოდა იმას, რომ ბავშვი ამ საზარელ სურათს ნახავდა."

სასამართლო განმარტავს, რომ **„განზრახ მკვლელობის მცდელობისას დამნაშავის მიერ გამოვლენილი სისასტიკის დადგენა არ შეიძლება, დამოკიდებული იყოს იმაზე, თუ რა სიმძიმის კვალი დატოვა ნანახმა ბავშვის ფსიქიკაზე. განსაკუთრებულ სისასტიკეზე, როგორც უკვე აღინიშნა, მიანიშნებს მსჯავრდებულის გულგრილობა ბავშვის რეაქციის მიმართ. ბავშვის მცირე ასაკის მიუხედავად (იგი არ იყო მიღწეული 3 წლის ასაკს) ვერ მივიჩნევთ, რომ მას არ შეეძლო მოვლენების აღქმა და გაცნობიერება. ამაზე მიუთითებს მისი რეაქციაც, როდესაც მამას მოუწოდა, შეეწყვიტა ძალადობა. მოწმეთა ჩვენებით ასევე დგინდება, რომ ბავშვმა ბოლომდე გააცნობიერა, რომ მამამ დედას ჭრილობები მიაყენა – სისხლი ადინაო. უდავოა, რომ ბავშვის უნარის შესახებ, გაეცნობიერებინა მის თვალწინ განვითარებული მოვლენების არსი, ცნობილი იყო მისი მამისთვის."** აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ შეიტანა ცვლილებები პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში და პირი დამნაშავედ ცნო სსკ-ის 11[1]-19-109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა 16 (თექვსმეტი) წლის ვადით.

შეჯამება

ზემოხსენებულ გადაწყვეტილებებში აღწერილია, როგორც ოჯახში ძალადობის ფაქტის უშუალო მსხვერპლი არასრულწლოვნების, ისე ძალადობის შემსწრე ბავშვების ემოციური მდგომარეობა. სასამართლოს შეფასებით, ხშირად მშობლები ვერ აცნობიერებენ იმ პასუხისმგებლობას, რომელიც მათ თავიანთი შვილების მიმართ აქვთ და აღზრდის პროცესში ძალადობრივ მეთოდებს იყენებენ. ამასთან, მოსამართლეები ყურადღებას ამახვილებენ დანაშაულის ფაქტის შემსწრე არასრულწლოვნებზე და მიუთითებენ, რომ მათი თანდასწრებით ჩადენილი ოჯახში ძალადობა, რა ფორმითაც არ უნდა ვლინდებოდეს, ბავშვის ფსიქოლოგიურ და ემოციურ მდგომარეობაზე მძიმე ზეგავლენას ახდენს და მასში აგრესიული ქმედებების მიდრეკილებას აღვივებს. ამიტომ, მოსამართლეთა შეფასებით, ასეთი შემთხვევები, კანონმდებლობით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოების გარდა, ბრალდებულის პიროვნების უარყოფით მახასიათებელზე მეტყველებს.

თავი III.
ქალთა მიმართ ძალადობა

2017 წლის 5 აპრილს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული იქნა ევროპის საბჭოს კონვენცია (ე.წ. სტამბოლის კონვენცია) „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ.“ ევროპის საბჭოს (სტამბოლის) კონვენციის რატიფიცირების შემდეგ სახელმწიფოს მხრიდან ქალი გახდა განსაკუთრებული დაცვის ობიექტი როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აღნიშნული კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობას აღიარებს, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევას და კონვენციის მონაწილე მხარეებს მოუწოდებს, მიიღონ აუცილებელი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რათა ხელი შეუწყონ და დაიცვან ყველას უფლება, განსაკუთრებით კი ქალების უფლებები. სტამბოლის კონვენცია მიუთითებს, რომ ქალები ხშირად ხდებიან შემდეგი დანაშაულების მსხვერპლი: ოჯახში ძალადობა, ადევნება, გაუპატიურება, იძულებითი ქორწინება, ე.წ. ღირსების სახელით ჩადენილი დანაშაული და სასქესო ორგანოების დასახიჩრება, რაც წარმოადგენს ქალებისა და გოგონების უფლებათა სერიოზულ დარღვევას. ევროპის საბჭოს კონვენციის თანახმად, „ქალებზე ძალადობა არის ქალებსა და მამაკაცებს შორის ისტორიულად ჩამოყალიბებული არათანასწორი ძალაუფლებრივი ურთიერთობების გამოვლინება, რამაც გამოიწვია კაცების მიერ ქალების დისკრიმინაცია, მათზე დომინირება და ქალების სრული თვითრეალიზაციისათვის ხელის შეშლა. გენდერული

ძალადობა არის ქალებზე ძალადობის სტრუქტურული ფორმა და ერთ-ერთი მთავარი სოციალური მექანიზმი, რომელიც ქალებს კაცების დაქ-ვემდებარებულ მდგომარეობაში აყენებს“.

აღნიშნულის გარდა, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამარ-თალის ნორმები (მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასა-მართლოსა და ინტერ-ამერიკული სასამართლოს პრაქტიკა) ქალებზე ძალადობას ქალის დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმად მიიჩნევს. გა-ეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მე-19 ზოგადი რეკომენდაცია განმარტავს, რომ „გენდერული ძალადობა არის დისკ-რიმინაციის ფორმა, რომელიც მნიშვნელოვნად აფერხებს ქალების შე-საძლებლობებს, ისარგებლოს უფლებებითა და თავისუფლებებით მამა-კაცებთან თანასწორობის საფუძველზე“.

ამდენად, ქალთა მიმართ ძალადობა უნდა მიიჩნეოდეს, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევა და ქალთა დისკრიმინაციის ფორმა, რაც გულისხმობს გენდერის საფუძველზე ჩადენილ ყველა სახის ძალა-დობას, რომლებსაც შედეგად მოაქვს, ან, სავარაუდოდ, შეიძლება შედე-გად მოიტანოს ქალების მიმართ ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლო-გიური ან ეკონომიკური ზიანი ან ტანჯვა, მათ შორის ასეთი ქმედებების ჩადენის მუქარა, იძულება ან თავისუფლების თვითნებური ხელყოფა, ჩადენილი საზოგადოებაში თუ პირად ცხოვრებაში. „ქალთა მიმართ ძა-ლადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლ-თა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 3[1] მუხლის მიხედვით, ქალთა მიმართ ძალადობა გულისხმობს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენი-ლი ძალადობისათვის დამახასიათებელ ყველა ქმედებას, რომელთაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, ფსი-ქოლოგიური ან სექსუალური ტანჯვის ან ეკონომიკური ზიანის მიყენე-ბა, მათ შორის ასეთი ქმედებების ჩადენის მუქარა, ქალების იძულება ან მათთვის თავისუფლების თვითნებური აღკვეთა.

ქვემოთ მოცემული მაგალითები ეხება ქალთა მიმართ ძალადობის ისეთ შემთხვევებს, როგორებიცაა: თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ქორწინების იძულება, სქესობრივი დანაშაულები და ადევნება. სასამართლო გადაწყვეტილებები არის სანიმუშო როგორც აღნიშნული დანაშაულის შემადგენლობის განმარტების ნაწილში, ისე მტკიცებულებათა სტანდარტის დადგენისა და დამნაშავის გამტყუნების კონტექსტში.

1. თავისუფლების უკანონო აღკვეთა და ქორწინების იძულება

ზუგდიდის რაიონული სასამართლო **26 დეკემბერი, 2017**

ბრალდების არსი: 2017 წლის 17 ივლისს სხვა დანაშაულის ჩადენის, კერძოდ, ქორწინების იძულების გაადვილების, მიზნით, ბრალდებულმა, წინასწარი შეთანხმებით სხვა პირებთან ერთად და მათი დახმარებით, დაზარალებული მისი ნების საწინააღმდეგოდ ჩასვა მანქანაში და აღუკვეთა გადაადგილების შესაძლებლობა. აგრეთვე, ბრალდებულმა განიზრახა, იძულებული გაეხადა დაზარალებული, მასთან შესულიყო არარეგისტრირებულ ქორწინებაში. ამ მიზნით მასზე ახდენდა ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას, რათა მსხვერპლს ქორწინებაზე განეცხადებინა თანხმობა.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი (თავისუფლების უკანონო აღკვეთა სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, ჩადენილი წინაწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ) და 150[1] მუხლის 1-ლი ნაწილი (ქორწინების, მათ შორის, არარეგისტრირებულის, იძულება).

სასამართლოს განმარტება: მოცემულ საქმეში სანიმუშაოა მოსამართლის განმარტებები თავისუფლების უკანონო აღკვეთასა და ქორწინების იძულებასთან დაკავშირებით. მოსამართლე სწორად განმარტავს თითოეული მუხლის დისპოზიციას და სათანადოდ განსაზღვრავს ამ დანაშაულების შემადგენელ კრიტერიუმებს, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აღნიშნული ქმედებების გამოძიების დროს.

„სასამართლო განმარტავს, რომ თავისუფლების უკანონო აღკვეთა შეიძლება მოხდეს ადამიანის მოტაცებით. მოტაცება ნიშნავს პირის იძულებით გადაადგილებას ერთი ადგილიდან სხვა მიმართულებით. თავისუფლების უკანონო აღკვეთა დაკავშირებულია პირის იძულებით დაკავებასთან, როცა მას წართმეული აქვს თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა. თავისუფლების უკანონო აღკვეთა დამთავრებულია იმ მომენტიდან, როდესაც დაზარალებულს, მისი ნების საწინააღმდეგოდ, აღუკვეთავენ თავისუფლებას“.

„სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მაკვალიფიცირებელ გარემოებას წარმოადგენს იგივე ქმედება, ჩადენილი სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ ბრალდებულის მიერ დაზარალებულისათვის თავისუფლების უკანონო აღკვეთა მიზნად ისახავდა მის იძულებას, მას ცოლად გაჰყოლოდა“.

რაც შეეხება ქორწინების იძულებას, **„სასამართლო განმარტავს, რომ, საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობითობას. ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართვე-**

ლობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს – ტერიტორიულ სამსახურში. სსკ-ის 150[1] მუხლის სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანისათვის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული თავისუფლება, კანონის ფარგლებში იმოქმედოს საკუთარი შეხედულებისამებრ, მათ შორის იქორწინოს მისთვის სასურველ პირზე. ქორწინების იძულება შეიძლება განხორციელდეს ფიზიკური ან ფსიქიკური იძულებით, იქორწინოს პირზე, რომელთან ქორწინებაც მას არ სურს. დანაშაული დამთავრებულად ითვლება იძულების განხორციელების მომენტიდან". მოსამართლის შეფასებით, მართალია, დაზარალებულსა და ბრალდებულს არ მოუხდენიათ ქორწინების რეგისტრაცია, თუმცა აღნიშნული გარემოება გავლენას ვერ მოახდენს ქმედების კვალიფიკაციაზე, რადგან მსხვერპლი იძულებული გახდა, საკუთარ თავზე განეცადა ის არასასურველი შედეგები, რომლებიც მოჰყვება იძულებას.

სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა 9 (ცხრა) წლის ვადით.

2. გაუპატიურება და ქორწინების იძულება

საქართველოს უზენაესი სასამართლო **12 ივლისი, 2017**

ბრალდების არსი: 2016 წლის მარტში ბრალდებულმა დაზარალებულს შესთავაზა ცოლად გაყოლა, რაზეც ამ უკანასკნელმა უარი განუცხადა, რის გამო, მასთან ქორწინების მიზნით მისი გარდაცვლილი მეუღლის სასაფლაოზე ბრალდებულმა განახორციელა მსხვერპლის ფიზიკური და ფსიქიკური იძულება. კერძოდ, სცემდა დაზარალებულს, რითაც აიძულებდა მასთან ქორწინებას, რაზეც მსხვერპლი უარს აცხადებდა და არ თანხმდებოდა. აგრეთვე, 2016 წლის მარტში, დილის საათებში, ბრალდებულმა დაზარალებული მიიყვანა ერთ-ერთ სასტუმროში, სადაც ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობით დაამყარა სქესობრივი კავშირი.

კვლიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150[1] მუხლის 1-ლი ნაწილი (ქორწინების, მათ შორის არარეგისტრირებულის, იძულება) და 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილი (გაუპატიურება).

სასამართლოს განმარტება: სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა დაცვის მხარემ და მოითხოვა გამამართლებელი განაჩენის გამოტანა. უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები და სხვა ფაქტობრივ გარემოებებთან ერთად ყურადღება გაამახვილა ქორწინების იძულებისა და გაუპატიურების ამკრძალავ საერთაშორისო ინსტრუმენტებზე.

„ნიშანდობლივია, რომ ევროპის საბჭოს კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ („სტამბოლის კონვენცია“) მიზნად ისახავს ქალების დაცვას ყველა ფორმის ძალადობისგან. დასახელებული კონვენციის 36-ე და 37-ე მუხლებით დადგენილია ყოველი ქალის სწორედ სექსუალური ძალადობის, მათ შორის – გაუპატიურებისა და იძულებითი ქორწინებისაგან დაცვის ვალდებულება“.

სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა 7 (შვიდი) წლის ვადით.

3. სექსობრივი დანაშაულები

საქართველოს უზენაესი სასამართლო **27 მარტი, 2017**

ბრალდების არსი: ქ. თბილისში ბრალდებული თავის ნათლულის მიმართ ახორციელებდა გარყვნილ ქმედებებს. კერძოდ, მან 2015 წლის 21 სექტემბერს დაიყოლია არასრულწლოვანი მასტურბაციაზე. აგ-

რეთვე, 2015 წლის 24 სექტემბერს, დაახლოებით 20:00 საათზე, ბრალდებულმა 16 წლის ასაკს მიუღწეველი კვლავ დაიყოლია და განახორციელებინა მასტურბაცია, რითაც ჩაიდინა გარყვნილი ქმედება.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლი (გარყვნილი ქმედება, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან).

სასამართლოს განმარტება: აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ ყურადღება გაამახვილა დაზარალებულის ჩვენების მნიშვნელობაზე ამ კატეგორიის დანაშაულების განხილვისას და მიუთითა, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დაზარალებულის ჩვენების თანმიმდევრულობასა და შესაბამისობას სხვა მტკიცებულებებსა და საქმეზე დადგენილ სხვა ფაქტობრივ გარემოებებთან.

„სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, როგორც წესი, არ არის საჯარო ხასიათის, რის გამოც მითითებული კატეგორიის საქმეებზე, უმეტეს შემთხვევაში, დანაშაულის შემსწრე უშუალო თვითმხილველები არ არსებობენ“.

აღნიშნული გადაწყვეტილების გარდა, სქესობრივ დანაშაულებთან დაკავშირებით სანიმუშოა უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 19 ნოემბრის №253ა3-15, 2017 წლის 18 იანვრის №466ა3-16 და 2017 წლის 25 სექტემბრის №188ა3-17 გადაწყვეტილებები, რომლებშიც საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, თავისი ბუნებიდან და ხასიათიდან გამომდინარე, სქესობრივი დანაშაული, როგორც წესი, არ არის საჯარო და არ გამოირჩევა თვითმხილველ მოწმეთა სიმრავლით. შესაბამისად, აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე, მესამე ინსტანცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს დაზარალებულის ჩვენებას,

რომელიც უნდა იყოს თანმიმდევრული და შესაბამისი სხვა მტკიცებულებებთან.

დანაშაულის ბუნების გარდა, 2017 წლის 25 სექტემბრის №188აპ-17 გადაწყვეტილებაში უზენაესი სასამართლო მსჯელობს გაუპატიურების დაწყებისა და დასრულების სტადიებზე.

მოსამართლეთა განმარტებით, **„გაუპატიურება დამთავრებულად ჩაითვლება, როდესაც დამნაშავე სხვადასხვა ხერხის გამოყენებით დაიწყებს სქესობრივი კავშირის დამყარებას და არა აქვს მნიშვნელობა, მიიყვანს თუ არა ბოლომდე სქესობრივ აქტს. ქმედების დასრულებულად მიჩნევისათვის არა აქვს მნიშვნელობა, სასქესო ასოს შეყვანა დასრულდება საშოს შესავალთან თუ თვით საშოში, ვინაიდან ამ დროიდან უკვე ხელყოფილია ადამიანის სქესობრივი თავისუფლება“.**

სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა 6 (ექვსი) წლითა და 6 (ექვსი) თვის ვადით.

4. ადევნება

ზუგდიდის რაიონული სასამართლო **8 ნოემბერი, 2017**

ბრალდების არსი: დამნაშავემ სოციალური ქსელის მეშვეობით გაიცნო დაზარალებული, რომელთანაც ჩამოუყალიბდა ახლო ურთიერთობა. თუმცა, გარკვეული პერიოდის შემდეგ, როდესაც გაიგო, რომ მამაკაცს ჰყავდა ცოლი და შვილები, დაზარალებულმა აღარ მოისურვა მასთან ურთიერთობის გაგრძელება, რაც არ აღმოჩნდა მისაღები დამნაშავისთვის. სწორედ ამ ეტაპიდან დაიწყო სისტემატური თვალ-

თვალი: მამაკაცი ავტომანქანით დაჰყვებოდა უკან და გადიოდა იმავე მარშრუტს, რომელსაც დაზარალებული. კომუნიკაციას ამყარებდა სოციალური ქსელების მეშვეობით და აიძულებდა მასთან ურთიერთობის აღდგენას, ხოლო, თუ არ დასთანხმდებოდა ცოლად გაყოლაზე, მუდმივი თვალთვალითა და ადევნებით ემუქრებოდა. მიუხედავად დაზარალებულის არაერთი მოთხოვნისა, რომ თავი დაენებებინა, დამნაშავე მაინც ცდილობდა მასთან არასასურველი კომუნიკაციის დამყარებას. ამ გარემოებებმა მსხვერპლს მნიშვნელოვანი დაბრკოლებები შეუქმნა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აღნიშნულის გამო იძულებული გახდა, დროებით დაეტოვებინა თავისი სახლი, შეეცვალა პირადი მობილური ტელეფონის ნომერი, შეეწყვიტა სოციალური ქსელების მოხმარება და შეეზღუდა საკუთარი თავი, არ გასულიყო გარკვეული პერიოდით გარეთ. ამ ყველაფრის ფონზე, მსხვერპლი განიცდიდა მძიმე ფსიქიკურ ტანჯვას.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151[1] მუხლის 1-ლი ნაწილი (პირადად პირის უკანონო თვალთვალი, არასასურველი კომუნიკაციის დამყარება ტელეფონის, ელექტრონული მოწყობილობების საშუალებით, რაც სისტემატურად ხორციელდება და იწვევს პირის ფსიქიკურ ტანჯვას, რაც პირს ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლის რეალურ საჭიროებას უქმნის).

სასამართლოს განმარტება: აღნიშნული გადაწყვეტილება სანიმუშოა ადევნების დისპოზიციის სწორად განმარტებისა და მისი შემადგენელი კომპონენტების სათანადოდ დადგენის თვალსაზრისით. მოსამართლე განმარტავს სსკ-ის 151[1] მუხლის შემადგენლობას და მიუთითებს, რომ იგი მატერიალური დანაშაულია, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული ქმედების დამთავრებულად მიჩნევისათვის აუცილებელია, ზემოხსენებულ მუხლში ჩამოთვლილი ქმედებებიდან ერთ-ერთის განხორციელება და დამნაშავის მიერ ამავე მუხლში ჩამოთვ-

ლილი შედეგებიდან ერთ-ერთის გამოწვევა. მოცემულ შემთხვევაში ბრალდებულს ბრალად ჰქონდა წარდგენილი პირადად პირის უკანონო თვალთვალი, არასასურველი კომუნიკაციის დამყარება ტელეფონისა და ელექტრონული მოწყობილობების საშუალებით, რაც სისტემატურად ხორციელდებოდა.

გადაწყვეტილებაში მოსამართლე განმარტავს ადევნების შემადგენლობის თითოეულ კომპონენტს:

- **„თვალთვალი ნიშნავს პირის საქმიანობის, გადაადგილებისათვის თვალ-ყურის დევნებას, მისი ქმედებების, მის მიერ მონახულებული ადგილებისა და შეხვედრილი ადამიანების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას. ხოლო, თვალთვალი უკანონოა, როდესაც ხდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, ე.ი. პირის სურვილის საწინააღმდეგოდ ან არაუფლებამოსილი პირის მიერ, ამისათვის უფლებამოსილი ორგანოების ნებართვის გარეშე“;**
- **„ტელეფონი არის ხმის მიწვდენის ტექნიკური საშუალება, რომლის დანიშნულებაა ხმოვანი ინფორმაციის შორ მანძილზე გადაცემა და მიღება. ხოლო, ელექტრონული საშუალებაა ნებისმიერი მექანიზმი, რომელიც იძლევა შესაძლებლობას, ელექტროენერგიის გამოყენებით გარკვეული მოქმედებები განხორციელდეს, მათ შორის, მოხდეს ინფორმაციის განთავსება, მიღება, გაცვლა, კომუნიკაციის დამყარება და სხვა. თანამედროვე ტექნოლოგიური პროგრესის ფონზე შექმნილია ელექტრონული საშუალებები, რომელთა მეშვეობით ადამიანები ამყარებენ კომუნიკაციას ერთმანეთთან. კომუნიკაცია გულისხმობს მოკლევადიან ან გრძელვადიან ურთიერთობას, ინფორმაციის, ემოციების გადაცემას“;**
- **„ტელეფონით, ტექნიკური საშუალებებით კომუნიკაცია ნიშნავს ხმოვანი ან ტექსტური ფორმით ურთიერთობის დამყარებას, ინფორმაციის მიწოდებას, ემოციის გაზიარებას. ხოლო, ტელეფონით ან ტექ-**

ნიკური საშუალებებით არასასურველი კომუნიკაცია გულისხმობს ზემოთ აღწერილი სახის კომუნიკაციას პირთან იმ ვითარებაში, როცა მას ეს არ სურს“;

- **„სისტემატური ნიშნავს დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ქმედებების განხორციელებას ინტენსიურად, განმეორებითობის გარკვეული ხარისხით“;**
- **„ფსიქიკური ტანჯვა გულისხმობს უსიამოვნო გრძნობით გამოწვეულ წვალებას, ხანგრძლივ, აუტანელ წუხილს. რაც შეეხება ცხოვრების წესის შეცვლას, იგი კომპლექსური გარემოებების ერთობლიობას გულისხმობს, რაც მოიცავს სოციალურ ურთიერთობებს, სამსახურს, ოჯახურ, პირად ურთიერთობებს, თავისუფალი დროის გამოყენებას ნება-სურვილის მიხედვით და ა.შ.“**

საბოლოოდ, მოსამართლემ, აღნიშნული განმარტებებისა და ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების (მოწმეთა ჩვენებები, დათვალიერების ოქმები და სხვა მტკიცებულებები) საფუძველზე, ბრალდებული გაამტყუნა ადევნების ჩადენაში.

სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით, რაც ჩაეთვალა პირობითად და დაუდგინდა 2 წლიანი გამოსაცდელი ვადა. ასევე, დამნაშავეს დაეკისრა მოვალეობა, გამოსაცდელი ვადის პერიოდში უშუალოდ ან სხვა პირის მეშვეობით არ დაემყარებინა რაიმე ფორმით ურთიერთობა დაზარალებულთან და მისი ოჯახის წევრებთან, თავი აერიდებინა მათთან შეხვედრისათვის ნებისმიერ ადგილას, არ მოენახულებინა აღნიშნული პირების საცხოვრებელი, სასწავლო და სამუშო ადგილები, თავი შეეკავებინა უშუალოდ ან ტექნიკური საშუალებებით მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელებისაგან.

შეჯამება

ზემოხსენებულ გადაწყვეტილებებში აღწერილია ქალთა მიმართ ძალადობის ისეთი ფორმები, როგორებიცაა: თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ქორწინების იძულება, ადევნება და სქესობრივი დანაშაულები. მოსამართლეები, ერთი მხრივ, განმარტავენ თითოეული დანაშაულის დისპოზიციასა და შემადგენლობას და, მეორე მხრივ, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის სტანდარტებს ადგენენ. მტკიცებულებების საკმარისობის თვალსაზრისით, განსაკუთრებული პრობლემურობით სქესობრივი დანაშაულები გამოირჩევა. უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტებით, ვინაიდან აღნიშნული დანაშაულები მტკიცებულებათა სიმწირით ხასიათდება, განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება დაზარალებულის ჩვენებას, რომელიც უნდა იყოს თანმიმდევრული და შესაბამისი სხვა მტკიცებულებებთან.

CENTERS.GE
დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი
NETWORK OF CENTERS FOR CIVIC ENGAGEMENT (NCCE)

დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი

თბილისი, მარჯანიშვილის ქ. N5

WWW.NCCE.GE

ISBN 978-9941-8-1218-7

CENTERS.GE

დემოკრატიული მართველობის ცენტრების ქსელი

NETWORK OF CENTERS FOR CIVIC ENGAGEMENT (NCCE)